LIBERTY WEALTH

# პირადი საბანკო მომსახურების პირობები

ბოლო ცვლილებები განხორციელებულია
სს „ლიბერთი ბანკის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით

შინაარსი

ნაწილი I.....3
შესავალი.....3
ტერმინთა განმარტებები.....3
კლიენტის განცხადებები.....5
ნაწილი II.....6
უნივერსალური ანგარიში.....6
ბარათი.....8
ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი.....10
დისტანციური საბანკო მომსახურება.....11
უკონტაქტო ბარათი.....14
მუდმივი საგადახდო დავალება.....14
უნივერსალური ანგარიშიდან ავტომატური გადახდები.....14
თანხის დაგროვების სერვისი - ყულაბა.....14
წამახალისებელი პროგრამები ან/და აქციები.....15
სპეციალური სავალუტო ანგარიში.....15
ფრაიორითი ფასი (Priority Pass).....15
VISA Concierge (ვიზა კონსიერჟ) მომსახურება.....16
ვალუტის გაცვლა.....16
მომსახურება ქოლ-ცენტრის მეშვეობით.....16
ნაწილი III.....17
საბანკო მომსახურების ტარიფები.....17
დავალების მიღების და შესრულების ვადები.....18
მხარეთა პასუხისმგებლობა.....18
პასუხისმგებლობის შეზღუდვა.....18
გადასახადები.....18
ხელშეკრულების ცვლილებები.....19
ძალაში შესვლის თარიღი და ვადა.....19
მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა.....19
კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები.....20
კომუნიკაცია.....23
ზოგადი დებულებები.....24
.....25
დანართი №1 - სატარიფო პაკეტების მომსახურების ტარიფები.....26
დანართი №2 - ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის ტარიფები და პირობები.....35
დანართი №3 - საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები.....36

ნაწილი I

## 1. შესავალი

1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **ბანკის** მიერ შეთავაზებულ **საბანკო მომსახურების** პირობებს, მათ აღწერილობას და **მხარეთა** უფლება-მოვალეობებს აღნიშნული პროდუქტების და **მომსახურების** სარგებლობის პროცესში.

1.2. **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში "**ხელშეკრულება**"), რომელიც შედგება:

1.2.1. **განაცხად(ებ)ისგან,** რომელიც შევსებულია **კლიენტის** მიერ, ხელმოწერილია **მხარეთა** მიერ ან/და **კლიენტი** დათანხმებულია **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით;

1.2.2. წინამდებარე **პირობებისგან;**

1.2.3. **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფებისაგან**;

1.2.4. **უნივერსალური ანგარიშის** მომსახურების პირობებისგან. ამასთან, **უნივერსალური ანგარიშის** მოსახურების პირობებსა და წინამდებარე **პირობებს** შორის რაიმე შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე **პირობებს;**

1.2.5. საბანკო ბარათის ზოგადი პირობების და უსაფრთხოების წესებისაგან რომელიც ხელმისაწვდომია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge;

1.2.6. Apple Pay-ში ლიბერთის საბანკო ბარათის ჩართვის და გამოყენების პირობებისგან, რომელიც ხელმისაწვდომია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge;

1.2.7. ნებისმიერი დამატებითი **დანართისაგან** ან/და **განაცხად(ებ)ისაგან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება არსებულ ან/და **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** მომავალში შეთავაზებულ საცალო **საბანკო მომსახურებას** ან/და პროდუქტ(ებ)ს (შემდგომში - "**პროდუქტ(ებ)ი**" ან „**მომსახურება**") და რომელიც საჭირო იქნება **კლიენტის** მიერ დამატებითი და/ან წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **საბანკო მომსახურებ(ებ)ით** სარგებლობისათვის..

1.3. **კლიენტის** მიერ პირადი **საბანკო მომსახურების** ნებისმიერი პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში იგულისხმება, რომ იგი ეთანხმება იმ დროისათვის **ბანკში** არსებულ შესაბამის **მომსახურების** პირობებს (რომელიც შესაძლებელია შეიცვალოს).

1.4. წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული **მომსახურების** მიღების მიზნით **კლიენტი** ვალდებულია:

1.4.1. ყურადღებით გაეცნოს და დაეთანხმოს წინამდებარე **პირობებს** და **ტარიფებს**, ასევე **უნივერსალური ანგარიშის** მომსახურების პირობებს;

1.4.2. სრულად შეავსოს და ხელი მოაწეროს ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით დაეთანხმოს სათანადო **განაცხადს,** რითაც იმავდროულად ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ: (ა) **განაცხადი** შევსებულია სრულად (ბ)**განაცხადში** შევსებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი; (გ) **განაცხადის** ხელმოწერამდე ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით თანხმობის გამოხატვამდე სრულად გაეცნო და წინამდებარე **პირობებს** და **უნივერსალური ანგარიშის** მომსახურების პირობებს;

1.4.3. წარმოადგინოს **განაცხადში** მითითებული პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

1.4.4. განახორციელოს **კლიენტის** იდენტიფიკაციის მიზნით **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ქმედება;

1.5. **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** შეთავაზებული **პროდუქტები** ან/და **მომსახურების** ჩამონათვალი მოცემულია, მაგრამ არ შემოიფარგლება წინამდებარე პუნქტით. **კლიენტის** მიერ აღნიშნული **მომსახურება** ან/და **პროდუქტები** შესაძლებელია მიღებულ იქნას, **სატარიფო პაკეტ(ებ)ში ბანკის** მიერ დადგენილი კომბინაციებით. ამასთან, ზოგიერთი **მომსახურების** მიღება **კლიენტის** მიერ შესაძლებელია განხორციელდეს დამოუკიდებლად, **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად:

**1.5.1. უნივერსალური ანგარიში;**

1.5.2. **ბარათი** - VISA, MasterCard, ან სხვა საგადამხდელო სისტემის საბანკო ბარათი;

1.5.3. **პლასტიკური ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი;**

1.5.4. **დისტანციური საბანკო მომსახურება;**

1.5.5. მუდმივი საგადახდო დავალება/Standing Order;

1.5.6. ავტომატური გადახდები/Direct Debit;

1.5.7. შემნახველი ანაბარი;

1.5.8. **სპეციალური სავალუტო ანგარიში;**

1.5.9. **Priority Pass (ფრაიორითი ფას);**

1.5.10. ვალუტის გაცვლა/კონვერტაცია;

1.5.11. **VISA Infinite ბარათი;**

1.5.12. უკონტაქტო წამკითხველი;

1.5.13. **საკრედიტო ბარათი;**

1.5.14. **ყულაბა**

1.6. თუ **კლიენტს** არ გააჩნია 1.5. პუნქტში ჩამოთვლილთაგან რომელიმე **პროდუქტით** ან/და **მომსახურებით** სარგებლობის უფლება, მას არ შეეხება **პირობებში** ამ **პროდუქტის/მომსახურების** აღმწერი შესაბამისი პუნქტები. ეს პუნქტები **კლიენტისათვის** ამოქმედდება შესაბამისი **პროდუქტით** ან/და **მომსახურებით** სარგებლობის უფლების მინიჭების შემდეგ.

1.7. **კლიენტის** მიერ პირობებში აღწერილი რომელიმე **პროდუქტის** ან/და **მომსახურების** (ან მისი ნაწილის) **ბანკის** თანხმობით გამოყენება განიხილება როგორც **კლიენტის** თანხმობა წინამდებარე **პირობების** შესაბამისად აღნიშნული **პროდუქტით** სარგებლობის პირობებზე.

1.8. **ბანკი** უფლებამოსილია შეცვალოს საბანკო **მომსახურების** ან/და **პროდუქტების** რაოდენობა ან/და სახეები.

1.9. **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე **პირობებში** გათვალისწინებული წესები ან/და **ხელშეკრულების** სხვა შემადგენელ დოკუმენტებში მოყვანილი წესები, პირობები ან/და **ტარიფები**.

1.10. **ბანკი** იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს **კლიენტს** **მომსახურების** გაწევაზე, თუ **კლიენტმა** საერთოდ ან დროულად არ შეავსო, ხელი არ მოაწერა/არ დაეთანხმა ან **ბანკს** არ წარუდგინა **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი ბანკისათვის მისაღები ფორმით და შინაარსით ან/და არ გაიარა იდენტიფიკაციის პროცესი **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

1.11. **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** მომსახურებას **კლიენტის** მიერ შესაბამისი **განაცხადის** შევსებისა და **ბანკის** მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან/და შესაბამისი **პროდუქტის** მისაღებად **ბანკის** მიერ დადგენილი პროცესის სრულად გავლის შემდეგ. ამასთან, **ბანკს** უფლება აქვს, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს **განაცხადი** და უარი განუცხადოს **კლიენტს მომსახურების** გაწევაზე ან/და შეწყვეტაზე, მიზეზის გაცხადების გარეშე.

1.12. **ბანკს** უფლება აქვს შეამოწმოს **კლიენტის** მიერ მისთვის (**ბანკისათვის**) მიწოდებული ან/და **კლიენტის** შესახებ ნებისმიერი სხვა გზით მოპოვებული ინფორმაცია, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.

## 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (პირობების) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. **ადმინისტრატორი** - ფრაიორითი თრეველერ გრუპი (Priority Traveller Group) - კომპანია, რომელიც ახორციელებს **კლიენტის** მომსახურეობას **ფრაიორითი ფასის (Priority Pass)** პროდუქტის მიხედვით საკუთარი წესების და წინამდებარე **ხელშეკრულების** საფუძველზე;

2.1.2. **ამონაწერი - ბანკში** დადგენილი ფორმით შედგენილი ინფორმაცია, **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე** განხორციელებული **ოპერაციებისა** და ნაშთების შესახებ;

2.1.3. **ანგარიშის ძირითადი ვალუტა ან ძირითადი ვალუტა** - ქვეანგარიშის ვალუტა, რომელსაც აქვს უმაღლესი პრიორიტეტი მულტისავალუტო ანაგრიშზე;

2.1.4. **ბანკი** - სს „ლიბერთი ბანკი", რომელის წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**.

2.1.5. **ბანკომატი** - თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც **კლიენტს** შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა / შეტანა, სესხის / **ოვერდრაფტის** გააქტიურება, თანხის გადარიცხვა, ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა **ბანკის** მიერ ამ არხისათვის დაშვებული ოპერაციების ჩატარება. **ბანკომატიდან თანხის განაღდების ლიმიტი** -

**ბანკომატიდან** გარკვეული პერიოდის განმავლობაში გასანაღდებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა;

2.1.6. **ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის ლიმიტი - ბანკის** შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** მეშვეობით გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაშვები თანხის შეტანის მაქსიმალური ოდენობა;

2.1.7. **ბარათი** ან **საბანკო ბარათი - ბანკის** მიერ ემიტირებული ძირითადი ან/და დამატებითი საერთაშორისო საბანკო ბარათი (**VISA, MasterCard**), ან სხვა საგადამხდელო საშუალება, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშთან** და რომელსაც **კლიენტი** იყენებს წინამდებარე **პირობებით ბანკში** შესაბამისი დროისთვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების მიხედვით;

2.1.8. **განაცხადი - კლიენტის** მიერ წინასწარ დადგენილი სპეციალური ბეჭდვითი ან/და ელექტრონული ფორმით წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული **მომსახურებით** სარგებლობის მოთხოვნა. **განაცხადის** ფორმა შესაძლოა შედგებოდეს **ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრული ფორმით დადგენილი კითხვარისგან, რომელიც შესაბამისობაშია **ბანკში** მოქმედ Know Your Client (იცნობდე შენს კლიენტს) პროცედურებთან, დოკუმენტების ჩამონათვალისგან, რომელიც **კლიენტმა** უნდა წარადგინოს **ბანკში**, **კლიენტის** განცხადებებისგან და პოტენციური კლიენტის ან **დამატებითი ბარათის მფლობელის** (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ხელმოწერისგან ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაციისგან/დოკუმენტებისგან;

2.1.9. **გახარჯვის სქემა - უნივერსალური ანგარიშიდან** თანხის გახარჯვის სქემა, მოიცავს ორ ოფციას: (ა) ნაშთის პრიორიტეტი - თუ **ოპერაციის** შესრულებისათვის **კლიენტს** შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო ანგარიშის შემადგენელი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი დადებითი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცი(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეგროვება. თანხის შეგროვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან. (ბ) ოვერდრაფტის პრიორიტეტი - თუ **ოპერაციის** შესრულებისათვის კლიენტს შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო ანგარიშის შემადგენელი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი ხელმისაწვდომი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცი(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეგროვება, ხელმისაწვდომი ნაშთების გათვალისწინებით. თანხის შეგროვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან. (**ოპერაციის** ვალუტაში კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობისას ან ნაშთის არარსებობისას, **ოპერაციის** თანხა ჩამოიჭრება ან სხვა ვალუტის ანგარიშებზე არსებული ნაშთებიდან (ნაშთების პრიორიტეტი) ან **ოპერაციის** ვალუტაში არსებული ოვერდრაფტიდან (ოვერდრაფტის პრიორიტეტი) **კლიენტის** არჩევანის შესაბამისად. პრიორიტეტი ფიქსირდება **განაცხადში**);

2.1.10. **დავალება - კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული დავალება გადახდის **ოპერაციის** განხორციელების თაობაზე, რომელსაც **კლიენტი** აძლევს **ბანკს** უშუალოდ ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხების გამოყენებით, წინამდებარე **პირობების** შესაბამისად;

2.1.11. **დამატებითი ბარათი - ბარათი,** რომელსაც **ბანკი** გასცემს **კლიენტზე** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებულ სხვა პირზე (**დამატებითი ბარათის მფლობელი**); **დამატებითი ბარათი**, მიუხედავად თავისი მფლობელისა არის დაკავშირებული **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშთან** და **დამატებითი ბარათით** განხორციელებულ ნებისმიერ **ოპერაციაზე** პასუხს აგებს **კლიენტი/ძირითადი ბარათის მფლობელი**;

2.1.12. **დამატებითი ბარათის მფლობელი** - პირი, რომლის სახელზეც, **კლიენტის** მოთხოვნით, არის **გაცემული დამატებითი ბარათი**.

2.1.13. **დამუშავება ან მონაცემთა დამუშავება** - განიმარტება პირობების 25.2. პუნქტის შესაბამისად;

2.1.14. **დისტანციური საბანკო მომსახურება** - წინამდებარე **პირობების** მე-6 მუხლში აღწერილი **ბანკის** მიერ შეთავაზებული **საბანკო მომსახურება(ები);**

2.1.15. **ვალუტების პრიორიტეტულობა** - ვალუტის პრიორიტეტულობა განსაზღვრავს იმ რიგითობას, რომლის მიხედვითაც **ბანკი** (გახარჯვის სქემის გათვალისწინებით) მოახდენს **კლიენტის** მულტისავალუტო ანგარიშის საბანკო ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერას შესაბამისი **ოპერაციის** განსახორციელებლად;

2.1.16. **ვერიფიცირებული ნომერი - ბანკში** დაფიქსირებული **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც ვერიფიკაციას გადის **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **ბანკის** მიერ საკუთარი (**ბანკის)** შეხედულებისამებრ გამოიყენება **კლიენტთან** კომუნიკაციისას ან/და **ოპერაციის, დავალების** ან/და **საბანკო პროდუქტით მომსახურების/საბანკო მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) დასადასტურებლად.

2.1.17. **კლიენტი** - პირი, რომლის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მოცემულია **განაცხადში**, რომლის სახელზეც, **ბანკის** თანხმობით, იხსნება **უნივერსალური ანგარიში** და რომელიც **განაცხადის** საფუძველზე სარგებლობს წინამდებარე **პირობების** დანართში მოცემული **სატარიფო პაკეტ(ებ)ით** განსაზღვრული **მომსახურებით/პროდუქტებით** ან/და მიმართავს **ბანკს** საბანკო **პროდუქტ(ებ)ით** სარგებლობის დაწყების ან/და საბანკო ოპერაციის განხორციელების მიზნით;

2.1.18. **ლიბერთი ბანკის პირადი საბანკო მომსახურების საკომისიო(ები)** ან **საკომისიო(ები)** - წინამდებარე **პირობებით** ან/და **სატარიფო პაკეტებით** დადგენილი საბანკო **პროდუქტით** ან/და **მომსახურებით** სარგებლობის საკომისიო(ები);

2.1.19. **მესამე პირ(ებ)ი** - პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნისათვის, **ბანკის** მშობელი ან/და შვილობილი საწარმო, მისი აფილირებული ან/და ჯგუფის წევრი პირები, **ბანკის** კონტრაქტორები, მიმწოდებლები, პროვაიდერები ან/და სხვა პირები, რომლებიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის საფუძველზე ახორციელებენ **ბანკისაგან** მიღებული პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის დამუშავებას (**ბანკის** სახელითა და მიზნებისათვის, როგორც მისი უფლებამოსილი პირები, ასევე საკუთარი სახელითა და მიზნებისათვის - დამოუკიდებლად) ან/და **ბანკისათვის** მათი ან/და ბანკის კლიენტების შესახებ პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის მიწოდებას. **მესამე პირ(ებ)ის** კატეგორიები მოცემულია წინამდებარე **პირობებში**;

2.1.20. **მომსახურების ტარიფები** ან **ტარიფები** - წინამდებარე **პირობების** #1 დანართი, რომლითაც განსაზღვრულია **სატარიფო პაკეტ(ებ)ით** მომსახურების **პირობები**;

2.1.21. **მხარე/მხარეები - ბანკი** ან/და **კლიენტი** ან/და **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი** კონტექსტის შესაბამისად;

2.1.22. **ონლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია  ემიტენტის ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ ემიტენტის სახელით;

2.1.23. **ოფლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია  ემიტენტთან დაკავშირების გარეშე;

2.1.24. **ოვერდრაფტი** - დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე **კლიენტის** ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხა - საკრედიტო ლიმიტი, რომლითაც არაერთჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობს კლიენტი და რომელიც, თუ ბანკსა და კლიენტს შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ავტომატურად დაიფარება **კლიენტის** ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისას/შეტანისას. ამასთან, **კლიენტის** მიერ **ოვერდრაფტით** სარგებლობის პირობები და **ტარიფები** განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების, მათ შორის „კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“ შესაბამისად, რომელსაც ეთანხმება კლიენტი შესაბამისი **განაცხადით განაცხადით** ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით.

2.1.25. **ოპერაცია - ბანკის** მიერ დაშვებული ყველა შესაძლო არხის,  მათ შორის, **ბანკის** მომსახურების წერტილების, **ბარათის, ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხების, ბარათის** ნომრის, PIN-ის, **წვდომის კოდების, ვერიფიცირებულ ნომერზე** მიღებული შესაბამისი ერთჯერადი კოდის **ბანკისათვის** მიწოდებით (**ბანკის** ოპერატორისათვის კარნახით, **ბანკის** შესაბამის სისტემებში შეყვანით ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით) ან სხვა საშუალების გამოყენებით, **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე** განხორციელებული ნებისმიერი საბანკო **ოპერაცია,**

2.1.26. **პარტნიორი** -  კომპანია, რომელიც **VISA INFINITE** ტიპის ბარათის მფლობელებისთვის უზრუნველყოფს **VISA Concierge (ვიზა კონსიერჟ)** მომსახურების გაწევას **პარტნიორის** ან/და VISA-ს მიერ განსაზღვრული წესების და წინამდებარე **პირობების** შესაბამისად.

2.1.27. **პერსონალური მონაცემები** - განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გულისხმობს ნებისმიერი ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს;

2.1.28. **პირობები - ბანკის** დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე პირადი **საბანკო მომსახურების** პირობები, რომელიც ძალაშია ზემოთაღნიშნული თარიღიდან;

2.1.29. **რეკურენტული გადახდები - კლიენტის** მიერ მერჩანტისათვის მიცემული წინასწარი თანხმობის და ერთჯერადად მიწოდებული საბარათე მონაცემების საფუძველზე, მერჩანტის მოთხოვნის/პერმანენტული **საგადახდო დავალების** შესაბამისად **კლიენტის საბარათე ანგარიშიდან,** მერჩანტის მიერ მოთხოვნილი პერიოდულობითა და განსაზღვრული ვადით განხორციელებული გადახდები.

2.1.30. **საბანკო მომსახურება** ან **მომსახურება(ები) - ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობების** დანართის თანახმად შეთავაზებული საცალო საბანკო **პროდუქტი** ან/და **მომსახურება** მულტისავალუტო ანგარიშის უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშების ვალუტა.

2.1.31. **სავაჭრო/მომსახურების ობიექტის კოდი** ან **MCC** – ISO 18245 სტანდარტით სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობების ჭრილში დადგენილი ოთხნიშნა კოდი;

2.1.32. **საკრედიტო ბარათი - ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დამზადებული საკრედიტო ბარათ(ებ)ი, რომელიც შესაძლებელია **ბანკმა** დრო და დრო გამოუშვას და შესთავაზოს **კლიენტებს**, რომელზეც დაიშვება ბანკის მიერ განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტი. **საკრედიტო ბარათით** სარგებლობის წესები, პირობები და ტარიფები განისაზღვრება „საკრედიტო ბარათის პირობებით", რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე http://www.libertybank.ge.

2.1.33. **სანქციების დამდგენი ორგანო -** ნებისმიერი სახელმწიფოს ან/და სახელმწიფოთა გაერთიანების აღმასრულებელი/საკანონმდებლო/სასამართლო ხელისუფლება, ცენტრალური ბანკი, სახელმწიფო ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმმართველი ორგანო, ზედამხედველი / მარეგულირებელი / მაკონტროლებელი ორგანო, (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახური, გაერთიანებული სამეფოს ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახური, ევროპის კავშირის ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრე), ასევე, ნებისმიერი საერთაშორისო/ზესახელმწიფო ორგანიზაცია, საერთაშორისო საგახდო სისტემა, ფინანსური ინსტიტური ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანო, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში **კლიენტზე/კლიენტთან** დაკავშირებულ პირებზე, ვაჭრობის/მომსახურების ნებისმიერ დარგზე ან/და საქმიანობის სხვა სფეროზე გაავრცელებს რაიმე სახის ფინანსურ სანქციას ან/და სხვა ტიპის შეზღუდვა(ებ)ს/აკრძალავა(ებ)ს/ემბარგო(ებ)ს.

2.1.34. **საქართველოს კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

2.1.35. **სატარიფო პაკეტი - ბანკის** მიერ დადგენილი პროდუქტების ერთობლიობა, რაც გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე საბანკო **პროდუქტით** ან/და **მომსახურებით** სარგებლობის უფლების მოპოვებას **სატარიფო პაკეტით** განსაზღვრული საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის სანაცვლოდ. **სატარიფო პაკეტ(ებ)ში** შემავალი **საბანკო მომსახურებების** ჩამონათვალი განისაზღვრება წინამდებარე **პირობების** #1 დანართით;

2.1.36. **სპეციალური სავალუტო ანგარიში** - ფიზიკური პირის მონოსავალუტო ანგარიში, რომელიც იხსნება **უნივერსალური ანგარიშის** ვალუტებისგან განსხვავებულ ერთ რომელიმე ვალუტაში. **სპეციალური სავალუტო ანგარიშის** შესაძლო ვალუტების ჩამონათვალი მოცემულია **პირობების** #1 დანართში

2.1.37. **უნივერსალური** (იგივე ლიბერთი) **ანგარიში -** ფიზიკური პირის მულტისავალუტო ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვე-ანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიბმულია ერთ ძირითად **საბანკო ბარათზე**;

2.1.38. **უფლებამოსილი მფლობელი - კლიენტი**, **დამატებითი ბარათის მფლობელი** ან/და მისი/მათი უფლებამოსილი წარმომადგენელი;

2.1.39. **ფრაიორითი ფასი** ან **Priority Pass -** არასაბანკო ბარათი, რომელიც მის მფლობელს აწევრიანებს დამოუკიდებელ კლუბში, რომელიც თავის წევრებს სთავაზობს მსოფლიოს მასშტაბით 600-ზე მეტ საერთაშორისო აეროპორტში ვიპ მომსახურების დარბაზებით შეღავათიანი **ტარიფებით** სარგებლობის შესაძლებლობას. მომსახურების დეტალები მოცემულია ვებ-გვერდზე www.prioritypass.com;

2.1.40. **ქართული ლარი** ან **ლარი** ან **GEL -** საქართველოს ოფიციალური ფულის ერთეული.

2.1.41. **თოქენი** - **ბარათის** უნიკალური ციფრული იდენტიფიკატორი, რომელიც გენერირდება და ინახება გადახდის ფუნქციონალის მქონე ელექტრონულ მოწყობილობაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ან ელ. კომერციის მერჩანტის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ვებ-გვერდი ან /და აპლიკაცია) და მისი საშუალებით შესაძლებელია საგადახდო ოპერაციების შესრულება. **თოქენზე** ვრცელდება **კლიენტის** ყველა ის უსაფრთხოების მოთხოვნა და ვალდებულება რაც დაკავშირებულია პლასტიკურ **ბარათთან.**

2.1.42. **ყულაბა** ან **თანხის დაგროვების სერვისი -** საბანკო მომსახურება, რომელიც **კლიენტს** შესაძლებლობას აძლევს დააგროვოს თანხა **ბანკში** გახსნილ მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე, **ბანკის** მიერ შეთავაზებული დაგროვების სქემის შესაბამისად.

2.1.43. **წვდომის კოდები** - **ბარათის** PIN კოდები, პაროლები, მომხმარებლის სახელი ან/და ნებისმიერი სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც **ბანკმა** შეიძლება **კლიენტს** მიაწოდოს სხვადასხვა საბანკო მომსახურებებთან უსაფრთხო წვდომისა და სარგებლობისთვის;

2.1.44. **ხარჯვის ლიმიტი - ბარათიდან** გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანხის ხარჯვის (რაც ასევე მოიცავს **ბანკომატიდან თანხის განაღდების ლიმიტს**) მაქსიმალური ოდენობა;

2.1.45. **VISA Concierge** ან **ვიზა კონსიერჟ მომსახურება - VISA INFINITE** ტიპის ბარათის მფლობელებისთვის შეთავაზებული პერსონალური ასისტენტის მომსახურება, რომლის მიწოდება ხორციელდება **პარტნიორის** მიერ მის ან/და VISA-ს მიერ განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად.

2.1.46. **VISA INFINITY CARD ან VISA INFINITY ბარათი** - **ბანკის** მიერ ემიტირებული საერთაშორისო **საბანკო ბარათი**, საგადამხდელო საშუალება, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშთან,** კლასიფიცირებულია როგორც VISA Infinite ბარათი და რომელსაც **კლიენტი** იყენებს წინამდებარე **პირობებით ბანკში** შესაბამისი დროისთვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების მიხედვით.

## 3. კლიენტის განცხადებები

3.1. **კლიენტი** წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებულ **განაცხადზე** თანხმობის გამოხატვით ან/და **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:

3.1.1. **კლიენტს** აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ **ხელშეკრულებით** ან ნებისმიერი სხვა **ხელშეკრულებ(ებ)ით** და **განაცხადებით** გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.1.2. **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის განაცხადის** სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;

3.1.3. წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული **ოპერაცი(ებ)ის** შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან **კლიენტის** სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია **კლიენტი**. ამ **ხელშეკრულების** პირობებით განსაზღვრული **ოპერაციის** შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს **კლიენტი**;

3.1.4. **კლიენტი** არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე;

3.1.5. წინამდებარე **ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.1.6. წინამდებარე **ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობითაც შესაძლოა **ბანკს** მიადგეს მატერიალური ან სხვა სახის ზიანი/ზარალი და დაიცავს **ბანკს** ამგვარი სახის ზიანისაგან/ზარალისაგან.

3.1.7. წინამდებარე **ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის არ განახორციელებს იმგვარ ქმედებებს, რომელთა შედეგადაც შესაძლოა **ბანკს** მიადგეს ნებისმიერი სახის ზიანი/ზარალი და ასეთი შედეგის დადგომის შემთხვევაში აცნობიერებს **ბანკის** უფლებამოსილებას გამოიყენოს კანონმდებლობით ან/და წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ღონისძიებები.

3.1.8. **ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი მხრიდან ადგილი არ აქვს/ექნება არცერთი ქვეყნის **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს (ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და სხვა), მათ შორის და

არამხოლოდ: ფულის გათეთრება, ტერორიზმი, ნარკოტიკული დანაშაული, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ, დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წეს(ებ)ის წინააღმდეგ, დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ, დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და ფულად-საკრედიტო სისტემაში.

3.1.9. არ წარმოადგენს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციით ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვით/აკრძალვით (მათში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დასანქცირებულ პირს;

3.1.10. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **ბანკის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **ხელშეკრულების** ან/და **ბანკთან** დადებული სხვა ხელშეკრულების დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება, **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;

3.1.11. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული გადასახადი, ქრთამი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **ხელშეკრულებას** ან/და **ბანკთან** დადებულ სხვა ნებისმიერ ხელშეკრულებას.

3.1.12. **კლიენტის** მიერ ელექტრონული ფორმით გაკეთებულ თანხმობას (მაგ. ეკრანზე თანხმობის ღილაკის დაჭერას, მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის **ბანკისთვის** კარნახს ან/და სხვა ქმედებას, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს **კლიენტის** ნებას) ან **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას/დათანხმებას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

3.2. აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია ამ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

3.3. **კლიენტი** ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს**) ამ **ხელშეკრულების** მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი გარანტიების დარღვევას.

3.4. ამ **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ **ხელშეკრულებაში** მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.

3.5. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება **ბანკის** უფლება მოითხოვოს ზიანის ანზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, **კლიენტი** თანახმაა **ბანკს** აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. წინამდებარე პუნქტის მიზნების უზრუნველსაყოფად **კლიენტი** აცნობიერებს **ბანკის** უფლებამოსილებას წინასწარი შეტყობინების გარეშე უაქცეპტოდ დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიში, დაბლოკოს/დაბრონოს/ჩამოწეროს თანხები **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან და მიმართოს აღნიშნული თანხები მესამე პირების ან **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანებების დასაფარად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ნაწილი II**

## 4. უნივერსალური ანგარიში

4.1. **კლიენტი** ვალდებულია წინამდებარე **პირობების** შესაბამისად განსაზღვრული მომსახურების მისაღებად გახსნას ანგარიში.

4.2. ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებული **ოპერაციები**:

4.2.1. **კლიენტი** ვალდებულია წინასწარ აირჩიოს და შეცვალოს (საჭიროების შემთხვევაში) ანგარიშის ძირითადი ვალუტა, **ვალუტების პრიორიტეტულობა** და **გახარჯვის სქემა.**

4.2.2. **ოპერაციის** დასრულებისთვის საჭირო თანხები უნდა ჩამოიჭრას **ოპერაციის** ვალუტის ქვე-ანგარიშიდან.

4.2.3. **ოპერაციის** ვალუტაში **კლიენტის** ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობისას ან ნაშთის არარსებობისას, ანგარიშიდან **ოპერაციის** თანხა ჩამოიჭრება **გახარჯვის შესაბამისი სქემის** და **ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად**. საჭიროების შემთხვევაში, თანხები შესაძლებელია დაკონვერტირდეს.

4.2.4. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** მიიღოს და იმოქმედოს მისი დავალებების შესაბამისად, რომელსაც **კლიენტი ბანკს** მიაწოდებს წერილობით, ელექტრონული საშუალებით ან **ბანკისთვის** მისაღები სხვა ფორმით. იმ შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის** დავალებები წერილობითი ფორმით არ არის განხორციელებული, კერძოდ, **კლიენტის** მიერ არ არის ხელმოწერილი, **ბანკს** აქვს უფლება მიიღოს და განახორციელოს ისინი, თუ დაცულია **ბანკში** დაწესებული უსაფრთხოების პროცედურა.

4.2.5. **კლიენტს** მუდმივად უნდა ჰქონდეს თავისუფალი სახსრები (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს დაშვებული **ოვერდრაფტის** თანხას) ანგარიშზე სანამ:

4.2.5.1. სარგებლობს მუდმივი საგადასახადო დავალებისა ან/და ავტომატური გადახდების მომსახურებით;

4.2.5.2. **კლიენტი** ახორციელებს **ოპერაციას დისტანციური საბანკო მომსახურების** (მათ შორის პლასტიკური **ბარათით**) საშუალებით;

4.2.5.3. ვადა უწევს ნებისმიერი სხვა ოპერაციის განხორციელებას, რომლის თანხებიც ჯერ არ არის ანგარიშიდან ჩამოჭრილი;

4.2.6. **ბანკის** შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** მეშვეობით **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს განახორციელოს ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაცია VISA/MasterCard ტიპის ბარათების გამოყენებით **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად. **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციის განსახორციელებლად **კლიენტმა** უნდა მიუთითოს სასურველი ანგარიში და **ბანკომატის** თანხის მიმღებში განათავსოს შესატანი თანხა.

4.2.7. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ **ბანკომატის** თანხის მიმღებში განთავსებული თანხა განსხვავდება არჩეული ანგარიშის ვალუტისაგან, **კლიენტის** მიერ წინასწარ არჩეულ ანგარიშზე ჩაირიცხება ანგარიშის ვალუტაში კონვერტირებული თანხა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის გაცვლის **ოპერაციის** ინიცირების/დადასტურების შემდეგ, ოპერაციის სრულად დასრულებამდე შეიცვლება **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი**, ვალუტის კონვერტაცია შესრულდება **კლიენტის** ანგარიშზე თანხის ასახვის მომენტში არსებული **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის** შესაბამისად, მიუხედავად **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის თაობაზე**, **კლიენტისთვის ოპერაციის** ინცირების/დადასტურების მომენტში მიწოდებული ინფორმაციისა.

4.2.8. **კლიენტი** ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს **ბანკომატში** თანხის მიღებასთან და **ოპერაციის** შესრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობას/შეზღუდვას/მითითებას და **ოპერაციის** განხორციელებისას მიყვეს **ბანკომატის** მიერ გაცემულ ინსტრუქციებს, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **კლიენტის** ვალდებულებას **ბანკომატში** არ განათავსოს დაზიანებული, დასვრილი, დაკეცილი, შეკრული, ყალბი კუპიურები. აგრეთვე დაუშვებელია **ბანკომატის** თანხის მიმღებში მონეტების ან/და სხვადასხვა ვალუტის კუპიურების ერთდროულად განთავსება. **ბანკომატის** თანხის მიმღებში ერჯერადად დასაშვები კუპიურების მაქსიმალური ოდენობა განსისაზღვრება წინამდებარე **პირობების** #1 დანართით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანის შეფერხება/შეუძლებლობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვა გარემოებ(ებ)ით. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ წინამდებარე

პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და **კლიენტის** უყურადღებობის გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე, მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ოპერაციის** შესრულებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შედეგად თანხის დაკავებით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე.

4.2.9. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ მისი ანგარიშიდან გადახდილი თანხა, რომელიც მოიცავს აგრეთვე **ბანკომატით** განხორციელებულ განაღდების **ოპერაციას**, არ აისახება მის ანგარიშზე **ოპერაციის** განხორცილების დღეს.

4.3. **კლიენტს უფლება აქვს:**

4.3.1. **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე **უნივერსალური ანგარიში**;

4.3.2. მისცეს **ბანკს** დავალებები **უნივერსალურ ანგარიშზე ოპერაციების** საწარმოებლად კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

4.3.3. **განაცხადით** განსაზღვროს ანგარიშის ძირითადი ვალუტა, **ვალუტების პრიორიტეტი** და **გახარჯვის სქემა**;

4.3.4. შეცვალოს **უნივერსალური ანგარიშის** ძირითადი ვალუტა, **ვალუტების პრიორიტეტი** ან **გახარჯვის სქემა**, რისთვისაც **ბანკს** გადაუხდის შესაბამის საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.3.5. წაუყენოს **ბანკს** პრეტენზიები **ამონაწერის** მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში **კლიენტის** მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, **ამონაწერში** არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად **კლიენტის** მიერ.

4.3.6. შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება ბანკისთვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

4.4. **კლიენტი ვალდებულია:**

4.4.1. **უნივერსალურ ანგარიშზე ამონაწერის** მიღებიდან 7 (შვიდი) საბანკო დღის ვადაში შეატყობინოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და დაუბრუნოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკის** მოთხოვნით გადაუხადოს ჯარიმა **ტარიფებში** გათვალისწინებული ოდენობით;

4.4.2. პასუხი აგოს **განაცხადის** შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს **ბანკს**;

4.4.3. **ბანკში** მოქმედი **ტარიფების** შესაბამისად გადაიხადოს **საბანკო ოპერაციების** წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;

4.4.4. გადაუხადოს **ბანკს** ანგარიშზე არსებული **ოვერდრაფტის** (მათ შორის ოვერლიმიტი) სრული თანხა და საკომისიო **ბანკში** მოქმედი **ტარიფების** და წესების შესაბამისად;

4.4.5. არ გამოიყენოს საბანკო მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი ანგარიშის გადახარჯვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მოხდება ხარჯვის შეთანხმებული ლიმიტის გადაჭარბება.

4.5. **ბანკს უფლება აქვს:**

4.5.1. დროებით გამოიყენოს **კლიენტის** ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით;

4.5.2. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხეშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის (მათ შორის წინამდებარე **ხელშეკრულების** მე-3 მუხლში მოცემული განცხადებებისა და გარანტიების) შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ანგარიში, დაბლოკოს/დაზრონოს/ჩამოწეროს თანხები **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან;

4.5.3. **ბანკის/ბანკის** სხვა კლიენტების ან/და მესამე პირების ინტერესების დასაცავად, დაბლოკოს/დახუროს **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიში, დაბლოკოს/დაზრონოს/ჩამოწეროს თანხები, შეაჩეროს კონკრეტული ტრანზაქცია(ები) თუ **ბანკს** გააჩნია ეჭვი/**ბანკისთვის** ცნობილი გახდა, რომ:

4.5.3.1. **კლიენტი** არღვევს საქართველოს ან სხვა ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობას (მათ შორის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის დანაწესებს);

4.5.3.2. **კლიენტი, კლიენტის** სახელით მოქმედი პირი ან/და **კლიენტთან** პირადი, ნათესაური, საქმიანი ან/და სხვაგვარად **ბანკის** შეხედულებისამებრ დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ი წარმოადგენ(ენ)ს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ სანქცირებულ პირ(ებ)ს ან/და არსებობს სანქცირებულ პირთა სიაში მისი/მათი მოხვედრის საფრთხე;

4.5.3.3. **კლიენტი** ახორციელებს საქმიან ურთიერთობას ისეთ პირთან რომელიც (მათ შორის მის სადამფუძნებლო სტრუქტურაში შემავალი პირ(ებ)ი, აღმასრულებელი პირ(ებ)ი, ბენეფიციარი მესაკუთრე(ები), მისი სახელით მოქმედი პირ(ებ)ი ან/და სხვაგვარად დაკავშირებული პირ(ებ)ი წარმოადგენ(ენ)ს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ სანქცირებულ პირ(ებ)ს ან/და არსებობს სანქცირებულ პირთა სიაში მისი/მათი მოხვედრის საფრთხე;

4.5.3.4. **კლიენტის** ნებისმიერი ქმედება გამოიწვევს (ან შეიძლება გამოიწვიოს) **ბანკის** შიდა პროცედურებით ან/და პოლიტიკით განსაზღვრული წესების დარღვევას და შედეგად მატერიალური ან ნებისმიერი სახის ზიანის/ზარალის მიყენებას **ბანკისათვის;**

4.5.3.5. შესაძლოა აღნიშნული თანხები გახდეს სადაო **კლიენტსა** და მესამე პირებს შორის, რამაც შესაძლოა **ბანკისთვს** გამოიწვიოს ზიანის/ზარალის მიყენება.

4.5.4. იმოქმედოს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქცი(ებ)ის მიხედვით (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ **სანქციების დამდგენი ორგანოს** გადაწყვეტილება(ები)/მითითება(ები) სავალდებულოდ შესასრულებელი არ არის **ბანკისთვის**) და განახორციელოს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული/მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება(ები). წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ქმედებ(ებ)ის განხორციელება არ ჩაითვლება **ბანკის** მიერ **პირობებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევად და არ გამოიწვევს **ბანკის** პასუხისმგებლობას **კლიენტის** წინაშე;

4.5.5. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს **კლიენტის** რომელიმე კონკრეტული ან ყველა **ტრანზაქცია,** იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** შეფასებით არსებობს რისკი, რომ აღნიშნული **ტრანზაქციის** შესრულება გამოიწვევს **სანქციების დამდგენი ორგანოს** ნებისმიერი გადაწყვეტილებ(ებ)ის/მითითებ(ებ)ის/რეკომენდაცი(ებ)ის დარღვევას, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი გადაწყვეტილება(ები)/მითითება(ები)/რეკომენდაცია(ები) არ არის **ბანკისთვის** სავალდებულოდ შესასრულებელი;

4.5.6. საკუთარი შეხედულებისამებრ, მოითხოვოს **კლიენტთან** ან/და **კლიენტის** მიერ/სასარგებლოდ ინიცირებულ რომელიმე **ტრანზაქციასთან** დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, ხოლო ამ ინფორმაციის/დოკუმენტაციის **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში და ფორმით მიუღებლობის შემთხვევაში, შეაჩეროს/შეზღუდოს **ტრანზაქცი(ებ)ის** შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის ანგარიშ(ებ)ი**;

4.5.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, ჩაატაროს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები **კლიენტის, კლიენტის** სახელით მოქმედი პირ(ებ)ის ან/და **კლიენტთან** დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ის იდენტიფიკაციისა და სანდო და დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით მისი/მათი ვერიფიკაციისთვის, ასევე, კონკრეტული **ტრანზაქცი(ებ)ის** მიზნისა და წარმომავლობის დასადგენად. აღნიშნული მიზნით **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისგან** ან/და ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ისგან მიიღოს ან/და შესაბამის უფლებამოსილ პირ(ებ)ს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ზედამხედველ/მაკონტროლებელ ორგანოებს) გადასცეს **კლიენტ(ებ)თან, კლიენტის** სახელით მოქმედ პირ(ებ)თან, **კლიენტთან** დაკავშირებული სხვა პირ(ებ)თან ან/და **კლიენტის** მიერ ინიცირებულ **ტრანზაქცია(ებ)სთან** დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

4.5.8. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული **ტრანზაქცი(ებ)ის** შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის ანგარიში,** იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული **ტრანზაქცი(ებ)ის** შესრულება ან/და **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევა **ბანკს** შეუქმნის საფრთხეს/დაბრკოლებას სხვა ფინანსურ ინსტიტუტ(ებ)თან, საგადახდო სისტემას(ებ)თან, საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)თან, მარეგულირებელ/მაკონტროლებელ ორგანოს(ებ)თან ან/და **ბანკის** სხვა პარტნიორ(ებ)თან/კონტრაქტორ(ებ)თან/ზედამხედველ(ებ)თან ურთიერთობაში;

4.5.9. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული **ტრანზაქცი(ებ)ის** შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის ანგარიში,** იმ შემთხვევაში თუ **სანქციების დამდგენი ორგანოს** ნებისმიერი გადაწყვეტილების/მითითების/რეკომენდაციის (იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი გადაწყვეტილება/მითითება/რეკომენდაცია არ არის **ბანკისთვის** სავალდებულოდ შესასრულებელი) შედეგად **ბანკი** მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს/დაამუშაოს/შეასრულოს **კლიენტის** მიერ/სასარგებლოდ ინიცირებული **ტრანზაქცი(ები)ა** ან/და გაუწიოს **კლიენტს** ნებისმიერი საბანკო მომსახურება.

4.5.10. გადაახდევინოს **კლიენტს** ჯარიმა შეცდომით ჩარიცხული თანხის ან მისი ნაწილის გამოყენებისათვის;

4.5.11. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან **ბანკში** მოქმედი **ტარიფების** შესაბამისად უაქცეპტოდ ჩამოაწეროს **კლიენტს საბანკო**

**ოპერაციების** წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, ასევე, **სატარიფო პაკეტის** ღირებულება და **საქართველოს კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები და შეცდომით ჩარიცხული თანხები;

4.5.12. **კლიენტის ბანკში** არსებული **უნივერსალური ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოაწეროს **კლიენტს** თანხები, **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული ნებისმიერი და ყველა ვალდებულების დასაფარად;

4.5.13. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი და ყველა ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოაწეროს **კლიენტს** თანხები, **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული ნებისმიერი და ყველა ვალდებულების დასაფარად;

4.5.14. თუ **ოპერაციის** განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს **ოპერაცია** ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია;

4.5.15. **კლიენტის** მხრიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში ანგარიშის მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში ან/და **კლიენტის** ანგარიშზე ნაშთის არარსებობისას დახუროს აღნიშნული ანგარიში **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე;

4.5.16. **კლიენტის** მხრიდან უკვე დახურული ანგარიშის ხელმეორედ გახსნის/გააქტიურების მოთხოვნის შემთხვევაში, საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს ამ თხოვნაზე ან შეასრულოს იგი მხოლოდ **კლიენტის** მხრიდან ბანკისადმი არსებული დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ;

4.5.17. შეუწვიტოს **კლიენტს დისტანციური საბანკო მომსახურება,** თუ მას **ბანკში** აღარ გააჩნია **უნივერსალური ანგარიში**;

4.5.18. შეუწყვიტოს **კლიენტს** მუდმივი საგადახდო დავალების ან/და ავტომატური გადახდების მომსახურება იმ **ანგარიშის** დახურვის შემთხვევაში, რომლის სასარგებლოდაც გააქტიურებულია აღნიშნული მომსახურებები.

4.5.19. ზოგიერთ შემთხვევაში **ბანკმა** შეიძლება არ მიიღოს ანგარიშზე შენატანი და შესაძლოა მოსთხოვოს **კლიენტს** ანგარიშის დახურვა.

4.6. **ბანკი ვალდებულია:**

4.6.1. დაამზადოს და **კლიენტს** სარგებლობაში გადასცეს **ბარათ(ებ)ი**, **ბარათის** შესახებ **განაცხადში** მითითებული ინფორმაციის შესაბამისად;

4.6.2. **კლიენტის** ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერა განახორციელოს **განაცხადში კლიენტის** მიერ არჩეული გახარჯვის სქემის შესაბამისად;

4.6.3. **ბარათის** დაკარგვის შესახებ **განცხადების** მიღების შემდეგ, **ბარათის** მფლობელის ხარჯზე უზრუნველყოს **ბარათის** მოთავსება **განცხადებაში** მითითებულ სტოპ-სიაში;

4.6.4. **კლიენტს** ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს მოთხოვნისთანავე გადასცეს ანგარიშის **ამონაწერი ბანკში** მოქმედი **ტარიფებით** განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად.

4.7. **ანგარიშზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა:**

4.7.1. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ანგარიშზე ყოველი კალენდარული დღის ბოლოს არსებულ დადებით ნაშთზე დაარიცხოს საპროცენტო სარგებელი.

4.7.2. **ბანკი კლიენტის** ანგარიშზე დარიცხულ სარგებელს ჩარიცხავს ყოველი კალენდარული თვის ბოლოს;

4.7.3. ანგარიშზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება წელიწადში 365 კალენდარულ დღეზე გადაანგარიშებით **მომსახურების ტარიფების** შესაბამისად.

4.8. **ფინანსური უპირატესობები სხვა საბანკო მომსახურებებთან დაკავშირებით:**

4.8.1. **ბანკი** უფლებამოსილია შესთავაზოს **კლიენტს** ხელსაყრელი პირობები ან/და **ტარიფები** მის სხვა საბანკო მომსახურებებზე. სპეციალური ხელსაყრელი პირობების ან/და **ტარიფების** დეტალები განისაზღვრება მომსახურების **ტარიფებით** ან/და წინამდებარე **ხელშეკრულების** სხვა დანართებით.

4.9. **ანგარიშის დახურვა:**

4.9.1. თუ **ბანკი** თვლის, რომ **კლიენტმა** ანგარიში უნდა დახუროს, **კლიენტს** გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც **კლიენტს** მოეთხოვება ანგარიშის დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ **კლიენტი** არ დახურავს ანგარიშს, **ბანკს** უფლება აქვს აღარ მიიღოს გადახდები ანგარიშზე (ისეთი გადახდების გარდა, რომლებიც აუცილებელია ანგარიშზე რიცხული დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს **კლიენტს** ანგარიშზე რიცხული ნაშთი.

## 5. ბარათი

5.1. **ბარათის მიღება**

5.1.1. **კლიენტის** უნივერსალურ ანგარიშს შესაძლოა მიებას საერთაოშიროს ტიპის Visa ან MasterCard ბარათი, შესაბამისი **სატარიფო პაკეტისთვის** დასაშვები ბარათის ტიპი განისაზღვრება **დანართი №1**-ის შესაბამისად.

5.1.2. **ბარათის** მისაღებად **კლიენტმა ბანკს** უნდა წარუდგინოს სათანადოდ შევსებული და დამოწმებული **განაცხადი ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით.

5.1.3. **ბარათ(ებ)ს ბანკი** ამზადებს **კლიენტის განაცხადის** საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს **კლიენტს** სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ ან/და **განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ელექტრონული ფორმით გაგზავნილ **წვდომის კოდთან** (PIN-კოდი) ერთად) ანგარიშ(ებ)იდან **ოპერაციების** საწარმოებლად. **ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას.

5.1.4. თუ **უფლებამოსილი მფლობელი ბარათის** დამზადებიდან **ბანკის** მიერ განსაზღვრულ პერიოდში არ მიაკითხავს **ბანკს ბარათის** მისაღებად, **ბარათი** უქმდება. **კლიენტს ბარათის** მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.

5.1.5. **კლიენტს** შეუძლია **ბანკისგან** მოითხოვოს ნებისმიერი მესამე პირისათვის **დამატებითი ბარათ(ებ)ის** და მათი შესაბამისი **წვდომის კოდების** დამზადება და გაცემა.

5.1.6. **დამატებითი ბარათის** დამზადებაზე **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია გააცნოს **დამატებითი ბარათის მფლობელს** აღნიშნული **ბარათის** მომსახურებასთან დაკავშირებული პირობები.

5.1.7. **კლიენტი** ვალდებულია, გადაიხადოს **დამატებითი ბარათის** და **წვდომის კოდების** გამოყენებით განხორციელებული **ოპერაციების** საფასური და სხვა შესაბამისი ხარჯები. აღნიშნული **ოპერაციის** ხარჯები მოიცავს ანგარიშიდან ჩამოწერილ თანხებს **დამატებითი ბარათის ბანკისთვის** დაბრუნების შემდეგ.

5.1.8. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს,** გადასცეს ინფორმაცია მისი კუთვნილი **ანგარიშ(ებ)ის** შესახებ **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს**. ეს ინფორმაცია მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დეტალებს ანგარიშ(ებ)ის შესახებ, აგრეთვე, სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია **დამატებითი ბარათ(ებ)ის** სათანადო გამოყენებისთვის.

5.1.9. წინამდებარე პუნქტში მოცემული **ბარათის** მოხმარების პირობები ვრცელდება ამ **პირობების** თანახმად **ბანკის** მიერ **კლიენტზე** და **კლიენტის** მოთხოვნის შესაბამისად **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე** გაცემულ ყველა სახის **ბარათზე**.

5.1.10. **ბარათის** გამოყენება რეგულირდება საბანკო კანონმდებლობით და **ბანკსა** და საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებს VISA International და MasterCard Europe–ს შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.

5.2. **ბარათით სარგებლობის ძირითადი პირობები:**

5.2.1. **ბარათი** შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ **უფლებამოსილმა მფლობელმა**. ნებისმიერი **წვდომის კოდ(ებ)ის** გადაცემა მესამე პირ(ებ)ისთვის დაუშვებელია.

5.2.2. **ანგარიშზე** რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია **ბანკის** მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

5.2.3. **ბანკი** უფლებამოსილია საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები **კლიენტის** საბარათე **ოპერაციებზე.**

5.2.4. **კლიენტის** საბარათე **ოპერაციებზე** დაწესებული შეზღუდვები განისაზღვრება **დანართი №1**-ის შესაბამისად.

5.2.5. **კლიენტი** უფლებამოსილია საბარათე **ოპერაციებზე** დაწესებული შეზღუდვების გაუქმების და **დანართი №1-ით** განსაზღვრულ MCC კოდებზე **ოპერაციების** დაშვების მიზნით მიმართოს **ბანკს** შესაბამისი **განაცხადით**, **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

5.2.6. საბარათე **ოპერაციის** განხორციელების და მისი **ანგარიშზე** ასახვის ვადები შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. განხორციელებული ოპერაციის ანგარიშზე ასახვის ვადა დამოკიდებულია საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ოპერაციის დამუშავების ვადებზე.

5.2.7. იმ შემთხვევაში, თუ **ბარათით** ან მისი (**ბარათის**) რეკვიზიტების გამოყენებით შესრულებული **ოპერაცია** განხორციელდა ისეთ ვალუტაში, რომელშიც **კლიენტს** არ გააჩნია ქვე-ანგარიში ან რომელშიც **კლიენტს** გააჩნია ქვე-ანგარიში, მაგრამ აღნიშნულ ქვე-ანგარიშზე არ ირიცხება **ოპერაციის** ასახვისათვის საკმარისი ნაშთი - ასეთი **ოპერაცია** აისახება **კლიენტის** ანგარიშზე კონვერტაციით საბანკო პროგრამაში **ოპერაციის** ასახვის დღეს არსებული **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის** შესაბამისად. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ბარათით** ჩატარებული ოპერაციები:

5.2.7.1. **ლარში, აშშ დოლარში, ევროში** და **გირვანქა სტერლინგში** აისახება **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე** იგივე ვალუტაში;

5.2.7.2. ნებისმიერ სხვა ვალუტაში აისახება **აშშ დოლარში**. ამ შემთხვევაში კონვერტაციის კურსი განისაზღვრება საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული სისტემის კურსით, რომელიც

ხელმისაწვდომია შესაბამისი საგადამხდელო სისტემის ვებ-გვერდზე: VISA - https://bit.ly/2J92TPb, ხოლო MasterCard - https://bit.ly/3ozFTJt ; ამასთან, VISA **ბარათით** ლარი, დოლარი, ევრო, ფუნტისგან განსხვავებულ ვალუტაში შესრულებულ ოპერაციას დაემატება ტრანზაქციის თანხის 1%.

5.2.8. **ბარათის** ვადის ამოწურვის შემთხვევაში **ბარათი** გაუქმდება.

5.3. **ბანკი იღებს ვალდებულებას:**

5.3.1. დაამზადოს და **კლიენტს** სარგებლობაში გადასცეს **ბარათ(ებ)ი**, **ბარათის** შესახებ **განაცხადში** მითითებული ინფორმაციის შესაბამისად;

5.3.2. **კლიენტის** ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერა განახორციელოს **განაცხადში** კლიენტის მიერ არჩეული გახარჯვის სქემის შესაბამისად;

5.3.3. **ბარათის** დაკარგვის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ, **ბარათის** მფლობელის ხარჯზე უზრუნველყოს **ბარათის** მოთავსება განცხადებაში მითითებულ სტოპ-სიაში.

5.4. **კლიენტს უფლება აქვს:**

5.4.1. **ბარათით** ჩაატაროს **ოპერაციები ხარჯვის ლიმიტის** ფარგლებში;

5.4.2. მოითხოვოს და მიიღოს ამონაწერი საბანკო **ანგარიშიდან**;

5.4.3. გაასაჩივროს **ბარათით** განხორციელებული **ოპერაცია**, თუ თვლის, რომ ადგილი ჰქონდა არაავტორიზირებულ ან არასწორად განხორციელებულ **ოპერაციას**. ამასთან, **კლიენტის** მიერ რაიმე **ოპერაციის** გასაჩივრება არ აღნიშნავს **ბანკის** უპირობო ვალდებულებას აუნაზღაუროს **კლიენტს** აღნიშნული **ოპერაციების** ჩატარების შედეგად მიყენებული ზარალი. **კლიენტის** მიერ **ოპერაციების** გასაჩივრების თითოეული შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად VISA Inc., MasterCard Europe და UnionPay International საგადამხდელო სისტემების მიერ დადგენილი წესების, საერთაშორისო და ქართულ საბანკო სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკის და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;

5.4.4. წერილობით შეატყობინოს **ბანკს ბარათის** ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს ახალი **ბარათის** დამზადება;

5.4.5. შეარჩიოს და შეცვალოს ანგარიშზე მომსახურების საკომისიო(ებ)ის **გახარჯვის სქემა**.

5.5. **ბანკს უფლება აქვს:**

5.5.1. ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტზე** გაცემული ყველა **ბარათით/დამატებითი ბარათით** ჩატარებული, აგრეთვე საგადამხდელო სისტემა VISA International-ის და VISA Europe-ის გავლით ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი **ოპერაციების** ექვივალენტი სახსრები **ბანკში** მოქმედი **ტარიფების** შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად;

5.5.2. ანგარიშიდან **ბანკში** მოქმედი **ტარიფების** შესაბამისად უაქცეპტოდ ჩამოაწეროს **კლიენტს საბანკო ოპერაციების** წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და **ბარათისათვის/დამატებითი ბარათისათვის ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, **სატარიფო პაკეტის** ღირებულება, ოვერლიმიტით სარგებლობის საფასური და აგრეთვე **საქართველოს კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები;

5.5.3. გაუგზავნოს **უფლებამოსილ მფლობელს** შეტყობინება **ბანკისათვის ბარათის** დაბრუნების მოთხოვნით, თუ **ოპერაციების** ჩატარებისას წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ **ბარათი** გამოიყენება უკანონო ქმედებებისთვის;

5.5.4. შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება არაკანონიერი **ოპერაციების** ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, VISA International-ის, MasterCard Europe-ის ან/და სხვა შესაბამისი საგადამხდელო სისტემების მიერ ბარათის არაკანონიერი გამოყენების შესახებ დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;

5.5.5. წინასწარი შეტყობინების გარეშე შეწყვიტოს ნებისმიერი **თოქენის** და იმ ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა. დაბლოკოს, შეზღუდოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს **კლიენტის** მიერ **თოქენის** გამოყენება **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ან **თოქენის** გამოყენებით, არაკანონიერი ოპერაციების/საქმიანობის თაობაზე ნებისმიერი გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

5.5.6. **ბარათის** დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტს** ანგარიშიდან ჩამოაწეროს (არსებობის შემთხვევაში) **ბარათის** დაკარგვიდან **ბანკში** შესაბამისი წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში **ბარათით** ჩატარებული **ოპერაციების** ექვივალენტი სახსრები;

5.5.7. **კლიენტის** ან/და **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის, აგრეთვე **კლიენტის** გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ბარათის** მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები **ბანკისადმი კლიენტის** დავალიანების ამოსაღებად;

5.5.8. დაბლოკოს **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი და ყველა ანგარიში და მათზე რიცხული თანხები მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული ნებისმიერი დავალიანების დასაფარად;

5.5.9. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს ბარათ(ებ)ის** გაცემასა და/ან აღდგენაზე;

5.5.10. მიზეზის მითითების გარეშე უარი განაცხადოს **კლიენტის** სახელზე **თოქენის** გაცემაზე, როგორც კონკრეტული **ბარათის,** ასევე ელექტრონული მოწყობილობის, ვებ - გვერდის ან აპლიკაციის მიმართ.

5.5.11. აუცილებლობის შემთხვევაში, **ბარათის** მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს ის ახალი **ბარათით**.

5.6. **კლიენტი იღებს ვალდებულებას:**

5.6.1. ჩაატაროს **ბარათით ოპერაციები** მოცემული **პირობების** შესაბამისად;

5.6.2. აუნაზღაუროს **ბანკს** ნებისმიერი ზიანი, რომელიც მიადგა **კლიენტის, დამატებითი ბარათის მფლობელის** ან/და სხვა ნებადართული პირის მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების დარღვევით;

5.6.3. **ბანკში** მოქმედი **ტარიფების** შესაბამისად გადაიხადოს **სატარიფო პაკეტის** ღირებულება, **ოპერაციების** წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და **ბარათ(ებ)ის** მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი, საჭიროების შემთხვევაში აანაზღაუროს **ბარათ(ებ)ის** დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები;

5.6.4. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ **ოპერაციებზე** არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი **ბანკს** სადავო საკითხების წარმოშობისას;

5.6.5. ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს **ბარათის** მეშვეობით განხორციელებულ ყველა **ოპერაციას** და საჭიროების შემთხვევაში 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით გაასაჩივროს ამ **ოპერაციების** შესახებ ინფორმაცია. ამ ვადაში **ბანკისათვის** პრეტენზიის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება;

5.6.6. შეამოწმოს PIN კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია PIN-კოდი;

5.6.7. რეგულარულად გაეცნოს და დაიცვას **ბანკის** მიერ შემუშავებული **საბანკო ბარათის** ზოგადი პირობები და უსაფრთხოების წესები, აგრეთვე მკაცრად დაიცვას **წვდომის კოდების** კონფიდენციალურობა რაც გულისხმობს, მაგრამ ამ შემოიფარგლება **კლიენტის** ვალდებულებით არ შეინახოს **წვდომის კოდები** ისეთი ფორმით ან ისეთ მატერიალურ ან ელექტრონულ მატარებლებზე, რომელიც იძლევა მათი დისკრედიტაციის და გამჟღავნების საშუალებას; არ გადასცეს **წვდომის კოდები** მესამე პირებს ან/და არ განახორციელოს **წვდომის კოდების** რაიმე სხვა ფორმით გამჟღავნება. ამასთან, თუ **კლიენტი** სარგებლობს **თოქენის** სერვისით, ვალდებულია დაიცვას იმ ელექტრონული საშუალებების (მათ შორის და არამხოლოდ, ელექტრონული მოწყობილობა, პროგრამა ან/და ვებ-გვერდი) და **წვდომის კოდების** უსაფრთხოება, რომლებიც გამოიყენება **თოქენის** სერვისით სარგებლობისათვის.

5.6.8. ელექტრონული მოწყობილობის დაკარგვის და **მესამე პირზე** გადაცემის შემთხვევაში, სადაც შენახულია **კლიენტის** საბარათე მონაცემები/**თოქენი** ან/და ადგილი აქვს **კლიენტის** აუტენტიფიკაციის მონაცემების კომპრომენტირებას, **კლიენტი** ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ **ბანკს**.

5.6.9. **ბარათის** დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს**. ყოველი ზეპირი **განაცხადი** უნდა დადასტურდეს წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტით) და დამოწმდეს **კლიენტის** ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვული სხვა ფორმით. ამასთან, საერთაშორისო სტოპ სიაში **ბარათის** განთავსებაზე **კლიენტმა** უნდა მიმართოს **ბანკს** წერილობითი განცხადებით, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს კლიენტს. შეტყობინების მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში, **ბანკის** მიერ **ბარათის** დაკარგვის შესახებ **განაცხადის** მიღებამდე მესამე პირ(ებ)ის მიერ ბარათით წარმოებულ ყველა **ოპერაციაზე** პასუხს აგებს **კლიენტი** ან/და გარემოებებიდან გამომდინარე **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი. ბანკი** არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ **ბარათის** დაკარგვისას **უფლებამოსილი მფლობელის** მხრიდან დარღვეული იქნება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **ბანკის** ინფორმირების წესები;

5.6.10. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის **ბანკს**;

5.6.11. **ბანკის** მიერ **ბარათის** ვადის ამოწურვის, გაუქმების ან ხმარებიდან ამოღების შემთხვევაში დააბრუნოს **ბარათი** შეტყობინებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.7. **ბანკი არ არის პასუხისმგებელი:**

5.7.1. **ბარათის** დაკარგვის შესახებ წერილობითი **განაცხადის** მიღებამდე და სტოპ სიაში მოთავსების მიზნით **კლიენტის** მიერ საკომისიოს გადახდამდე **ბარათით** განხორციელებულ უკანონო **ოპერაციაზე**;

5.7.2. **ბარათით** განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო **ოპერაციაზე**;

5.7.3. წინამდებარე **პირობების** დანართში მითითებულ MCC კოდებზე შეზღუდულ **ოპერაციებზე, კლიენტის** მომართვის საფუძველზე **ოპერაციების** დაშვების შემდეგ, **კლიენტისათვის** დამდგარ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე;

5.7.4. ცრუ შეტყობინების შედეგად **ბარათის** ბლოკირებაზე;

5.7.5. **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე;

5.7.6. დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ **ოპერაციებზე**, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო;

5.7.7. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** კანონიერებაზე;

5.7.8. **თოქენით** სარგებლობის ან **თოქენის მესამე პირების** მიერ წარმოებულ ელექტრონულ მოწყობილობაში, ვებ-გვერდზე ან აპლიკაციაში შენახვის შემთხვევაში, აღნიშნული **მესამე პირებისათვის** გადაცემული კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე.

5.7.9. **ბარათით** განხორციელებულ **ოფლაინ** ტრანზაქციებზე (მათ შორის, **რეკურენტული გადახდების** შემთხვევაში). **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ოფლაინ ტრანზაქცია(ები)** სრულდება **ბანკის** დადასტურების გარეშე, შესაბამისად, **ბანკს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა **კლიენტის ბარათით ოფლაინ ტრანზაქცი(ებ)ის** შესრულების გამო, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ **ოფლაინ ტრანზაქციები** განხორციელებული **ბარათის** ბლოკირების შემდეგ.

5.8. **კლიენტი პასუხისმგებელია:**

5.8.1. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული ყველა არაკანონიერი **ოპერაციაზე**;

5.8.2. დამატებითი **ბარათით** სარგებლობის შედეგად **ბანკის** წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებზე;

5.8.3. დამდგარ ზიანზე, თუ **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო ანგარიში, **წვდომის კოდი** ან სხვა ინფორმაცია პლასტიკური **ბარათ(ებ)ისა** და მისი მფლობელ(ებ)ის შესახებ ცნობილი გახდა მესამე პირ(ებ)ისთვის;

5.8.4. ყველა **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ;

5.8.5. **ბარათის**, და/ან **დისტანციური საბანკო მომსახურების** გამოყენებით ჩატარებულ ნებისმიერი ტიპის **ოპერაციაზე**;

5.9. **ბანკი პასუხისმგებელია:**

5.9.1. **კლიენტის** წინაშე ანგარიშზე **ოპერაციების** წარმოების სისწორესა და დროულობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.9.2. ანგარიშზე წარმოებული **ოპერაციების** შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, გარდა ამ **ხელშეკრულებით** და კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.10. **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ზიანი, რომელიც წარმოიქმნება **ბარათის მფლობელის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო;

5.11. **ბარათის** მფლობელი უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** საჩივრით განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით. საჩივრის განხილვის მიზნით **კლიენტი** ვალდებულია წარუდგინოს **ბანკს ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის შეკვეთის დადასტურების/გაუქმების წერილ(ებ)ი, ოპერაციის ჩეკი, ინვოისი, მერჩანტთან კომუნიკაციის შედეგი ან/და ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტი **ბანკის** მოთხოვნის შესაბამისად. **ბანკი ბარათით** განხორციელებულ **ოპერაციასთან** დაკავშირებულ საჩივარს განიხილავს წარდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. ამასთან, თუ **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, **ბანკი ბარათის** მფლობელს აცნობებს დაგვიანების დასაბუთებული მიზეზს, საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადას. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისა და **ბარათის** მფლობელისთვის გაცნობის მაქსიმალური ვადაა საჩივრის მიღებიდან 55 სამუშაო დღე.

5.12. **ბანკი** ვალდებულია **კლიენტს** აუნაზღაუროს არაავტორიზებული **ოპერაციის** თანხა თუ **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** მიმართვა განხორციელდა არაავტორიზებული **ოპერაციის** შესრულებიდან 13 (ცამეტი) კალენდარული თვის ვადაში ლოკალური ოპერაციის შემთხვევაში, ხოლო 75 (სამოცდათხუთმეტი) კალენდარული დღე საერთაშორისო ოპერაციის შემთხვევაში და **კლიენტის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან წინამდებარე **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს.

5.13. თუ **კლიენტის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან წინამდებარე **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს და **ბარათის** უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენების შედეგად ტრანზაქცია განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე, **კლიენტი** პასუხისმგებელია აღნიშნული არაავტორიზებული **ოპერაციის** შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არაუმეტეს 100 (ასი) ლარისა.

5.14. **ბანკი** არ არის ვალდებული აანაზღაუროს არაავტორიზებული **ოპერაციის** თანხა თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ **კლიენტის** მხრიდან ადგილი ჰქონდა თაღლითური ქმედებას ან/და **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან წინამდებარე **პირობებით** ნაკისრი ვალდებულების განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევას.

## 6. ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი

6.1. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისით** სარგებლობისას **კლიენტს** შეუძლია საკუთარი **ბარათი** დაიცვას საქართველოში და საზღვარგარეთ, ბანკომატში, პოს-ტერმინალებსა და **ინტერნეტ/მობაილ ბანკის** მეშვეობით მესამე პირის მიერ **ბარათის** არალეგალური გამოყენებით (გადახდის ან/და განაღდების ოპერაცით) გამოწვეული შედეგისგან. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი** ასევე მოიცავს ოპერაციის/ტრანზაქციის ხარვეზით დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

6.2. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის** გააქტიურება შეუძლია ნებისმირ რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, რომელიც ფლობს **ბანკის** მიერ ემიტირებულ, აქტიური სტატუსის მქონე **პლასტიკურ** ან/და **ციფრულ ბარათს, ბანკისათვის** შესაბამისი **განაცხადით** მომართვის გზით როგორც **ბანკის** მომსახურე ერთეულში, ისე დისტანციური არხისა თუ დისტანციური მომსახურების ცენტრის მეშვეობით.

6.3. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის** აქტივაცია შესაძლებელია, როგორც ახალ, ასევე არსებულ **ბარათზე, ბანკში** არსებული წესებისა და შესაბამისი **სატარიფო პაკეტების** გათვალისწინებით. **კლიენტი** უფლებამოსილია ერთ **ბარათზე** დაარეგისტრიროს მხოლოდ ერთი **პაკეტი.**

6.4. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისით** მომსახურების ფარგლებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტრანზაქციებზე (VISA/Mastercard/UPI) **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკი** მოახდენს:

6.4.1. საბარათე ოპერაციის თანხის ანაზღაურებას სერვისის პირობებით და **შესაბამისი სატარიფო** პაკეტით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში;

6.4.2. ქვეყნის შიგნით და გარეთ დაჯავშნილ თანხაზე ჯავშნის ვადაზე ადრე მოხსნას, **კლიენტის** მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

6.4.3. საზღვარგარეთ ბანკომატის მიერ დაკავებული თანხების ანაზღაურებას **განაცხადის** დაფიქსირებიდან 50 (ორმოცდაათი) დღის ვადაში.

6.5. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი** ავტომატურად წყდება არალეგალური საბარათე ოპერაციის, შესაბამისი პაკეტით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში, **ბანკის** მიერ ერთჯერად ანაზღაურების შემდეგ.

6.6. იმისთვის, რომ **კლიენტმა** დაუყოვნებლივ მიიღოს შეტყობინება **ბარათზე** განხორციელებული არალეგალური ოპერაციის შესახებ, **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის** აქტივაციისას, **კლიენტის** იმ **ანგარიშზე,** რომელზეც მიბმულია შესაბამისი **ბარათი,** სავალდებულო წესით გააქტიურდება **SMS ბანკი.**

6.7. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი** აქტიურდება კონკრეტულ **ბარათზე** და მოქმედია **ბარათის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

6.8. **კლიენტი** უფლებამოსილია გააუქმოს **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი** შესაბამისი სერვისის დეაქტივაციის **განაცხადის** დაფიქსირებით.

6.9. **ბანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი** თუ **ბანკი** მოახდენს **კლიენტის** მხრიდან **ბარათის** მეშვეობით განხორციელებული არალეგალური ოპერაციების იდენტიფიცირებას ან თუ მიიჩნევს, რომ **ბარათის** მფლობელის მხრიდან განხორციელდა არაკეთილსინდისიერი/თაღლითური ქმედებები ან/და **კლიენტის** განზრახ ბრალეული ქმედებების შედეგად მიადგა ზიანი **ბანკს.**

6.10. თუ **კლიენტის** მიერ სერვისის შეძენიდან **ბარათის** მოქმედების ვადის ბოლომდე დარჩენილია 1 (ერთი) კალენდარულ წელზე ნაკლები, მომსახურება გაგრძელდება **ბარათის** მოქმედების ვადის ბოლომდე.

6.11. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის** ღირებულება განისაზღვრება **დანართი N2-ით** განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

6.12. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის** საფასურის გადახდა მოხდება შემდეგი პირობების დაცვით:

6.12.1. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის** აქტივაცია ხდება **ბარათის** მფლობელის ანგარიშიდან სერვისის წლიური **საკომისიოს** ჩამოჭრისთანავე;

6.12.2. ყოველი შემდეგი **საკომისიოს** ჩამოჭრა განხორციელდება წინა კალენდარულ წელს **საკომისიოს** ჩამოჭრის თარიღიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის გასვლისთანავე;

6.12.3. **სატარიფო პაკეტის** ღირებულების გადაუხდელობის ან არასრულად დაფარვის შემთხვევაში, დამდგარი ზიანის ანაზღაურებას **ბანკი** მოახდენს დავალიანების სრულად დაფარვის შემდგომ.

6.12.4. თუ **ბანკი** მიიღებს დადებით გადაწყვეტილების დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესახებ, **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის** წლიური **საკომისიოს** ოდენობის **კლიენტის ანგარიშზე** არ არსებობის (ან ნაწილობრივ

არსებობის) შემთხვევაში, **საკომისიოს** თანხის დაფარვა ავტომატურად მოხდება **კლიენტის ანგარიშზე** ანაზღაურებული თანხიდან.

6.13. საეჭვო **ტრანზაქციის** გასასაჩივრებლად, **კლიენტი** ვალდებულია **ბანკს** აცნობოს **ტრანზაქციის** აღმოჩენისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ოპერაციის შესრულებიდან 13 (ცამეტი) თვისა, ხოლო არაავტორიზებული ტრანსსასაზღვრო ოპერაციის შემთხვევაში არაუგვიანეს 75 (სამოცდათხუთმეტი) დღისა, თუ კანონმდებლობით სხვა ვადები არ იქნება განსაზღვრული.

6.14. თუ **ბანკის** მხრიდან გამოვლინდება საეჭვო **ტრანზაქცია** სავალდებულო წესით დაიბლოკება **ბარათი,** ხოლო შემდგომ **კლიენტს** შეეძლება **ბარათის** განახლება **ბანკში** არსებული პროცედურის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** უარს განაცხადებს **ბარათის** განახლებაზე, **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისი** ავტომატურად გაუქმდება.

6.15. **ბანკი** მოახდენს მხოლოდ დამუშავებული (ჩამოჭრილი) საბარათე ოპერაციის ანაზღაურებას, ხოლო ბლოკირებული თანხების ანაზღაურება **ბანკის** მიერ არ განხორციელდება, სანამ არ მოხდება აღნიშნულ თანხებზე ბლოკის მოხსნა **კლიენტის** მიერ ბლოკის მოსახსნელად **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

6.16. **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისით** სარგებლობა არ გულისხმობს **ბანკის** ვალდებულებას უპირობოდ დააკმაყოფილოს **კლიენტის** მოთხოვნა თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკითხის მოკვლევის გარეშე, **კლიენტის** მომართვა თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ექვემდებარება **ბანკის** შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ინდივიდუალურ განხილვას და ქვემოთჩამოთვლილ შემთხვევებში **ბანკი** არ არის ვალდებული აანაზღაუროს შესაბამისი თანხა:

6.16.1. **კლიენტმა** საეჭვო/არალეგალური ოპერაციის ფაქტის დადგომის შესახებ არ აცნობა **ბანკს** წინამდებარე პირობების 6.13. პუნქტით დადგენილ ვადებში;

6.16.2. **ბანკს** გააჩნია გონივრული ეჭვი **ბარათის მფლობელის** მხრიდან არაკეთილსინდისიერი/თაღლითური ქმედების ან განზრახ ბრალეულობის შესახებ;

6.16.3. **ბარათის** გამოყენება არალეგალურად განხორციელდა **ბარათის მფლობელის** ნებართვით ნებისმიერი მესამე პირის მიერ;

6.16.4. ოპერაცია განხორციელდა **ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის** გაუქმების შემდეგ;

6.16.5. თუ **ბარათით** განხორციელებული ოპერაციის ღირებულება აღემატება წინამდებარე **პირობების** დანართი N2-ით განსაზღვრულ შესაბამისი ტარიფებით დადგენილ ლიმიტის მოცულობას, ოპერაცია ანაზღაურდება მხოლოდ შესაბამისი ლიმიტების ფარგლებში;

6.16.6. **ბარათის მფლობელმა** არ უზრუნველყო დაკარგული/მოპარული **ბარათის ბანკში** მოქმედი წესების შესაბამისად დაბლოკვა;

6.16.7. საქართველოს კანონით ,,საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ დადგენილ შემთხვევებში, გარდა სერვისის პირობებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

6.17. **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ან/და **დამატებითი ბარათის მფლობელი** ვალდებულია წარმოადგინოს **ბარათით** შესრულებული არალეგალური გადახდის ან/და განაღდების ოპერაციის შესახებ დამატებითი წერილობითი ინფორმაცია შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისაგან (ან უცხო ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსაგან) ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან/და დოკუმენტი, რაც **ბანკს** ხელს შეუწყობს არალეგალური გადახდის ან/და განაღდების ოპერაციით განკარგული თანხების **კლიენტისათვის** ანაზღაურებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

**ბანკი** არ აანაზღაურებს **ბარათით** შესრულებულ არალეგალური გადახდის ან/და განაღდების ოპერაციით დამდგარ დამატებით ზიანს/ზარალს, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იქნას **ბარათით** შესრულებული არალეგალური გადახდის ან/და განაღდების ოპერაციის შედეგად;

## 7. დისტანციური საბანკო მომსახურება

7.1. **ბანკი** სთავაზობს **კლიენტს** დისტანციურ საბანკო მომსახურებებს, რომლებიც **კლიენტს** აძლევს საშუალებას განახორციელოს **საბანკო ოპერაციები ბანკში** გამოუცხადებლად სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობების ან/და არხების გამოყენებით. **ბანკი** იტოვებს უფლებას, რომ დროდადრო შეცვალოს ან/და გააუმჯობესოს **დისტანციური საბანკო მომსახურება(ები)**.

7.2. **უფლებამოსილება:**

7.2.1. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს**, რომ მიიღოს და შესაბამისად განახორციელოს **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული საგადახდო დავალებები და ამ პერიოდისთვის **ბანკის** მიერ ნებადართული **ოპერაციები**, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **კლიენტის უნივერსალური ანგარიშიდან** ან/და ანგარიშზე იმ **ოპერაციების** განხორციელებას, რომელიც ავტორიზებული იქნა **ბანკის** მიერ დადგენილი/მოთხოვნილი/განსაზღვრული უსაფრთხოების პროცედურ(ებ)ის გავლის შემდეგ.

7.2.2. **კლიენტი** უფლებამოსილია **ინტერნეტ/მობაილ ბანკის** მეშვეობით სხვა პირის **ბანკში** გახსნილ ანგარიშზე თანხის გადარიცხვა განახორციელოს მიმღების მობილური ტელეფონის ნომრის ან პირადი ნომრის საშუალებით. **ბანკი** მობილური ტელეფონის ნომრის საფუძველზე პირის იდენტიფიკაციას ახორციელებს **ბანკში** დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შესაბამისად, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით თანხის გადარიცხვის სერვისი ხელმისაწვომი გახადოს მხოლოდ **კლიენტის ვერიფიცირებულ ნომერზე. ბანკს** არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მიმღების მონაცემების ნებისმიერი მიზეზით არაზუსტად წარმოდგენის გამო, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ მიმღებმა შეიცვალა **ბანკში** დაფიქსირებული ტელეფონის ნომერი და აღნიშნულის შესახებ არ შეუტყობინებია **ბანკისთვის. კლიენტი** ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს **ტრანზაქციის** დეტალები (მათ შორის, მიმღების ინიციალები, ანგარიშის ნომერი, ან/და პირადი ნომრის/მობილური ტელეფონის ნომრის შეყვანის შედეგად ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია) და გადარიცხვა დაადასტუროს მხოლოდ მათ სისწორეში დარწმუნების შემდეგ. **კლიენტის** მიერ მითითებული პარამეტრების შესაბამისად თანხის გადარიცხვის გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე პასუხისმგებელია **კლიენტი**. აღნიშნული სერვისით სარგებლობის ტარიფები და ლიმიტები მოცემულია **პირობების დანართი №1-ში.**

7.2.3. **ბანკი** დაეყრდნობა **კლიენტისგან** მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან/და სხვა **წვდომის კოდებით**, ელექტრონული ფოსტით, მობაილ ბანკით ან/და ინტერნეტბანკით მიღებულ ნებისმიერ ელექტრონულ **დავალებას** და **ბანკი** არ იქნება ვალდებული შეამოწმოს გამომგზავნის პიროვნება ან **ოპერაციის** ნამდვილობა თუ **კლიენტი** აუთენტირებულია უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად. **კლიენტი** არანაირ ვითარებაში არ შეედავება **ბანკს** იმის გამო, რომ იგი ეყრდნობა ამგვარ **დავალებებს**. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი **დისტანციური საბანკო მომსახურების** არაავტორიზირებულ გამოყენებაზე მესამე პირების მხრიდან.

7.2.4. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ მის მიერ **განაცხადში** მითითებული მობილური ტელეფონის ნომრიდან **ბანკისათვის** საგადახდო დავალების გაგზავნა **ბანკის** მიერ განიხილება როგორც **კლიენტისგან** გაგზავნილად მიუხედავად იმისა, რეალურად იქნა თუ არა აღნიშნული **დავალება კლიენტის** ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილი.

7.2.5. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ მის მიერ **განაცხადში** მითითებული ელექტრონული ფოსტით **ბანკისათვის** საგადახდო დავალების გაგზავნა **ბანკის** მიერ განიხილება როგორც **კლიენტისგან** გაგზავნილად მიუხედავად იმისა, რეალურად იქნა თუ არა აღნიშნული **დავალება კლიენტის** ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილი.

7.2.6. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ ინტერნეტბანკის საშუალებით **ბანკისათვის** საგადახდო დავალების გაგზავნა **ბანკის** მიერ განიხილება რომ აღნიშნული **დავალება** შესრულებულია იმ პირის მიერ, ვინც გაიარა შესაბამისი იდენტიფიკაცია, არის ავტორიზებული **ბანკის** სპეციალური უსაფრთხოების სისტემების საშუალებით, მიუხედავად იმისა, რეალურად იქნა თუ არა აღნიშნული **დავალება კლიენტის** ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილი.

7.2.7. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** ანგარიშთან დაკავშირებულია/მიბმულია რამდენიმე **ბარათი** ან/და დაკავშირებულია რამდენიმე **უფლებამოსილი მფლობელი**, **ბანკი** შეასრულებს ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილისგან მიღებულ **დავალებას**, მაგრამ თითოეული პასუხისმგებელი იქნება ყველა **ოპერაციაზე** ან/და ასეთი **ოპერაციისგან** წარმოშობილ დავალიანებაზე.

7.2.8. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **დისტანციური საბანკო მომსახურებით** განხორციელებულ **ოპერაციას** აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

7.2.9. **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **ბანკს,** საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეუძლია ჩაიწეროს ნებისმიერი ან ყველა **დავალება**, რომელიც მიღებულ ან გაგზავნილ იქნა **დისტანციური საბანკო მომსახურების** გამოყენებით და შეინახოს ამგვარი ინფორმაცია იმ სახით და ფორმით, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **ბანკს** შეუძლია დაეყრდნოს ასეთ ინფორმაციას და გამოიყენოს ნებისმიერი დავის განხილვისას როგორც მტკიცებულება.

**7.3. უსაფრთხოების პროცედურა და რისკები დაკავშირებული დისტანციურ საბანკო მომსახურებებთან**

7.3.1. **კლიენტის** მიერ **დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობისას, იდენტიფიცირება არ ხდება ხელმოწერით ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასეთ შემთხვევაში პიროვნების იდენტიფიცირება ხდება **კლიენტის** მიერ აუთენტირების დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ნებისმიერი ქმედება, რომელიც შესრულებულია მას შემდეგ, რაც ელექტრონულ სისტემაში მოხდა ნებადართული შეღწევა ნამდვილობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ასეთი შეღწევა და შეღწევის შედეგად შესრულებული ნებისმიერი **ოპერაცია** ჩაითვლება **კლიენტის** მიერ სათანადოდ შესრულებულად და სამართლებრივი ძალის მქონედ.

7.3.2. **ბანკი** უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები **კლიენტის** საიდენტიფიკაციოდ.

7.3.3. საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტი** ვადლებულია დაუყოვნებლივ მიმართოს **ბანკს**, რის საფუძველზეც **ბანკი** მოახდენს **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე დისტანციური საბანკო მომსახურების** შეჩერებას.

7.3.4. ნებისმიერი ტექნიკური საშუალება, რომელსაც **ბანკი** გადასცემს **კლიენტს** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას და **კლიენტის** მიერ გამოყენებული უნდა იქნას წინამდებარე **პირობებში** გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

7.3.5. **კლიენტი** და **ბანკი** ვალდებულნი არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო ინფორმაციის კონფიდენციალობა. **კლიენტი** ვალდებულია:

7.3.5.1. უსაფრთხოდ შეინახოს ინტრენეტბანკით სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, მოწყობილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **წვდომის კოდები. კლიენტს** ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი მესამე პირისათვის;

7.3.5.2. პირველივე შესვლისას შეცვალოს **წვდომის კოდი** და შემდგომში პერიოდულად ცვალოს იგი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, და დაიცვას მისი კონფიდენციალობა;

7.3.5.3. **წვდომის კოდის**, მოწყობილობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკარგვის ან გამჟღავნების შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ეჭვობს რომ სხვა მესამე პირი ფლობს **კლიენტის** კოდ(ებ)ს ან/და უსაფრთხოების სხვა ინფორმაციას, დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს.** იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არ მოახდებს **ბანკისთვის** შეტყობინებას, **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ არაავტორიზებულ **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდა მის ანგარიშზე.

7.3.5.4. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა იმ ტრანზაქციაზე, რომელიც განხორციელდება **კლიენტის** ან **კლიენტის** მიერ ავტორიზებული ნებისმიერი მესამე პირის მიერ ინტერნეტ ბანკში შესვლიდან გამოსვლამდე. **კლიენტის** ინტერესებიდან გამომდინარე არ უნდა დარჩეს კომპიუტერი უყურადღებოდ სანამ **კლიენტი** ან მისი ავტორიზებული პირი შესული არიან ინტერნეტ ბანკში.

7.3.5.5. პასუხი აგოს **დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობაზე. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობისთვის **კლიენტს ბანკში** არსებული პროცედურების დაცვით გადაეცემა ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები ან/და ელექტრონული საშუალებები ან/და მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც ხდება **კლიენტის** იდენტიფიკაცია. **კლიენტი** ვალდებულია ასეთი მოწყობილობების თუ საშუალებების გამართულობა შეამოწმოს მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში.

7.3.6. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ ინტერნეტით ინფორმაციის გადაცემა არ არის კოდირებული და შესაბამისად უსაფრთხო და რომ ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის გადაცემა არ წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის უსაფრთხო სახეს. აქედან გამომდინარე, **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს, რომ ასეთი საფრთხის შემცველი სახით ინფორმაციის გადაცემა დაკავშირებულია უსაფრთხოების რისკებთან, მათ შორის მესამე პირების სავარაუდო შეღწევის რისკთან ან/და ინფორმაციის არაავტორიზებულ ცვლილებასთან ან/და ნებისმიერი სახით არაავტორიზებულ გამოყენებასთან.

7.3.7. **კლიენტი** აცნობიერებს იმ რისკებს რომლებიც დაკავშირებულია ელექტრონული საშუალებებით ინფორმაციის გაცვლასთან და შესაბამისად პასუხისმგებელია ნებისმიერ იმ დანაკარგზე რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ის მიერ ამ ინფორმაციის გამოყენებით. კლიენტი სრულად აცნობიერებს, რომ დაუცველი კომუნიკაცია არ არის კონფიდენციალური და ასეთი სახით დავალების მიცემისას, მისი შინაარსი და **დავალებასთან** დაკავშირებული/მიბმული დოკუმენტები შესაძლებელია მესამე პირების მიერ იქნას წაკითხული და შეცვლილი შეუმჩნევლად.

7.3.8. **ბანკი** არ იძლევა გარანტიას, რომ დაუცველი ელექტრონული ფოსტა რომელიც მის მიერ ან მის მისამართზე არის გაგზავნილი მიღებულ იქნება მასში ჩარევის გარეშე ან დროულად ან რომ მიღებული იქნება რეალური ადრესატის მიერ. ასევე, **ბანკი** არ იძლევა გარანტიას, რომ ნებისმიერი ელექტრონული ფოსტა, რომელიც გამგზავნად მიუთითებს **ბანკს,** არის რეალურად **ბანკის** მიერ გამოგზავნილი. უსაფრთხოების მიზნებისთვის, **ბანკი** უფლებამოსილია წინასწარი გაფრთხილების გარეშე უარი განაცხადოს ელექტრონული ფოსტის მიღებაზე ან დამუშავებაზე ან აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მიღებისა და დამუშავებისთვის განსაზღვროს დამატებითი პირობები და მოთხოვნები.

**7.4. ოპერაციები და ცვლილება/დისტანციური საბანკო მომსახურების გაუქმება:**

7.4.1. **დისტანციური საბანკო მომსახურებ(ებ)ის** საშუალებით სამუშაო დღის განმავლობაში მიღებულ დავალებებს, **ბანკი** შეასრულებს იმავე დღეს. მაგრამ, **ბანკს** უფლება აქვს შეასრულოს **კლიენტის დავალება** მისი დამუშავებასთან დაკავშირებული დროის გათვალისწინებით, მაგრამ არაუგვიანეს მეორე საბანკო დღისა. ამასთან, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, ზიანზე, პირდაპირ ან არაპიდაპირ ხარჯებზე, რომელიც **კლიენტმა** მიიღო ტექნიკური საშუალებების ან მესამე პირების მიერ მომსახურების შეფერხების შედეგად აღნიშნული ვადის დარღვევაზე.

7.4.2. **კლიენტი** პასუხისმგებელია **დისტანციური საბანკო მომსახურებ(ებ)ით** განხორციელებულ ყველა **ოპერაციაზე** და ასეთი მომსახურების გამოყენების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი დავალიანების გადახდაზე. **კლიენტის** მიერ დავალების ინტერნეტ/მობაილ ბანკის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია ცალხმრივად უარი თქვას ინდივიდუალური დავალების შესრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ ანგარიშზე არსებული ნაშთი არ არის საკმარისი აღნიშნული დავალების შესასრულებლად ან მიღებული დავალების ოდენობა აჭარბებს **ბანკის** მიერ დადგენილ ყოველდღიურ ლიმიტს. ბანკს შეუძლია, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, მიიღოს ნებისმიერი სახის **ოპერაციის** ან დავალების გაუქმების მოთხოვნა კლიენტისგან იმის გათვალისწინებით, თუ **ბანკს** ჯერ არ დაუწყია აღნიშნული **ოპერაციის** ან დავალების განხორციელება. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი დაგვიანებულ გადასახადზე ან ხარჯზე (პირდაპირი თუ არაპირდაპირი), რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ამგვარი გაუქმებით.

7.4.3. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს აქვს უფლება დააწესოს შეზღუდვა მის მიერ მომსახურების გაწევაზე ან **კლიენტის** მიერ **დისტანციური საბანკო მომსახურებ(ებ)ის** გამოყენებაზე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

7.4.4. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** აქტიურ ოპერაციებზე ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები.

7.4.5. **ბანკი** უფლებამოსილია შეაჩეროს, გამოითხოვოს ან შეზღუდოს **დისტანციური საბანკო მომსახურება** მთლიანად ან ნაწილობრივ, იმ შემთხვევაში თუ:

7.4.5.1. **ბანკს** აქვს საფუძვლიანი ეჭვი მასზედ, რომ **კლიენტის უსაფრთხოების კოდები** არ არის უსაფრთხოდ შენახული ან არის გატეხილი **მესამე პირის** მიერ;

7.4.5.2. **ბანკს** აქვს საფუძვლიანი ეჭვი **კლიენტის უსაფრთხოების კოდების** არაავტორიზებულ და თაღლითურ გამოყენებაზე;

7.4.5.3. **ბანკს** მიაჩნია საჭიროდ **კლიენტის** უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

7.4.6. **კლიენტი** უფლებამოსილია გააუქმოს ნებისმიერი **დისტანციური საბანკო მომსახურება კლიენტისთვის** ყველა შესაძლო არხებით შეტყობინების გაგზავნის გზით. **კლიენტის** მიერ შეტყობინება გაგზავნილად ითვლება, **ბანკის** მიერ მისი მიღების შემდეგ.

**7.5. მომსახურების მიღება და პასუხისმგებლობის შეზღუდვა:**

7.5.1. **ბანკი** ყველა ღონეს იხმარს რათა უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი არ იქნება პასუხისმგებელი მომსახურების განუხორციელებლობაზე, მთლიანად ან ნაწილობრივ, იმ მიზეზით რომელიც მის კონტროლის ფარგლებს მიღმაა, მათ შორის მომსახურების განხორციელების ნებისმიერი სახით შეჩერება, რომელიც გამოწვეულია **ბანკის** ან წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი ნებისმიერი **მესამე პირის** სისტემის განახლებით ან სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარებით.

7.5.2. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, ასევე **კლიენტის** ნებისმიერ პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯზე, რომელიც **კლიენტს** მიადგა ნებისმიერი **მესამე პირის** მიერ მომსახურების განხორციელების შეფერხებით ან ტექნიკური გაუმართაობით.

7.5.3. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოწვეულია ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, **ბანკის** ელექტრონულ სისტემებში, და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გზით. ამასთანავე, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნა სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის

გადატვირთვით რომელიც გავლენას ახდენს ელექტრონული სისტემების ფუნქციონირებაზე.

7.5.4. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** გაგზავნილი ელექტრონული ფოსტის მიუღებლობაზე, რომელიც გამოწვეულია ინტერნეტ სერვის პროვაიდერის სერვერის პრობლემით, ცუდი/ნელი კავშირით ან/და სხვა მიზეზით რომელიც გამოწვეულია ინტერნეტ სერვის პროვაიდერის ან/და ელექტრონული ფოსტის სერვერის ან/და **კლიენტის** მიერ.

7.5.5. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია **კლიენტის** ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მესამე პირის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული ოპერაციებით.

7.5.6. **ბანკი** არ აგებს პასუხს მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და **კლიენტისთვის** ამგვარი მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მობილური სატელეფონო მომსახურების მომწოდებელი. **ბანკი** ასევე არ არის პასუხისმგებელი **კლიენტსა** და აღნიშნულ მობილური სატელეფონო მომსახურების მომწოდებელს შორის წარმოშობილ სადაო სიტუაციაზე.

7.5.7. არანაირ პირობებში, რაც აგრეთვე მოიცავს დაუდევარ მიდგომას, **ბანკი** ან მისი ნებისმიერი ქვედანაყოფი, რომელიც ჩართულია შექმნაში, წარმოებასა და **კლიენტის** ანგარიშების **ამონაწერების** მართვაში არ იქნება ვალდებული პირდაპირ, არაპირდაპირ, შემთხვევით, განსაკუთრებულ ან შედეგობრივ ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს **კლიენტს ბანკის** იმ ელექტრონული ბანკინგის გამოყენებით ან გამოუყენებლობით ან ნებისმიერ გარანტიის პირდაპირი ან არაპირდაპირი დარღვევით. **კლიენტის** მიერ ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენება ან შენახვა, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს პაროლს, ანგარიშის შესახებ ინფორმაციას, ანგარიშებზე ჩატარებული **ოპერაციების** ისტორიას, ანგარიშის ბალანს და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას **კლიენტის** ანგარიშის შესახებ წარმოდგენს **კლიენტის** პასუხისმგებლობას და ვალდებულებას.

7.5.8. **კლიენტი** აცხადებს, რომ დაიცავს **ბანკს** ნებისმიერი და ყველა პასუხისმგებლობისგან, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას მისი არასწორი გამოყენებით და აცხადებს, რომ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი ამ შემთხვევაში ასეთ არასწორ გამოყენებაზე. **კლიენტი** ასევე აცხადებს, რომ დაიცავს **ბანკს** ყოველგვარი დანაკარგისგან, ხარჯისგან, ზარალისგან, რომელიც შესაძლებელია გამოწვეულ იქნას **კლიენტისთვის** მომსახურების შეფერხებით ან/და შეცდომით. **კლიენტი** აცხადებს, რომ **ბანკის** მიერ ზემოთაღნიშნული შეფერხება ან/და მისი ბოროტადგამოყენება არ განიხილება როგორც **ბანკის** მიერ კონფიდენციალურობის დარღვევად.

7.6. **ინტერნეტბანკი:**

7.6.1. **ბანკი კლიენტს** სთავაზობს **ინტერნეტბანკით** მომსახურებას, რაც გულისხმობს **კლიენტის** მიერ **ბანკის** ინტერნეტ გვერდის https://my.libertybank.ge/ ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ვებ-გვერდის, რომელიც **ბანკმა** შესაძლებელია გამოიყენოს ან განავითაროს აღნიშნული მიზნებისთვის საშუალებით, **კლიენტის** მიერ, **ბანკში** გამოუცხადებლად, მის ანგარიშ(ებ)ზე საბანკო **ოპერაციების** განხორციელებას **ბანკში** დადგენილი უსაფრთხოების პროცედურებით გათვალისწინებული აუთენტირების შესაბამისად.

7.6.2. **კლიენტის** მიერ **ინტერნეტ ბანკის** მომსახურების გამოსაყენებლად **კლიენტმა** უნდა გაიაროს ავტორიზაცია **კლიენტის** მიერ სათანადო წესითა და პირობებით რეგისტრირებული წვდომის კოდების ან/და **ბანკში** არსებული პროცედურების დაცვით გადაცემული უნიკალური იდენტიფიკატორების/წვდომის კოდების ან/და ელექტრონული საშუალებების/მოწყობილობების მეშვეობით. **კლიენტი** ვალდებულია ასეთი მოწყობილობების თუ საშუალებ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამართულობა შეამოწმოს მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

7.6.3. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, **კლიენტთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე შეცვალოს ან/და შექმნას დამატებითი მექანიზმები **კლიენტის** საიდენტიფიკაციოდ.

7.6.4. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს აქვს უფლება განათავსოს სავალდებულო ძალის მქონე წერილობითი **განცხადება** (დისქლეიმერი) ელექტრონული სახით ინფორმაციის განთავსების და მიწოდების ადგილას.

7.6.5. **კლიენტი** უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის ტრანზაქცია ან ისარგებლოს იმ მომსახურებით, რომელიც განსაზღვრულია **ბანკის** მიერ და რომელიც **ბანკის** მიერ შესაძლებელია დრო და დრო შეიცვალოს ცალმხრივად.

7.6.6. **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს **კლიენტის** ინტერნეტბანკით მომსახურება, **კლიენტის** მიერ ინტერნეტბანკის ექვსი თვის განმავლობაში გამოუყენებლობის შემთხვევაში. **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს ინტერნეტბანკით მომსახურების აღდგენა უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად.

7.7. **მობაილ ბანკი:**

7.7.1. **მობაილ ბანკით** სარგებლობის მიზნით, **კლიენტს** უნდა ჰქონდეს გააქტიურებული **ინტერნეტბანკი** და გააჩნდეს სათანადო ოპერაციულ სისტემაზე (Android, IOS ან/და შემდგომში **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ოპერაციული სისტემა) მომუშავე მობილური ტელეფონი (შემდგომში "ტელეფონი").

7.7.2. **მობაილ ბანკით** სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ **მობაილ ბანკის აპლიკაციის** (აპლიკაცია ხელმისაწვდომია ოპერაციული სისტემების ინტერნეტ მაღაზიებში - Google Play, App Store და ა.შ.) ტელეფონზე ჩატვირთვის და მისი ინსტალაციის შემდგომ.

7.7.3. **მობაილ ბანკით** სარგებლობისას **კლიენტმა** უნდა გამოიყენოს მისი კუთვნილი **ინტერნეტბანკის** მომხმარებლის სახელი და პაროლი და გაიაროს აუთენტიფიკაცია. **ბანკი** უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები **კლიენტის** საიდენტიფიკაციოდ.

7.7.4. **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის **წვდომის კოდების**) კონფიდენციალურობა. **კლიენტი** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ტელეფონის დაკარგვის, **კლიენტის** მიერ ტელეფონზე მფლობელობის გაუქმების ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის მობაილ ბანკის** მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

7.7.5. **კლიენტი** ნებისმიერ ვითარებაში პასუხისმგებელი იქნება **ბანკში** ტელეფონიდან გაგზავნილ დავალებებზე.

7.7.6. **კლიენტი** აცნობიერებს რისკს, რომ **მობაილ ბანკით** სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელია ნებისმიერი მესამე პირის მიერ ელექტრონულ სისტემაში უკანონო შეღწევით გამოწვეულ ზიანზე.

7.7.7. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას გააგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები **კლიენტის** ტელეფონზე **მობაილ ბანკის** მომსახურების პირობების დაცვით, სანამ **ბანკი** სხვაგვარ წერილობით მითითებას არ მიიღებს **კლიენტისგან**.

7.7.8. **ბანკს** უფლება აქვს ჩამოჭრას **კლიენტის** ანგარიშ(ებ)იდან **მობაილ ბანკით** მომსახურების გადასახადი უაქცეპტო წესით ან თუ თანხები საკმარისი არ აღმოჩნდება, მიიღოს **კლიენტის** მიერ გადასახდელი თანხები ნებისმიერი ფორმით.

7.7.9. **ბანკი** იტოვებს უფლებას, პერიოდულად განახორციელოს ცვლილებები, გააუმჯობესოს ან/და შეცვალოს **მობაილ ბანკის** მომსახურება.

7.7.10. თუ **კლიენტი** 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ ისარგებლებს **მობაილ ბანკით** და არ გაივლის აუთენტიფიკაციას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება შეაჩეროს **კლიენტის** როგორც **მობაილ ბანკით**, ასევე **ინტერნეტბანკით** მომსახურება. მომსახურების აღდგენა განხორციელდება მას შემდეგ რაც **კლიენტი**, **ბანკის** მიერ დადგენილი წესით, მიმართავს **ბანკს** ხელახალი აქტივაციის მოთხოვნით.

7.7.11. **ინტერნეტბანკით** მომსახურების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს **მობაილ ბანკით** სარგებლობის შეწყვეტას.

7.8. **სმს-ბანკი:**

7.8.1. **ბანკი კლიენტის** მიერ **განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით აცნობებს **კლიენტს** ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული **ოპერაციის** შესახებ. აღნიშნული შეტყობინება განხორციელდება **ბანკში** დადგენილი ფორმით **ოპერაციის** შესრულებისთანავე.

7.8.2. **სმს ბანკის** მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებით **კლიენტთან** კომუნიკაციისას **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს **ვერიფიცირებული ნომრით**.

7.8.3. **კლიენტი** ვალდებულია სმს **ბანკის** მომსახურებით სარგებლობისთვის **ბანკს** გადაუხადოს **ბანკის** მიერ დადგენილი საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7.8.4. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ შეტყობინებებზე, რომლებიც გამოწვეულია **ბანკისგან** დამოუკიდებელი, მათ შორის ტექნიკური, მიზეზების გამო.

7.8.5. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **ბანკისთვის** მიწოდებული ტელეფონის ნომერი **კლიენტის** მფლობელობაშია და, თუ **კლიენტი** არ შეატყობინებს **ბანკს** ამ ფაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, აღნიშნული ტელეფონიდან გაგზავნილი/მიღებული ინფორმაცია ჩაითვლება **კლიენტის** მიერ გაგზავნილად/მიღებულად.

7.8.6. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ **განაცხადში** დაფიქსირებული ნომრის შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი

ვითარების შედეგად კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეულ შედეგებზე.

7.9. **მეილ ბანკი:**

7.9.1. **ბანკი კლიენტს** სთავაზობს ელექტრონული ფოსტით საბანკო მომსახურებას, რომელიც საშუალებას აძლევს **კლიენტს** რომ განახორციელოს ტრანზაქციები და მიიღოს შესაბამისი შეტყობინებები **ბანკის** მიერ დადგენილი **კლიენტის განაცხადში** მითითებული ელექტრონული ფოსტის უსაფრთხოების პროცედურებით დადგენილი აუთენტირების გავლის შემდეგ.

7.9.2. **კლიენტის** მიერ ელექტრონული ფოსტით საბანკო მომსახურების სარგებლობისთვის, **კლიენტი** ვალდებულია გააჩნდეს და **განაცხადის** შევსების დროს მიუთითოს მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი (**ვერიფიცირებული ნომერი** - ასეთის არსებობისას). თუ **კლიენტი** არ შეატყობინებს **ბანკს** ელექტრონულ ფოსტასთან ან/და მობილური ტელეფონის ნომერთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, **განაცხადში** მითითებული ელექტრონული ფოსტიდან ან/და მობილური ტელეფონის ნომრიდან გაგზავნილი/მიღებული ინფორმაცია ჩაითვლება **კლიენტის** მიერ გაგზავნილად/მიღებულად.

## 8. უკონტაქტო ბარათი

8.1. უკონტაქტო **ბარათი** წარმოადგენს ჩიპიანი **საბანკო ბარათის** ნაირსახეობას, რომელიც **კლიენტს** აძლევს საშუალებას განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, უკონტაქტოდ ანუ **ბარათით** საგადახდო **ოპერაციის** შესრულებისას **წვდომის კოდის** შეყვანის გარეშე, აწარმოოს **ოპერაციები** შესაბამისი სერვისის გაწევაზე ავტორიზირებულ და სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ მომსახურების ობიექტებში.

8.2. **წვდომის კოდის** შეყვანის გარეშე Visa PayWave და MasterCard PayPass **ბარათით** შესრულებულ ყიდვის უკონტაქტო **ოპერაციაზე** დასაშვები ლიმიტის მოცულობა განისაზღვრება ექვაირერის მიერ საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის წესების შესაბამისად.

8.3. უკონტაქტო **ბარათის** სარგებლობის და უსაფრთხოების წესები განსაზღვრულია წინამდებარე **პირობების** მე-5 მუხლის შესაბამისად.

## 9. მუდმივი საგადახდო დავალება

9.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკს** მისცეს მუდმივი საგადახდო **დავალება** მისი **უნივერსალური ანგარიშიდან** მესამე პირებისთვის გადარიცხვების განსახორციელებლად. **კლიენტი** ვალდებულია **განაცხადში** მიუთითოს ინფორმაცია მომავალი გადარიცხვების შესახებ, მათ შორის, საერთაშორისო და ადგილობრივი საგადახდო რეგულაციებით დადგენილი მესამე პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი და გვარი/საფირმო სახელწოდება, მისამართი, ანგარიშის შესახებ ინფორმაცია, საბანკო კოდები და ა.შ.), მუდმივი საგადახდო დავალების შესრულების სიხშირე ან/და რაოდენობა, თარიღ(ებ)ი როდესაც უნდა მოხდეს მუდმივი საგადახდო დავალების შესრულება და ასევე თანხა და ვალუტა.

9.2. **კლიენტის** მიერ **განაცხადში** მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** მუდმივი საგადახდო დავალების სერვისით მომსახურებას. წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობებით, **ბანკს** უფლება ეძლევა, **უნივერსალური ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და გადარიცხოს წინასწარ განსაზღვრული თანხები წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშ(ებ)ზე წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში.

9.3. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ მუდმივი საგადახდო დავალების შესასრულებლად **ბანკის** მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

9.4. **კლიენტი უფლებამოსილია:**

9.4.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ **განაცხადში** დაფიქსირებულ მონაცემებში;

9.4.2. დაამატოს ან/და გამოაკლოს მუდმივი საგადახდო დავალების ბენეფიციარები;

9.4.3. განსაზღვროს გადარიცხვების პრიორიტეტი; და

9.4.4. უარი **განაცხადოს** სერვისით ან მისი ნაწილით სარგებლობაზე.

9.5. **კლიენტის** ამგვარი მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ზე და შესაბამისად **ბანკი** იტოვებს უფლებას არ შეასრულოს მუდმივი საგადახდო **დავალება**, **კლიენტის** ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში.

9.6. **კლიენტი** ვალდებულია მუდმივად იქონიოს საკმარისი თანხები მის **უნივერსალურ ანგარიშზე** ავტომატური გადარიცხვების შესასრულებლად.

9.7. **ბანკი** არ შეასრულებს მუდმივ საგადახდო **დავალებას**, თუ **კლიენტს** აქვს დავალიანება საგადასახადო ორგანოებთან, სხვა ორგანოებთან ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, რომელიც **ბანკისათვის** გახდება ცნობილი. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხები მიმართული იქნება **ბანკის** დავალიანების დასაფარად სხვა გადარიცხვების, მათ შორის მუდმივი საგადახდო დავალების, შესრულებამდე.

## 10. უნივერსალური ანგარიშიდან ავტომატური გადახდები

10.1. **კლიენტი** უფლებამოსილია მისი **უნივერსალური ანგარიშიდან** განახორციელოს ავტომატური გადახდები. **კლიენტი** ვალდებულია **განაცხადში** მიუთითოს ინფორმაცია მომავალი გადახდების შესახებ, მათ შორის, მესამე პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (კომუნალური გადასახდელების პროვაიდერი, სადაზღვევო პროვაიდერი ან სხვა მხარე), ავტომატური გადახდების სიხშირე ან/და რაოდენობა, **კლიენტის** უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი ან/და ანგარიში რომელიც **კლიენტს** გააჩნია ასეთ პროვაიდერთან ან სხვა მხარესთან.

10.2. **კლიენტის** მიერ **განაცხადში** ავტომატური გადახდებით მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** ავტომატური გადარიცხვების სერვისით მომსახურებას. წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობებით, **ბანკს** უფლება ეძლევა, **უნივერსალური ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და გადარიცხოს წინასწარ განსაზღვრული თანხები **განაცხადში** მითითებულ მესამე პირების ანგარიშზე.

10.3. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ ავტომატური გადახდების შესასრულებლად **ბანკის** მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

10.4. **კლიენტი უფლებამოსილია:**

10.4.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ **განაცხადში** დაფიქსირებულ მონაცემებში;

10.4.2. დაამატოს ან/და გამოაკლოს ავტომატური გადახდების ბენეფიციარები;

10.4.3. განსაზღვროს გადახდების პრიორიტეტი; და

10.4.4. უარი განაცხადოს სერვისით ან მისი ნაწილით სარგებლობაზე.

10.5. ავტომატური გადახდებით სარგებლობისას, თითოეული გადახდის ოდენობა განისაზღვრება **კლიენტის** უნიკალური ნომრის/ანგარიშის დავალიანებით, რომელსაც **ბანკი** იღებს კლიენტის პროვაიდერიდან, **განაცხადში** მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.

10.6. **კლიენტის** ამგვარი ავტომატური გადახდებით მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ზე და შესაბამისად **ბანკი** იტოვებს უფლებას არ განახორციელოს ავტომატური გადახდა(ები), **კლიენტის** ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში.

10.7. **კლიენტი** ვალდებულია მუდმივად იქონიოს საკმარისი თანხები მის **უნივერსალურ ანგარიშზე** ავტომატური გადახდების შესასრულებლად.

10.8. **ბანკი** არ განახორციელებს ავტომატურ გადახდას, თუ **კლიენტს** აქვს დავალიანება საგადასახადო ორგანოებთან, სხვა ორგანოებთან ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, რომელიც ბანკისათვის გახდება ცნობილი. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხები მიმართული იქნება **ბანკის** დავალიანების დასაფარად სხვა გადარიცხვების, მათ შორის ავტომატური გადახდების, შესრულებამდე.

## 11. თანხის დაგროვების სერვისი - ყულაბა

11.1. **ბანკის** ნებისმიერი **ბარათის** მფლობელს შეუძლია გაიაქტიუროს **თანხის ავტომატური დაგროვების სერვისი** - **ყულაბა** ბანკის მიერ განსაზღვრული დაგროვების სქემ(ებ)ის შესაბამისად.

11.2. **თანხის დაგროვების სერვისის** გააქტიურება შესაძლებელია როგორც **ბანკის** ფილიალებსა და სერვის ცენტრებში, აგრეთვე **ბანკის** დისტანციური მომსახურების არხებში ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრულ სხვა არხებში **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

11.3. **ყულაბა** შესაძლებლობას აძლევს **კლიენტს ბარათით** განხორციელებულ თითოეულ ტრანზაქციაზე დააგროვოს თანხა მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული დაგროვების სქემ(ებ)ის მიხედვით.

11.4. **თანხის დაგროვების სერვისის** ფარგლებში **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს თანხა დააგროვოს შემდეგი სქემების შესაბამისად:

11.4.1. თანხის დაგროვების სქემა ქეშბექი - **კლიენტის** მიერ **ბანკის** ლოიალობის პროგრამით სარგებლობის ფარგლებში კლიენტის ანგარიშზე დასაბრუნებელი თანხა ავტომატურად ჩაირიცხება **კლიენტის** მიერ განაზღვრულ მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული სქემით თანხა **კლიენტის** მოთხოვნამდე ტიპის ანგარიშზე ჩაირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააქტიურებული ექნება ქეშბექი **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

11.4.2. თანხის დაგროვების სქემა ფიქსირებული ერთეული - **ბარათით** ლარში განხორციელებული ყოველი ტრანზაქციის შესრულების შემდეგ **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება **კლიენტის** მიერ წინასწარ არჩეული ფიქსირებული ერთეულის შესაბამისი თანხა.

11.4.3. დაგროვების სქემა დამრგვალებით - **ბარათით** ლარში განხორციელებული ყოველი ტრანზაქციის შესრულების შემდეგ, ტრანზაქციის თანხა დამრგვალდება უახლოეს ზედა მთელ რიცხვამდე და დამრგვალებულ თანხასა და ტრანზაქციის თანხას შორის სხვაობა ავტომატურად გადაირიცხება **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე.

11.4.4. დაგროვების სქემა ფიქსირებული ერთეულით წინასწარ განსაზღვრულ რიცხვში - **კლიენტის** მიერ წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და წინასწარ განსაზღვრულ რიცხვში მის მიერ განაცხადში მითითებული ფიქსირებული თანხა ავტომატურად გადაირიცხება **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე.

11.5. **კლიენტი** უფლებამოსილია ერთდროულად გააქტიუროს რამდენიმე ტიპის დაგროვების სქემა. სასურველ დაგროვების სქემას **კლიენტი** განსაზღვრავს შესაბამისი განაცხადით.

11.6. **თანხის დაგროვების სერვისით** თანხის დაგროვება შესაძლებელია ნებისმიერი რაოდენობის მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე. ამასთან, ერთ საანაბრე ანგარიშზე თანხების დაგროვება შესაძლებელია **კლიენტის** ნებისმიერი რაოდენობის ანგარიშზე გააქტიურებული **თანხის დაგროვების სერვისის** მეშვეობით.

11.7. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** არჩეული აქვს თანხის დაგროვების რამდენიმე სქემა ან/და თანხის დაგროვება ხორციელდება რამდენიმე ანაბრის ანგარიშზე, თანხის დაგროვება განხორციელდება **კლიენტის** მიერ არჩეული შესაბამისად ანაბრების და დაგროვების სქემების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

11.8. **თანხის დაგროვების სერვისის** გააქტიურება ხდება **კლიენტის ანგარიშზე** და არა **ბარათზე**, შესაბამისად, **კლიენტის** მიერ არჩეულ **ანგარიშზე თანხის დაგროვების სერვისის** გააქტიურების შემთხვევაში, თანხის დაგროვება განხორციელდება **კლიენტის** მიერ არჩეულ **ანგარიშზე** მიბმული ნებისმიერი **ბარათით** განხორციელებულ ტრანზაქციაზე.

11.9. **თანხის დაგროვების სერვისის** მეშვეობით თანხის დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, **თანხის დაგროვების სერვისით** ანაბარზე თანხის გადარიცხვა ხდება მხოლოდ შესაბამისი ვალუტის ქვეანგარიშზე არსებული ნაშთიდან და **ბანკი** არ განახორციელებს თანხის კონვერტაციას მიუხედავად შესაბამისი **ანგარიშის** სხვა ვალუტის ქვეანგარიშებზე არსებული ნაშთისა.

11.10. **თანხის დაგროვების სერვისის** ფარგლებში მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშზე თანხის გადარიცხვა ხორციელდება მხოლოდ **კლიენტის ანგარიშზე** შესაბამისი ოდენობის ნაშთის არსებობის შემთხვევაში. ანგარიშის ხელმისაწვდომ ნაშთში ასევე გაითვალისწინება ლარის ანგარიშზე დაშვებული ოვერდრაფის ლიმიტის ხარჯზე ხელმისაწვდომი თანხა. ამასთან, ტრანზაქციის შესრულების შემდეგ დასაგროვებელი თანხის **კლიენტის** მიერ შერჩეულ ანაბრის ანგარიშ(ებ)ზე გადატანა მოხდება სრულად. იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქციის შესრულების შემდეგ **კლიენტის ანგარიშზე** არ აღმოჩნდება საკმარისი თანხა **კლიენტის** მიერ არჩეული დაგროვების სქემის შესაბამისად თანხის გადასარიცხად, თანხის ნაწილობრივ გადატანა და/ან მოგვიანებით გადატანა არ განხორციელდება.

11.11. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ თანხის გადარიცხვა არ განხორციელდება შესაბამის ანგარიშზე რაიმე სახის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (მათ შორის, ინკასო/ყადაღა) არსებობის შემთხვევაში.

## 12. წამახალისებელი პროგრამები ან/და აქციები

12.1. **ბანკი** უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, შესთავაზოს **კლიენტს** მონაწილეობის მიღება **ბანკის** წამახალისებელ პროგრამებში, ან/და აქციებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის ფარგლებშიც **კლიენტს** მიეცემა საშუალება საბანკო მომსახურებით სარგებლობის პროცესში, მიიღოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვადასხვა სახის შეღავათი.

## 13. სპეციალური სავალუტო ანგარიში

13.1. **სპეციალური სავალუტო ანგარიში** არ წარმოადგენს საბარათე ანგარიშს და მასზე არ ხდება **საბანკო ბარათის** მიბმა.

13.2. **სპეციალურ სავალუტო ანგარიშზე** ვრცელდება წინამდებარე პირობები **სპეციალური სავალუტო ანგარიშის** სპეციფიკის გათვალისწინებით.

## 14. ფრაიორითი ფასი (Priority Pass)

14.1. **კლიენტებს,** რომლებიც მოგზაურობენ ხშირად, **ბანკი** სთავაზობს Priority Pass-ის პლასტიკურ ბარათს, რომელიც წარმოადგენს **ადმინისტრატორის** კუთვნილ Priority Pass არასაბანკო ბარათს, რომლის მეშვეობითაც **კლიენტი** ერთვება **ადმინისტრატორის** Priority Pass პროგრამაში. ეს პროგრამა საშუალებას აძლევს Priority Pass-ის წევრებს და მათ სტუმრებს შევიდნენ და ისარგებლონ მსოფლიოს მასშტაბით აეროპორტის "VIP" მოსაცდელ დარბაზ(ებ)ით, თითოეულ ვიზიტზე სტანდარტული გადასახდელის საფასურად, რომელიც მოგვიანებით ჩამოეჭრება **კლიენტს** ანგარიშიდან. კონკრეტული აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში Priority Pass-ის გამოყენების შესაძლებლობა განისაზღვრება Priority Pass-ის ვებ-გვერდზე (www.prioritypass.com) არსებული ინფორმაციით. **კლიენტი** ვალდებულია Priority Pass-ის ვებ-გვერდზე შესვლის მიზნით გაიაროს რეგისტრაცია.

14.2. აეროპორტების მოსაცდელი დარბაზების სამუშაო დრო და Priority Pass-ის ბუკლეტსა და Priority Pass-ის ვებ-გვერდზე მითითებული მომსახურების სახეობების ხელმისაწვდომობა ყოველთვის ექვემდებარება მოსაცდელი დარბაზის თითოეული ოპერატორის ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს. **კლიენტისათვის** ინფორმაცია ამგვარი ცვლილების შესახებ განთავსდება Priority Pass-ის ვებ გვერდზე (www.prioritypass.com) და ბანკი პასუხს არ აგებს აღნიშნული ინფორმაციის სისწორეზე.

14.3. Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი არ წარმოადგენს საკრედიტო ან/და **საბანკო ბარათს** და არ გააჩნია **კლიენტის** კრედიტუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ძალა.

14.4. Priority Pass-ის ბარათი გულისხმობს ინდივიდუალური წევრობის დამადასტურებელ პლასტიკურ ბარათს, რომელიც გაცემულია Priority Pass-ის თითოეულ წევრზე. დაუშვებელია Priority Pass-ის ბარათის სხვა პირზე გადაცემა ან/და სხვა პირის მიერ მისი გამოყენება.

14.5. **კლიენტი** ვალდებულია ყოველთვის დაიცვას წინამდებარე პირობები და Priority Travel Group-ის ვებ-გვერდზე - www.prioritypass.com-ზე არსებული ბარათით სარგებლობის წესები და პირობები.

14.6. Priority Pass-ის წევრობის ბარათი წარმოადგენს **ადმინისტრატორის** საკუთრებას და **კლიენტი** ვალდებულია დაუბრუნოს იგი **ბანკს** მოთხოვნისთანავე, იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენება ეწინააღმდეგება წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ პირობებს.

14.7. **კლიენტს** უფლება არა აქვს:

14.7.1. გამოიყენოს Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი საქართველოს და/ან სხვა ქვეყნის შესაბამისი იურისდიქციით განსაზღვრული არალეგალური მიზნებისთვის;

14.7.2. გამოიყენოს Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი მის ძალაში შესვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც **კლიენტი** მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ გაუქმდა აღნიშნული ბარათი.

14.8. მომსახურე აეროპორტის მოსაცდელ დარბაზებში შესასვლელად **კლიენტმა** სავალდებულო წესით უნდა წარადგინოს Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი.

14.9. **კლიენტისა** და მისი სტუმრების მიერ აეროპორტის მოსაცდელ დაბარზში შესვლაზე ხარჯების დარიცხვა წარმოებს ერთი პიროვნება - ერთი ვიზიტის პრინციპით, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ პიროვნებაზე ხარჯების დარიცხვა მოხდება ცალ-ცალკე. ვიზიტი აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში რეგისტრირდება მოსაცდელი დარბაზის ოპერატორის პერსონალის მიერ დარბაზში შესასვლელად **კლიენტის** მიერ Priority Pass-ის პლასტიკური ბარათის გამოყენებისას. **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს მისი და

სტუმრების მიერ მოსაცდელ დარბაზში განხორციელებული ვიზიტის ხარჯები, რომელთა ჩამოწერა მოხდება **კლიენტის უნივერსალური ანგარიშიდან**.

14.10. **ბანკს** არ გააჩნია კონტროლის საშუალება Priority Pass-ის მომსახურების ობიექტებზე და აქედან გამომდინარე არ არის პასუხისმგებელი მათ მიერ მომსახურების გაწევის ხარისხზე ან/და აღნიშნული მომსახურების ობიექტებში Priority Pass-ის პლასტიკური ბარათის გამოყენების შესაძლებლობაზე.

14.11. Priority Pass-ის პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან მოპარვის თითოეული შემთხვევა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს **ბანკს**. მოპარული, დაკარგული ან დაზიანებული Priority Pass-ის წევრობის პლასტიკური ბარათის სანაცვლოდ **ბანკი კლიენტზე** გასცემს ახალ Priority Pass-ის პლასტიკურ ბარათს შესაბამისი ღირებულების გადახდით, რომელზეც დაიტანება **კლიენტის** ახალი საიდენტიფიკაციო ნომერი (ბარათზე ამოტვიფრული თოთხმეტნიშნა კოდი).

14.12. **კლიენტი** ვალდებულია აანაზღაუროს მის მიერ აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში განხორციელებული ვიზიტები, რომლებიც Priority Pass-ის პლასტიკური ბარათით განხორციელდა ბარათის დაკარგვის თაობაზე წერილობით შეტყობინებამდე.

## 15. VISA Concierge (ვიზა კონსიერჟ) მომსახურება

15.1. იმ **კლიენტებს,** რომლებიც ფლობენ **VISA INFINITE** ტიპის **ბარათებს, ბანკი** სთავაზობს **VISA Concierge (ვიზა კონსიერჟ)** მომსახურებას, რაც გულისხმობს **კლიენტების** ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ 24 საათიან პერსონალური ასისტენტის მომსახურებას.

15.2. **Visa Concierge** სერვისი მიწოდება ხორციელდება **პარტნიორის** მეშვეობით მის ან/და VISA-ს მიერ განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს შესაბამისად **პარტნიორის** ან/და VISA-ს გადაწყვეტილებით. **კლიენტი** ვალდებულია მომსახურების მისაღებად გაეცნოს და საჭიროების შემთხვევაში დაეთანხმოს **პარტნიორის** ან/და VISA-ს მიერ შემოთავაზებულ პირობებს, მათ შორის მონაცემთა დამუშავების პოლიტიკებს და მათ ნებისმიერ ცვლილებას. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტისთვის პარტნიორის** ან/და VISA-ს მიერ შეთავაზებულ მომსახურების პირობებზე და მათ ნებისმიერ ცვლილებაზე.

15.3. **VISA Concierge მომსახურების** გაწევის მიზნით **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** მისი **პერსონალური მონაცემები** გადასცეს **პირობებში** ჩამოთვლილ **მესამე პირ(ებ)ს,** მათ შორის, **პარტნიორს** იმ მოცულობით, რაც აუცილებელია **პარტნიორის** მხრიდან **კლიენტთან** სატელეკომუნიკაციო საშუალებ(ებ)ის გამოყენებით (მათ შორის Viber-ის მეშვეობით) საკომუნიკაციოდ და მისთვის **VISA Concierge** მომსახურების გასაწევად. **კლიენტი** ასევე აცნობიერებს და ეთანხმება, რომ მის მიერ მოთხოვნილი სერვისის გათვალისწინებით, **VISA Concierge** მომსახურების გაწევა, შესაძლოა საჭიროებდეს მონაცემთა გადაცემას და მათ დამუშავებას საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, სადაც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

15.4. **VISA Concierge მომსახურების** სარგებლობის მიზნით **კლიენტმა** უნდა გაიაროს ავტორიზაცია ბანკის მიერ მითითებულ მისამართზე და აირჩიოს საკომუნიკაციო არხი, რომლის მეშვეობითაც მიიღებს **VISA Concierge** მომსახურებას.

15.5. **კლიენტი** უფლებამოსილია **VISA Concierge მომსახურებით** სარგებლობის უფლება გადასცეს მესამე პირ(ებ)ს. ამ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია მომსახურების გააქტიურებისთვის საჭირო მესამე პირის პერსონალური მონაცემები გადასცეს **ბანკს** და მოიპოვოს მონაცემთა სუბიექტებისგან შესაბამისი თანხმობა **ბანკის** მიერ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, მათ შორის **პარტნიორისთვის** გადაცემაზე.

15.6. **კლიენტისთვის VISA Concierge მომსახურების** მიწოდება შესაძლებელია შეწყდეს **კლიენტის** მოთხოვნით, **VISA INFINITE ბარათის** დაბლოკვით, **VISA INFINITE ბარათის** ვადის გასვლით ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა საფუძვლით.

15.7. **VISA INFINITE** ტიპის **ბარათების** მფლობელებისთვის **VISA Concierge მომსახურებით** სარგებლობა არის უფასო. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **VISA Concierge მომსახურებით** გამოყენებით ნებისმიერი სახის მომსახურების/პროდუქტის შეძენის შემთხვევაში შეძენილი პროდუქტის/მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება ეკისრება **კლიენტს.**

15.8. **ბანკს** არ გააჩნია კონტროლის არანაირი საშუალება **VISA Concierge მომსახურების** გამოყენებით შეძენილ პროდუქტზე/მომსახურებაზე, შესაბამისად, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი შეძენილი პროდუქტის/მომსახურების ხარისხზე.

15.9. **VISA Concierge მომსახურებასთან** დაკავშირებით **კლიენტის** ნებისმიერი მოთხოვნა წარედგინება უშუალოდ **პარტნიორს. ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **პარტნიორის** მიერ მომსახურების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე.

15.10. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს წვდომა **კლიენტის** იმ საკომუნიკაციო არხთან, რომელიც გამოიყენება **VISA Concierge მომსახურების** მისაღებად, შეუძლია **კლიენტის** სახელით ისარგებლოს **VISA Concierge მომსახურებით.** აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას შესაბამისი საკომუნიკაციო არხის ან/და მოწყობილობის წვდომის კოდების უსაფრთხოება. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ **კლიენტის** სახელით **VISA Concierge მომსახურების** გამოყენების გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე.

## 16. ვალუტის გაცვლა

16.1. **ბანკი კლიენტს** გაუწევს ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საბროკერო, ასევე, ვალუტის გაცვლითი ოპერაციებით მომსახურებას. ვალუტის გაცვლით ოპერაციაში იგულისხმება **კლიენტის** ერთ-ერთ სავალუტო ანგარიშზე არსებული თანხების გაყიდვა მეორის სანაცვლოდ. ვალუტის გაცვლით ოპერაციას **ბანკი** შეასრულებს **კლიენტის განაცხადის** შესაბამისად, **ბანკში** დადგენილი კომერციული ან თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსით.

16.2. **ბანკი** იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე,** ამგვარი **ოპერაციის** საწარმოებლად საჭირო თანხის არსებობის შემთხვევაში და ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულებისთანავე ჩარიცხოს **კლიენტის** ანგარიშზე **კლიენტის** მიერ ნაყიდი თანხა **განაცხადში** მითითებულ ვალუტირების (**კლიენტის** ანგარიშებზე თანხების ჩამოწერისა და ჩარიცხვის) თარიღში.

16.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ **განაცხადის** მიღების მომენტიდან, ბლოკირება გაუკეთოს **კლიენტის უნივერსალურ ანგარიშზე** თანხებს, **განაცხადში** არსებული **კლიენტის** მიერ გასაყიდი თანხის ფარგლებში (**ოპერაციის** საზღაურის გათვალისწინებით) **ოპერაციის** დასრულებამდე (ანგარიშებზე შესაბამისი თანხების ჩამოჭრა/ჩარიცხვამდე ან **ბანკის** მიერ **ოპერაციის** შეუსრულებლობისას).

16.4. **ბანკი** არ იღებს ვალდებულებას ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ **განაცხადის** შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ **განაცხადში** მითითებულია კურსის შეზღუდვა, ან **ბანკის** მიერ დადგენილი კურსი არ აკმაყოფილებს კურსის შეზღუდვის მოთხოვნებს. კურსის შეზღუდვა გულისხმობს: ბირჟის კურსით **განაცხადის** შემთხვევაში ყიდვის მაქსიმალურ ან გაყიდვის მინიმალურ კურსს, ხოლო კომერციული კურსით **განაცხადის** შემთხვევაში – მხოლოდ მითითებულ კურსში ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულების მოთხოვნას.

16.5. თუ ამ პუნქტში აღნიშნული მიზეზების გამო არ ან ნაწილობრივ განხორციელდა ბირჟის კურსით ვალუტის გაცვლითი ოპერაცია, **ბანკი** შეატყობინებს **კლიენტს განაცხადის** შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ და **კლიენტისაგან** მიღებული თანხმობის შემთხვევაში შეასრულებს ვალუტის გაცვლით ოპერაციას **ბანკის** მიერ განსაზღვრული კომერციული კურსით. ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს:

16.5.1. ბირჟაზე ვაჭრობა არ შედგა **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზის გამო;

16.5.2. **ბანკის განაცხადი** ბირჟაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; და

16.5.3. **კლიენტმა ბანკის** მიერ ბირჟაზე ნაყიდი თანხა არ მიიღო ან მიიღო ნაწილობრივ.

16.6. **კლიენტი** ვალდებულია ვალუტის გაცვლითი ოპერაციების ჩატარებისათვის დააკმაყოფილოს **ბანკში** დადგენილი ზოგადი წესები (**განაცხადის** წარდგენის ვადები, შევსების წესები და ა.შ.) და გადაიხადოს აღნიშნული ოპერაციებისათვის დადგენილი საკომისიო გადასახადი.

## 17. მომსახურება ქოლ-ცენტრის მეშვეობით

17.1. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** მიმართვის შემთხვევაში, **პირობებში** მოცემული ზოგიერთი მომსახურება, **ბანკის** მიერ განსაზღვრული მოცულობით, განახორციელოს ქოლ-ცენტრის ჩართულობით, მათ შორის განახორციელოს **კლიენტის** იდენტიფიკაცია, გასცეს ინფორმაცია, მიიღოს **დავალება** და ა.შ.

ნაწილი III

## 18. საბანკო მომსახურების ტარიფები

18.1. **კლიენტის** და **ბანკის** ფინანსური ურთიერთობა სრულად რეგულირდება **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფებით**.
18.2. **კლიენტი ბანკს** უხდის საკომისიოს **პირობების** 1.5. პუნქტში აღნიშნული რომელიმე **პროდუქტის/მომსახურების** ან/და **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** გამოყენებისას **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფების** შესაბამისად.
18.3. **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** მომსახურების საკომისიოს გადახდა ხორციელდება წინასწარ, თვეში ერთხელ ან წელიწადში ერთხელ **კლიენტის** მიერ არჩეული გადახდის სქემის შესაბამისად.
18.4. **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** საფასურის პირველი გადახდა ხდება კონკრეტული **სატარიფო პაკეტის** შეძენის დღეს, შემდგომ გადახდას **კლიენტი** ახორციელებს მის მიერ არჩეული გადახდის სქემის შესაბამისად, თვეში ერთხელ, ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში ან წელიწადში ერთხელ ყოველი მომდევნო წლის იმავე რიცხვში. ყოველთვიური გადახდის სქემის არჩევის შემთხვევაში, თუ კონკრეტულ კალენდარულ თვეში არ არსებობს აღნიშნული რიცხვი, საფასურის ჩამოჭრა განხორციელდება აღნიშნული კალენდარული თვის ბოლო რიცხვში, ხოლო ყოველწლიური გადახდის სქემის არჩევის შემთხვევაში, თუ კონკრეტულ კალენდარულ წელში არ არსებობს წინა გადახდის შესაბამისი რიცხვი, გადახდის თარიღი განისაზღვრება მომდევნო კალენდარულ რიცხვით.
18.5. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** შესთავაზოს სატესტო პაკეტი (ე.წ. trial) **ბანკის** მიერ დადგენილი ვადით და პირობებით. სატესტო პაკეტისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მომსახურების ტარიფები განისაზღვრება **პირობების დანართი №1-ით** სტანდარტული პაკეტისთვის განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.
18.6. **ბანკი** ნებისმიერ დროს უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი პროდუქტის, მომსახურების ან პაკეტის **ტარიფები**. **ბანკის** მიერ დადგენილ **ტარიფებში** ცვლილებების შემთხვევაში, კლიენტს ეცნობება **ბანკის** საინფორმაციო მასალის საშუალებით.
18.7. **კლიენტი** თავად განსაზღვრავს, მისთვის სასურველ **სატარიფო პაკეტს**, მისთვის შეთავაზებული სატარიფო პაკეტებიდან. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს კონკრეტული **კლიენტისათვის** შესათავაზებელი **სატარიფო პაკეტი**, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც წინამდებარე **პირობებში** შემავალ ყველა **სატარიფო პაკეტს**, ისე ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ **სატარიფო პაკეტს**, **ბანკის** შეხედულებისამებრ.
18.8. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს კლიენტის უნივერსალური ანგარიშიდან** ან **ბანკში** არსებული **კლიენტის** სხვა ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს მომსახურების **ტარიფები**, მათ შორის **სატარიფო პაკეტის** მომსახურების საფასური.
18.9. **საბანკო პროდუქტების** მომსახურების საკომისიოს ჩამოწერა ხორციელდება **კლიენტის უნივერსალური ანგარიშიდან** ან/და **კლიენტის ბანკში** გახსნილი სხვა ანგარიშებიდან, მათ შორის, კონვერტაციის გზით კონვერტაციის დღეს **ბანკის** კომერციული გაცვლითი კურსის შესაბამისად.
18.10. **ბანკის** პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად **კლიენტისთვის** შეთავაზებული ერთობლივი მომსახურების/პროდუქტების ტარიფები განისაზღვრება ცალმხრივად ამ ორგანიზაციების მიერ.
18.11. **კლიენტის** მიერ **სატარიფო პაკეტის** ან/და **მომსახურეობის/პროდუქტის** შეძენის შემდეგ **სატარიფო პაკეტზე** ან/და **სატარიფო პაკეტით** გათვალისწინებულ **მომსახურებაზე/პროდუქტზე** უარის თქმის შემთხვევაში **კლიენტს** გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.
18.12. **კლიენტის** მიერ რომელიმე მომსახურების ან **სატარიფო პაკეტის** საკომისიოს გადაუხდელობა **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული სხვა მომსახურება ან **სატარიფო პაკეტით** სარგებლობის უფლება, მიუხედავად იმისა, **ბანკს** ჩამოწერილი აქვს თუ არა მომსახურების ტარიფები **კლიენტის** ანგარიშიდან.
18.13. თუ **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** მომსახურების **ტარიფ(ებ)ის** (საკომისიო) გადახდის თარიღი ემთხვევა კალენდარული თვის ბოლო დღეს, **ბანკი** მომსახურების **ტარიფ(ებ)ის** ჩამოწერას განახორციელებს კალენდარული თვის ბოლო საბანკო დღეს.
18.14. **კლიენტის** მიერ ახალი **სატარიფო პაკეტის** შეძენის (სატარიფო პაკეტის ცვლილების) შემთხვევაში, **კლიენტზე** გავრცელდება ახალი **სატარიფო პაკეტით** განსაზღვრული **ტარიფები**. ამასთან, თუ ხორციელდება:
18.14.1. უფრო მაღალი ღირებულების **სატარიფო პაკეტის** შეძენა - ახალი **სატარიფო პაკეტის** მომსახურების საკომისიო დაკორექტირდება **კლიენტის** მიერ მანამდე შეძენილი **პაკეტით** სარგებლობისათვის წინასწარ გადახდილი საკომისიოს ოდენობის შესაბამისად (ფაქტობრივად ნასარგებლი დღეების მიხედვით);
18.14.2. უფრო დაბალი ღირებულების **სატარიფო პაკეტის** შეძენა - **კლიენტს** არ აუნაზღაურდება მანამდე შეძენილი **სატარიფო პაკეტით** სარგებლობისათვის წინასწარ გადახდილი საკომისიოს შესაბამისი ოდენობა.
18.15. ახალი **სატარიფო პაკეტის** შეძენისას/**სატარიფო პაკეტის** ცვლილებისას მომსახურების საკომისიოს გადახდის თარიღი შეიცვლება და განისაზღვრება **სატარიფო პაკეტის** შეძენის/ცვლილების თარიღის შესაბამისად.
18.16. კონკრეტული **სატარიფო პაკეტის** მომსახურების საკომისიოს გადახდის დღეს **კლიენტს** დაერიცხება მომდევნო თვის ან მომდევნო წლის საკომისიო მის მიერ არჩეული გადახდის სქემის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ **ანგარიშზე** არ იქნება საკმარისი ნაშთი, დარიცხული საკომისიოს გადასახდელად მოხდება მისი (საკომისიოს) დამახსოვრება, რომლის ჩამოჭრაც განხორციელდება ანგარიშზე თანხის გაჩენისთანავე.
18.17. თუ **სატარიფო პაკეტ(ებ)ის ტარიფ(ებ)ის** (საკომისიოს) გადახდის დღეს **კლიენტის** ანგარიშზე უკვე ფიქსირდება დავალიანება წინა თვის საკომისიოს სახით, ყოველთვიურად განხორციელდება მომდევნო თვის/თვეების საკომისიოს დარიცხვა დავალიანების სახით. დაგროვილი დავალიანების თანხის ჩამოჭრა **კლიენტის** ანგარიშ(ებ)დან მოხდება ანგარიშ(ებ)ზე თანხის ნებისმიერი ფორმით განთავსებისთანავე იქამდე, ვიდრე დავალიანება სრულად არ დაიფარება. **სატარიფო პაკეტ(ებ)ის ტარიფ(ებ)ის** (საკომისიოს) ზედიზედ 3 (სამი) თვის განმავლობაში სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს დავალიანების დარიცხვა.
18.18. **კლიენტის** მიერ ნებისმიერი მომსახურების **ტარიფ(ებ)ის** ან/და **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში, **ბანკი** მოახდენს საკომისიოს დაგროვებას დავალიანების სახით, რომლის დაფარვაც მოხდება **კლიენტის უნივერსალური ანგარიშიდან** ან **ბანკში** არსებული სხვა ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის გზით მასზე ხელმისაწვდომი ნაშთის გაჩენისთანავე.
18.19. **კლიენტის** მიერ ნებისმიერი და ყველა მომსახურების საკომისიოს დავალიანების დაფარვის შემდეგ, **კლიენტს** აღუდგება არსებული **სატარიფო პაკეტი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, **სატარიფო პაკეტების** საკომისიოს დარიცხვის ვადები დარჩება იგივე, რაც განსზღვრულია შესაბამისი **სატარიფო პაკეტის** შეძენის ან ცვლილების **განაცხადით**.
18.20. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხდება **ბანკის** მიერ **კლიენტის** ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწერა დავალიანების დასაფარად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს **კლიენტს** უფლება განკარგოს დარჩენილი თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ.
18.21. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანებისას, გადასახდელი თანხა იფარება **ბანკის** შეხედულებით განსაზღვრული თანმიმდევრობით. ამასთან, დავალიანების დაფარვის სტანდარტული თანმიმდევრობა შემდეგია:
18.21.1. **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** მომსახურების საკომისიო (არსებობის შემთხვევაში);
18.21.2. საკრედიტო ბარათის დავალიანება (არსებობის შემთხვევაში), მათ შორის, საკრედიტო ლიმიტის გახარჯვის პროცენტი, ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი, ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო(ები), გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი, საპროცენტო განაკვეთი, დავალიანების ძირითადი თანხა;
18.21.3. თანხის გადახარჯვის (ოვერლიმიტის) პროცენტი და ჯარიმა (არსებობის შემთხვევაში);
18.21.4. **კლიენტის** არაუზრუნველყოფილი კრედიტი და სხვა საკრედიტო დავალიანება (არსებობის შემთხვევაში);
18.21.5. **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული სხვა დავალიანება (არსებობის შემთხვევაში).
18.22. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად **პირობების** 17.21 პუნქტში მოცემული დავალიანების დაფარვის სტანდარტული თანმიმდევრობა არ გამორიცხავს **ბანკის** უფლებას, **კლიენტის** დავალიანების დაფარვა განახორციელოს სხვა, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრული თანმიმდევრობით.
18.23. **ბანკი** შეეცდება **კლიენტს** შეატყობინოს მისი **ბანკისადმი** არსებული **დავალიანების** გადახდის აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, **კლიენტი** არ გათავისუფლდება დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან მის მიერ დავალიანების შეტყობინების მიუღებლობისას.

## 19. დავალების მიღების და შესრულების ვადები

19.1. **ბანკი** გადახდის **ოპერაციას** ახორციელებს გადამხდელის ან მიმღების მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი **დავალების** საფუძველზე. ამასთან, **დავალება** შეიძლება წარდგენილი იქნას მატერიალური ან/და არამატერიალური-ელექტრონული ფორმით.
19.2. **დავალებას ბანკი** მიიღებს და შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის ან მიმღების მიერ სრულად და ჯეროვნად შევსებული იქნება **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები.
19.3. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **ბანკის** მიერ დავალების მიღება ავტომატურად არ გულისხმობს გადახდის **ოპერაციის** შესრულებას და გადახდის **ოპერაცია** დაკავშირებულია შესაბამის ვადებთან, რომელიც დამოკიდებულია თავად **დავალების** შინაარსზე.
19.4. **ბანკის** მიერ **დავალებ(ებ)ის** მიღებისთვის დადგენილი დროის მონაკვეთი, აგრეთვე მიღებული **დავალებ(ებ)ის** განხორციელებისთვის საჭირო მაქსიმალური ვადები მოცემულია **ხელშეკრულების** #3 დანართში.

## 20. მხარეთა პასუხისმგებლობა

20.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.
20.2. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:
20.2.1. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი **ხელშეკრულებ(ებ)ით** (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის **ხელშეკრულებ(ებ)ით**) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების (მათ შორის ასეთი საფრთხის არსებობის) შემთხვევაში დაბლოკოს **კლიენტის** ანგარიში;
20.2.2. **კლიენტის ბანკში** არსებული ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **ოპერაციების** წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, **სატარიფო პაკეტ(ებ)ის** ღირებულება, კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;
20.2.3. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტს** ანგარიშიდან;
20.2.4. **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ვალდებულებები გაქვითოს **კლიენტის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში.

## 21. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

21.1. იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი** მოქმედებს **კლიენტის** დავალებით საბანკო მომსახურების გაწევისას **კლიენტი** აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, **კლიენტის** ან მესამე მხარის მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის მფლობელებს**) წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან ასევე **კლიენტი** აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა საბანკო მომსახურების გამოყენების შედეგად, ან ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიქმნა საბანკო მომსახურების მეშვეობით განხორციელებული **ოპერაციის** შედეგად; **კლიენტი** აღიარებს, რომ აღნიშნული **ოპერაციები** განხორციელდება **ბანკის** მიერ მიღებული დავალებების და ავტორიზაციის შესაბამისად ამ პირობების მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. **კლიენტი** აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისთვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება საბანკო მომსახურების ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება.
21.2. **კლიენტი** აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი/მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ **ოპერაციებთან** დაკავშირებით, რომლებიც **წვდომის კოდ(ებ)ის** გამოყენებით განხორციელდა. ამგვარი დამატებითი **ხელშეკრულებები**, **განცხადებები** და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.
21.3. ამ **ხელშეკრულების** პირობების მიუხედავად, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე გამორიცხულია **ბანკის** პასუხისმგებლობა ნებისმიერ პირდაპირ და არაპირდაპირ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია სისტემასთან, მოწყობილობებთან, მათ ინსტალაციას და მხარდაჭერასთან, საკომუნიკაციო ხაზებთან, სატელეფონო ან სხვა კავშირგაბმულობის პრობლემებთან, შეცდომებთან, კონფიგურაციის პრობლემებთან ან კომპიუტერის მოწყობილობების შეუთავსებლობასთან, ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პრობლემებთან და მონაცემების გადაცემასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში განსაზღვრულ საბანკო მომსახურებებთან.
21.4. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება **ბანკის** აღამასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია **ბანკის** ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ **ხელშეკრულების** პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ **პირობების** დარღვევას).
21.5. **დისტანციური საბანკო მომსახურების** გამოყენებისას **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს საბანკო მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ. **კლიენტმა** არ უნდა დატოვოს **დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან** დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ.
21.6. **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერ **ოპერაციაზე**, რომელსაც იგი განახორციელებს საბანკო მომსახურებით აღნიშნული მომსახურების გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ.
21.7. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, თუ: **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი **დავალებ(ებ)ი; კლიენტმა ბანკს** მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია; **კლიენტსა** და **ბანკს** შორის ინტერნეტით კავშირში ჩაერთო მესამე მხარე.
21.8. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა ტრანზაქციაზე, მათ შორის იმ ტრანზაქციებზეც, რომლებიც განხორციელდა ანგარიშის დახურვის შემდეგ.
21.9. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება საბანკო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ **მხარეები** ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ **ხელშეკრულებიდან** წარმოშობილ ვალდებულებებს.

## 22. გადასახადები

22.1. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე ამ **პირობების** (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ინტერნეტ-ბანკით მომსახურების პირობებს) შესაბამისად. **კლიენტი** აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ანგარიშ(ებ)ის მართვასთან ან წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერ ან ყველა საბანკო მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, ”საგადასახადო ვალდებულება”).
22.2. **ბანკი** თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტისგან** მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ **საქართველოს კანონმდებლობით** გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, **ბანკი** ან/და ნებისმიერი შვილობილი/აფილირებული კომპანია ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოწერას

**კლიენტის** ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ **კანონის** შესაბამისად **ბანკს** ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა **კლიენტის** საგადასახადო ვალდებულების გამო, **კლიენტი** დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს **ბანკს** ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია **ბანკის** რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

22.3. **ბანკი** ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ **საქართველოს კანონმდებლობით** და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. **საქართველოს კანომდებლობასთან** ერთად **კლიენტმა** უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანომდებლობას, რომლის მოქალაქეც არის **კლიენტი** ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

22.4. **კლიენტი** ვალდებულია არ გამოიყენოს ანგარიში ან/და **პირობებში** აღწერილი მომსახურება სამეწარმეო საქმიანობისთვის ან/და **საქართველოს კანონმდებლობით** აკრძალული ნებისმიერი საქმიანობისთვის. ამასთან, **კლიენტის** მიერ სამეწარმეო საქმიანობის დაწყების და გადასახადის გამხდელ პირად რეგისტრაციის შემთხვევაში იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს**.

## 23. ხელშეკრულების ცვლილებები

23.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისათვის** წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები, ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

23.1.1. **ხელშეკრულებით** ან **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების **ტარიფების** ცვლილება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ;

23.1.2. **ხელშეკრულებაში** ან **პირობებში** ხორციელდება ახალი საგადახდო მომსახურების, საბანკო პროდუქტის ან **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხის დამატება, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებაში** ან/და **პირობებში** არსებულ მომსახურებებს.

23.2. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს**, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **კლიენტი** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

23.3. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ხელშეკრულების** დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ამასთან თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული **კლიენტის** მხრიდან განცხადებაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.

23.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზეზით **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია სრულად დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული **დავალიანება** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე **პირობებით** დადგენილი წესით. ამასთან, **ხელშეკრულების** შეწყვეტისათვის **კლიენტს** არ დაეკისრება რაიმე სახის საჯარიმო საკომისიო ან/და დამატებითი პირგასამტეხლო **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტისათვის.

23.5. **ხელშეკრულებაში** ცვლილებების შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება შეცვლილი **პირობების** ტექსტის **ბანკის** ვებგვერდზე - www.libertybank.ge განთავსების გზით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ინფორმირება დაგეგმილი ან არსებული ცვლილების შესახებ მოახდინოს წინამდებარე **პირობების** 26-ე მუხლით განსაზღვრული კომინიკაციის ერთი ან რამდენიმე ფორმით. **კლიენტი** თავად არის ვალდებული პერიოდულად შეამოწმოს ბანკის ვებ-გვერდი და გაეცნოს პირობებში ცვლილებებს.

## 24. ძალაში შესვლის თარიღი და ვადა

24.1. ეს **პირობები** ძალაში შევა მას შემდეგ, რაც **კლიენტი** შეავსებს შესაბამის **განაცხადს**, ხელს მოაწერს ან/და თანხმობას გამოხატავს **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით და ჩააბარებს **ბანკს** და მას დაეთანხმება **ბანკი**. **ბანკის** თანხმობა გამოიხატება **კლიენტისათვის** შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევის დაწყებით.

24.2. ძალაში შევა **პირობების** მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც შეეხება **კლიენტის** მიერ **განაცხადში** მითითებულ მომსახურებას და მათთან ერთად **პირობების** I და III ნაწილებს.

24.3. **პირობები** ძალაშია **პროდუქტის** / **მომსახურების** ან/და **სატარიფო პაკეტის** მოქმედების ვადით და მოქმედების მის შეწყვეტამდე ამ **პირობებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად.

24.4. **პროდუქტის** / **მომსახურების** ან **სატარიფო პაკეტის** მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მისი მოქმედების განახლების შემთხვევაში **პროდუქტზე** / **მომსახურებაზე** ან/და **სატარიფო პაკეტზე** გავრცელდება წინამდებარე **პირობები**, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.

24.5. თუ **ბანკი** ან/და **კლიენტი** გადაწყვეტენ შეწყვიტონ ზოგიერთი სახის საბანკო პროდუქტით მომსახურება, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

24.6. თუ წინამდებარე **პირობებით**, მათ შორის ანგარიშის დახურვის მუხლით, ან **საქართველოს კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკს** უფლება აქვს შეწყვიტოს მთლიანი **ხელშეკრულება** ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას, **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე.

24.7. თუ **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან პირობას ან მის გადახდისუნარიანობას შეექმნება საფრთხე, **ბანკი** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარს განუცხადებს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე და გააუქმებს **ხელშეკრულებას**, **ბარათ(ებ)ს**, დახურავს **კლიენტის ანგარიშ(ებ)ს,** გააუქმებს ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ საბანკო მომსახურებას (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციურ საბანკო მომსახურების** არხებს) და მოითხოვს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვას ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტას.

24.8. **კლიენტის** მიერ **ბანკის უნივერსალური ანგარიშით** მომსახურების შეწყვეტის ან ამ ანგარიშის დახურვის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს** წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა მომსახურება.

24.9. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს **ხელშეკრულება ბანკისთვის** 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში **ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს აღნიშნულ ვადაზე ადრეც.

24.10. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ **ხელშეკრულება** არ შეწყდება მანამ, სანამ **კლიენტი** არ შეწყვეტს ისეთ განგრძობად **ოპერაციებსაც** (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მუდმივ საგადასახადო **დავალებას**, ავტომატურ კომუნალურ გადახდებს, განმეორებად **ოპერაციებს** და განგრძობად ავტორიზაციას, რომელიც **კლიენტმა** გასცა საქონლის ან მომსახურების მომწოდებელზე და რაც გულისხმობს მისი **უნივერსალური ანგარიშიდან** თანხის რეგულარულად ჩამოწერას), რომლებიც **კლიენტის** დავალების საფუძველზე ხორციელდება მისივე ანგარიშ(ებ)იდან.

24.11. თუ რომელიმე **მხარე** გადაწყვეტს **ხელშეკრულების** შეწყვეტას, მაშინ: ყველა **ბარათი,** რომელიც **ბანკმა** გასცა **კლიენტზე** ან **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე,** უნდა დაუბრუნდეს **ბანკს**; ყველა **წვდომის კოდ(ებ)ი** გაუქმდეს; **კლიენტმა ბანკს** უნდა გადაუხადოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა.

24.12. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, მომსახურების **ტარიფების** გადახდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გაწეული საგადახდო მომსახურების პერიოდის პროპორციულად, ამასთან თუ **ტარიფებით** განსაზღვრული რომელიმე რეგულარული/პერიოდული საკომისიო გადახდილია წინასწარ, **ბანკი** უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი თანხის **კლიენტისთვის** დაბრუნებას.

24.13. თუ **ხელშეკრულების** შეწყვეტა **კლიენტის** მიერ განხორციელდება **ხელშეკრულების** ძალაში შესვლიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლამდე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს **ხელშეკრულების** შეწყვეტასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება, იმ მოცულობით, რა მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს **ხელშეკრულების** შეწყვეტიდან გამომდინარე **ბანკის** მიერ გასაწევ რეალურ ხარჯს.

24.14. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება წინამდებარე **პირობების** 26-ე მუხლით განსაზღვრული კომუნიკაციის რომელიმე ფორმით.

## 25. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

25.1. წინამდებარე **პირობები** რეგულირდება და განიმარტება **საქართველოს კანონმდებლობის** შესაბამისად.

25.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ **პირობებს** ან ამ **პირობების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

25.3. დავი(ებ)ის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, **მხარეები**

თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
25.4. **კლიენტი** უფლებამოსილია **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესრულებასთან დაკავშირებით პრეტენზია წარუდგინოს **ბანკს,** რომელსაც **ბანკი** განიხილავს „კლიენტთა პრეტენზიების" განხილვის პროცედურის შესაბამისად, (რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.libertybank.ge/ka/momkhmarebelta-uflebebi); თუ **ხელშეკრულებით** განსხვავებული ვადები ან/და პირობები არ არის დადგენილი.
25.5. საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით, **ბანკისათვის** წარდგენილი საჩივრის დადგენილ ვადაში დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის, პასუხის გაუცემლობის) ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში. **კლიენტი** უფლებამოსილია, განსახილველ საჩივართან დაკავშირებით, **ბანკისთვის** საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, რომელიც დავას განიხილავს უსასყიდლოდ;

## 26. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები

26.1. *მონაცემების დამუშავება*. **კლიენტისათვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე **სახელშეკრულებო** ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკი** უფლებამოსილია, წინამდებარე **პირობების** 25.10. პუნქტში მოცემული მიზნებით, განახორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის** პერსონალური მონაცემების, დამუშავება.
26.2. **ბანკის** მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის მონაცემების **კლიენტისაგან**, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო(ები)დან ან/და წინამდებარე **პირობებში** მითითებული **მესამე პირ(ებ)ისაგან** მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის წინამდებარე პირობებში მითითებული მიზნებით **მესამე პირებისთვის** გამჟღავნებას) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.
26.3. **ბანკის** ან/და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი **მესამე პირების** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ბანკის** შეკვეთით უფლებამოსილი პირების) მიერ ხორციელდება **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნებისათვის, რაც შესაძლოა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი ინფორმაციის, (მათ შორის **პერსონალური მონაცემების**) დამუშავებით:
(ა) **კლიენტის** სახელი და გვარი;
(ბ) დაბადების ადგილი და თარიღი;
(გ) პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები, ფოტოსურათი/ვიზუალური გამოსახულება;
(დ) მოქალაქეობა;
(ე) სქესი;
(ვ) რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;
(ზ) ტელეფონის/მობილურის ნომერი;
(თ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
(ი) ინფორმაცია შემოსავლების შესახებ და საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალები) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (**კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);
(კ) **კლიენტის** საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;
(ლ) დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);
(მ) **ბანკში** და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;
(ნ) **ბანკის** ან/და საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული **ბარათების** და შესაბამისი საბარათე ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ **ბარათებზე** კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ **ბარათებზე** განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი **წვდომის კოდები**;
(ო) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული **კლიენტის** ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორცილებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა),
(პ) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და **კლიენტისა** ან/და მას მიერ მითითებული **მესამე პირ(ებ)ის** აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);
(ჟ) ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ;
(რ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა ან/და შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახდელების ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხული საურავების) შესახებ მონაცემები **კლიენტის** თაობაზე;
(ს) საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია;
(ტ) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება **კლიენტს** და რის შედეგადაც შესაძლებელია **კლიენტის** იდენტიფიცირება ან/და დახასიათება ან/და სხვა **კლიენტებთან** მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვე-პუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობით.
26.4. თუ **კლიენტი**, მომსახურების მიღების მიზნით, **ბანკს** აწვდის მესამე პირების (**დამატებითი ბარათის მფლობელი**, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო **ბანკი** ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, დამუშავებას საბანკო მომსახურების შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, **კლიენტი** თავად არის ვალდებული მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების ბანკის მიერ დამუშავებაზე. **კლიენტის** მიერ ამგვარი ინფორმაციის ბანკისთვის (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს **კლიენტის** მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს ბანკის მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგენს **ბანკს** **კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. **კლიენტი** თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.
26.5. **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, ბანკის ვებ-გვერდი, **ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი,** ბანკის მობილური აპლიკაციები, LB PAY აპარატები, **ბანკომატები** ან/და მონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და კლიენტის მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.
26.6. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო მომსახურების გაწევისა და სერვისების ოპტიმიზაციის მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალის (LB Pay აპარატის) ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის საშუალებით, **კლიენტის** პირადი ნომრით ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა მეთოდით იდენტიფიკაციის შემთხვევაში, **კლიენისათვის** ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული ინფორმაცია მის (კლიენტის) საბანკო პროდუქტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე (ყოველთვიური) დავალიანებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მთლიანი სასესხო დავალიანების ჩვენების გარეშე, ასევე **ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის** შესახებ ინფორმაცია,

**ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის** მონაცემების არასრული ინფორმაციის ჩვენებით.

26.7. **ბანკი** პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**) / ბანკომატების ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის მეშვეობით, **კლიენტის** იდენტიფიცირებისათვის აუციელბელი ინფორმაციის (პირადი ნომერი ან./და დაბადების თარიღი) სრაფი გადახდის ტერმინალში (LB Pay აპარატში) / ბანკომატში შეყვანით, **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

26.8. *<u>მონაცემთა დამუშავების საფუძველი.</u>* **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკის** მიერ კლიენტის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება ხორციელდება სულ მცირე ერთ-ერთი საფუძვლით:

26.8.1. **კლიენტის** თანხმობით მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით;

26.8.2. **კლიენტის** განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;

26.8.3. **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი ინტერესების დასაცავად;

26.8.4. **ბანკის** მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

26.8.5. საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;

26.8.6. კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

26.9. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს **კლიენტის** თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება აქტიური მოქმედებით ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გამოხატული ნება/გაკეთებული **განაცხადი**, რომლითაც **კლიენტი** ეთანხმება შესაბამის **პირობებს** და რომელიც ამ **განაცხადთან** ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

26.10. *<u>მონაცემების დამუშავების მიზანი</u>.* **ბანკის** ან/და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი **მესამე პირ(ებ)ის** მიერ **კლიენტის** ან/და მის მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა და სხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

26.10.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

26.10.2. პროდუქტების და სერვისის მისაწოდებლად, მათ შორის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის აპარატი, ბანკომატი და ა.შ.) **კლიენტისათვის** შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის/შეთავაზებების უზრუნველსაყოფად;

26.10.3. **კლიენტის** სათანადო წესით იდენტიფიკაცია/ ვერიფიკაციისათვის და მონაცემთა პერიოდული განახლების უზრუნველსაყოფად;

26.10.4. **კლინტის** გადახდისუნარიანობის შემოწმებისთვის მათ შორის საკრედიტო რისკების შეფასების მიზნით;

26.10.5. **კლიენტთან** კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვისათვის, მათ შორის, მის განცხადებებზე, მიმართვებსა თუ პრეტენზიებზე სათანადო და დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად.

26.10.6. **კლიენტის** საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ან სხვა მსგავსი საკრედიტო-სარეიტინგო კომპანიის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის ან/და საკრედიტო სარეიტინგო ქულის გამოთვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, დამუშავებასა და გავრცელებასთან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი კრედიტების/ვალდებულებების შესახებ.

26.10.7. eMoney ელექტრონული საფულით სარგებლობისთვის, რომელიც წარმოადგენს **ბანკის** და eMoney-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც **ბანკისა** და eMoney-ს **კლიენტს** ეძლევა საშუალება იქონიოს eMoney ელექტრონული საფულე კონკრეტული მომენტისთვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მისი eMoney საფულის ანგარიში (ან/და მობილური ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი) ავტორიზაციისთვის ისეთ ვებ გვერდებზე სადაც eMoney-თ ავტორიზაცია დაშვებულია.

26.10.8. **ბანკის** ან/და **მესამე პირის** კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით, შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით განსაზღვრულ ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის** პერსონალური მონაცემების, სადაზღვევო კომპანიების, აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, ასევე მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

26.10.9. **ბანკის** კანონიერი ინტერესის დაცვისა და სამართლებრივი უფლებების რეალიზაციის მიზნით, მათ შორის **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში;

26.10.10. **ბანკის** მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც **ბანკი** ახორციელებს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

26.10.11. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

26.10.12. თაღლითობის ან/და შესაძლო თაღლითობის, ფულის გათეთრების და სხვა დანაშაულის პრევენციისათვის, გამოვლენისთვის, მოკვლევისთვის, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხელშესაწყობად;

26.10.13. არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წამოადგენს;

26.10.14. ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წარმოადგენს;

26.10.15. მარკეტინგული აქტივობების წარმართვის მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც **ბანკის**, ასევე წინამდებარე **პირობებში** მითითებული **მესამე პირების** მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას;

26.10.16. სხვა კანონიერი მიზნებისთვის ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად.

26.11. *<u>ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემა/მესამე პირ(ებ)ისაგან ინფორმაციის გამოთხოვა</u>.*

26.11.1. **ბანკი** მკაცრად იცავს **კლიენტის** და მის მიერ დასახელებული მესამე პირების (ნებისმიერი **დამატებითი ბარათის** მფლობელი, თავდები და სხვა) შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, ამასთან, **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკი,** უფლებამოსილია მონაცემთა დამუშავების ფარგლებში წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი **მესამე პირ(ებ)ისთვის** (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად) განახორციელოს მონაცემთა გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის **პერსონალური მონაცემების** გამოთხოვა იმ მოცულობით რაც აუცილებელია წინამდებარე **პირობებით** ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის.

26.11.2. **ბანკი** უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

26.11.3. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკი**, **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, უფლებამოსილია სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს (ს/ნ 204470740) მეშვეობით მრავალჯერადად მიიღოს და დაამუშაოს **კლიენტის** შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა ან/და შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახდელების ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხული საურავების) შესახებ მონაცემები, მათ შორის **ბანკის** მიმართ აქტიური საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულებების მოქმედების პერიოდში;

26.11.4. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, **ბანკმა** სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან ერთჯერადად გამოითხოვოს და დაამუშავოს სსიპ - შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში **კლიენტის** შესახებ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის, მათ შორის, **კლიენტისთვის** შემდგომში საბანკო პროდუქტის ან მომსახურეობის

შეთავაზების მიზნით; ამასთან, **კლიენტი** თანხმობას აცხადებს **ბანკმა** მიმართოს სსიპ - შემოსავლების სამსახურს შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში **კლიენტის** რეგისტრაციის მოთხოვნით და სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ **კლიენტის** იდენტიფიკაციისა და კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმატზე გადაყვანის მიზნით, დაამუშავოს და მიაწოდოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები;

26.11.5. გარდა ზემოაღნიშნულისა, **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უფლებას კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე **პირობებით** ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის, ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ორგანიზაციებისგან მოიპოვოს ან/და მათ გადასცეს **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა):

(ა) **ბანკის** პარტნიორი კომპანიები, რომელთან ერთადაც **ბანკი** კომერციული კუთხით თანამშრომლობს, ასევე სხვადასხვა მომსახურების/სერვის(ებ)ის მიმწოდებელი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კომპანიები , რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(ბ) **ბანკის** კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ **ბანკის** საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდელების მისაღებად (ე.წ. ბილინგი);

(გ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ი და სხვა ის **მესამე პირები,** რომლებიც **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის აპარატი, ბანკომატი და ა.შ.) საბანკო/საგადახდო მომსახურების მიწოდებისთვის/გაწევისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებენ პირთა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციას და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(დ) საჯარო დაწესებულებები, როგორიცაა საზედამხედველო, დამოუკიდებელი, სასამართლო, საგამოძიებო და სხვა დაწესებულებები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ შექმნილი იურიდიული პირები;

(ე) სხვა ორგანიზაციები, რომელთათვისაც მონაცემთა გაზიარება ემსახურება ანგარიშგებასთან, კანონის ან/და შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან, აუდიტის/მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული **ბანკის** მოვალეობების შესრულებას;

(ვ) საკრედიტო საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ახორციელებენ საკრედიტო ინფორმაციის შეგროვებას და ინდენტიფიცირებისათვის, ასევე საკრედიტო მონაცემთა შემოწმებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გაზიარებას;

(ზ) პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები ან/და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შეძენას (ცესია);

(თ) საერთაშორისო და ადგილობრივი საგადახდო მომსახურების ოპერატორები, მათ შორის საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების ოპერატორები;

(ი) პროფესიონალი კონსულტანტები, როგორიცაა ფინანსური და იურიდიული მრჩევლები, აუდიტორული კომპანიები, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(კ) სადაზღვევო და საფოსტო კომპანიები, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(ლ) დაკავშირებული მესამე პირები - **ბანკმა** შესაძლოა გააზიაროს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები **ბანკის** შიგნით, შვილობილ კომპანიებთან, აფილირებულ პირებთან და სხვა პარტნიორებთან იმ მოცულობით, რაც შეესაბამება დაკისრებული ამოცანის ტიპსა და ფარგლებს;

(მ) მესამე პირები, რომლებსაც შესაძლებელია **ბანკმა** მიყიდოს, გადასცეს ან გააერთიანოს ბიზნესის ან აქტივების ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** ბიზნეს საქმიანობა შეიცვლება, ახალმა მფლობელებმა შესაძლოა გამოიყენონ **კლიენტის** შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები იმავე სახით, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე **პირობებში.**

26.11.6. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** განახორციელებს მონაცემების **მესამე პირებისთვის** გადაცემას, მათ შორის ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისთვის გადაცემას, აღნიშნული ქმედების შესრულებისას მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა ის გონივრული ზომა, რაც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.

26.11.7. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ წინამდებარე **პირობებში** მოცემული ჩამონათვალი არ არის სრული, ამომწურავი და დროდადრო **მესამე პირების** კატეგორიები შესაძლოა შეიცვალოს, თუმცა მიუხედავად ამისა, მონაცემების დამუშავების კუთხით **ბანკის** ქმედებები შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

26.12. *პირდაპირი მარკეტინგი*. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას დაამუშაოს კლიენტის პერსონალური მონაცემები და **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე/ნომრებზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართ(ებ)ზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს კომუნიკაცია, მათ შორის მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის გზით (პირდაპირი მარკეტინგი).

26.13. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კლიენტის** პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია **ბანკის** დაკავშირებულ/უფლებამოსილ პირ(ებ)ს, რომელიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და უსაფრთხოება. ამასთან, **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს **ბანკს** ან/და დაკავშირებულ თუ უფლებამოსილ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, **მხარეთა** შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით;

26.14. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **კლიენტს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის **ბანკომატი**, **ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი** და სხვა).

26.15. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ პირდაპირი მარკეტინგის ფარგლებში შეთავაზებების განხორციელების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის კომუნიკაციები, **კლიენტთან** დაკავშირება მის შესახებ **ბანკში** დაცული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშრებით (მათ შორის, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების თაობაზე **კლიენტის** ინფორმირების მიზნით), ასევე **კლიენტის** განცხადებებსა თუ მოთხოვნებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად და სხვადასხვა ინფორმაციის მისაწოდებლად.

26.16. *ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა.* უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, **ბანკში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩამწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება **ბანკომატის** ან სხვა ელექტრონული მოწყობილიბობების საშუალებით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს **ბანკთან** სატელეფონო კომუნიკაციისას ან/და დისტანციური მომსახურების გაწევის მიზნებისთვის,.

26.16.1. **ბანკის** მომსახურების წერტილებში, აგრეთვე **ბანკთან** კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ **კლიენტი** ინფორმირებული იქნება შესაბამისი ფორმით. **კლიენტი**, აცნობიერებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიო ჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

26.17. *საავტორო უფლებები*. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, **ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში,** მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული

მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.
26.18. *მონაცემების განახლება. დამუშავების და შენახვის ვადა.* თითოეული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.
26.19. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით დამუშავება (მათ შორის მონაცემების სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი სხვა **მესამე პირებისთვის,** გადაცემა ან/და აღნიშნული მონაცემების მათგან მიღება) გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.
26.20. იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც **კლიენტის** მიერ **ბანკს** მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, ბანკის ვებ-გვერდი, **ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.
26.21. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **კლიენტს** მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია კანონმდებლობით.
26.22. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.
26.23. თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **ბანკს** მის შესახებ ბანკში დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

## 27. კომუნიკაცია

27.1. **ბანკის** მიერ **კლიენტთან** კომუნიკაცია ხორციელდება, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით, ხოლო **კლიენტის** მიერ **ბანკთან** კომუნიკაცია მხოლოდ წერილობითი ფორმით.
27.2. წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას შეტყობინება უნდა მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში, **განაცხადებში** მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), **ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:
27.2.1. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღის, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;
27.2.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **კლიენტის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისათვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;
27.2.3. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;
27.2.4. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), **ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს, ხოლო **ბანკის** ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას - ინფორმაციის განთავსების დღეს.
27.3. თუ **კლიენტი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს ხელშეკრულების საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **კლიენტს** მისამართზე არ ყოფნის მიზეზით ზედიზედ ორჯერ, ბანკის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.
27.4. თუ **ხელშეკრულებაში** არ არის მითითებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემ(ებ)ი ან შეტყობინება ზედიზედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება საჯარო პუბლიკაციის გზით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ინტერნეტის საშუალებით ან სხვა ფორმით). აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება პერსონალურ მონაცემთა დარღვევად და წინამდებარე ხელშეკრულება განიხილება როგორც კლიენტის თანხმობა მისი მონაცემების ამ მიზნით და მოცულობით დამუშავების თაობაზე.**მხარეთა** შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაცია განახორციელოს **კლიენტისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.
27.5. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **კლიენტისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **კლიენტის** ანგარიშზე შესრულებული **ოპერაციების** შესახებ, **წვდომის კოდების კლიენტისთვის** მიწოდება, გადახდის გრაფიკის შეხსენება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი კრედიტის ან პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შინაარსს.
27.6. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში კლიენტის,** ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **კლიენტის** შესახებ დაფიქსირებული, ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნას, **ბანკთან** არსებული სხვა **სახელშეკრულებო** ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.
27.7. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **კლიენტს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **კლიენტმა** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.
27.8. *ვერიფიცირებული ნომერი*
27.8.1. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისა და მისთვის საბანკო მომსახურების გაწევის, მათ შორის საბანკო მომსახურების/საბანკო პროდუქტით მომსახურების ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტების (მათ შორის გარიგების) **კლიენტის** მიერ დადასტურების/ნების გამოხატვის მიზნით გამოიყენოს **კლიენტის ვერიფიცირებული ნომერი.**
27.8.2. **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი ვერიფიკაციას გადის ბანკში დადგენილი წესების/პროცედურების შესაბამისად.
27.8.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის **ბანკისთვის** კარნახის შედეგად აღნიშნული მობილური ტელეფონის ნომერი მიიჩნიოს **კლიენტის ვერიფიცირებულ ნომრად.**
27.8.4. **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად ნომრის ვერიფიკაციით **კლიენტი** ადასტურებს, რომ მობილური ტელეფონის ნომერი იმყოფება მის მართლზომიერ მფლობელობაში და ნომერზე მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების და ამ გზით საბანკო სერვისებით სარგებლობის შემთხვევაში, **ბანკი** სრულად თავისუფლდება ყოველგვარი ზიანის/ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისგან.
27.8.5. ნომრის ვერიფიკაციის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეცვალოს საბანკო მომსახურების ფარგლებში მანამდე გამოყენებული **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევისას გამოიყენოს **კლიენტის ვერიფიცირებული ნომერი.**
27.8.6. იმ შემთხვევაში, თუ ნომრის ვერიფიკაცია ხორციელდება **ბანკისთვის** დისტანციური მომსახურების არხებით მომართვის გზით, შესაბამის პროცესში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი

ვერიფიცირებულად ჩაითვლება მხოლოდ **კლიენტის** მიერ შესაბამისი პროცესის სრულად, წარმატებით გავლის შემთხვევაში.

27.8.7. **ვერიფიცირებული ნომრის** სხვა პირის მიერ ვერიფიკაციის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერს გაუუქმოს ვერიფიცირებულის სტატუსი.

27.8.8. **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად, **ბანკი** უფლებამოსილია შესთავაზოს **კლიენტს, კლიენტის** ხელმოწერის ნაცვლად ოპერაციის, დავალების ან/და მომსახურების ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) **ვერიფიცირებულ ნომერზე** გაგზავნილი SMS კოდის, **ბანკისათვის** კარნახის საშუალებით დადასტურება, რაც გულისხმობს, რომ:

27.8.8.1. **ვერიფიცირებულ ნომერზე** გაგზავნილი/**ვერიფიცირებული ნომრიდან** მიღებული შეტყობინება ან/და ვერიფიცირებული ნომრიდან გაცხადებული ნებისმიერი თანხმობა (მათ შორის **ვერიფიცირებულ ნომერზე** მიღებული თანხმობის კოდის ბანკისთვის გაცხადების გზით) ჩაითვლება **კლიენტის** მიერ ნამდვილ შეტყობინებად/შეთავაზებად/თანხმობად.

27.8.8.2. **კლიენტის** მიერ SMS კოდის **ბანკისათვის** მიწოდებით (SMS კოდს **კლიენტი ბანკის** შესაბამის თანამშრომელს მიაწვდის ზეპირად) **კლიენტის** მიერ დასტურდება, რომ იგი სრულად გაეცნო შესაბამის **ოპერაციას, დავალებას** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებულ დოკუმენტს (მათ შორის გარიგებას), ეთანხმება მასში მოცემული პირობების/ინფორმაციის სისწორეს და სურს აღნიშნული **ოპერაციის, დავალების** შესრულება ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) გაფორმება/შედგენა;

27.8.8.3. გაგზავნილი შეტყობინების/SMS კოდის **კლიენტის** მიერ დასახელების შემთხვევაში, **ბანკი** განახორციელებს SMS კოდის **ბანკის** პროგრამულ უზრუნველყოფაში შეყვანას და **ოპერაციის, დავალების** ან/და დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) გაფორმებასთან დაკავშირებული პროცესის დადასტურებას და კლიენტისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ოპერაცია ბანკის** მხრიდან დადასტურებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც **ბანკის** შესაბამისი თანამშრომელი უზრუნველყოფს **კლიენტის** მიერ ნაკარნახები შესაბამისი SMS კოდის **ბანკის** პროგრამულ უზრუნველყოფაში შეყვანას და დადასტურების თაობაზე **კლიენტისათვის** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას.

27.8.8.4. **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდით დადასტურება მხარეთა შორის ურთიერთობებში უთანაბრდება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას და ადასტურებს **კლიენტის** ნების ნამდვილობას;

27.8.8.5. SMS კოდის საშუალებით დასადასტურებელი **ოპერაციის, დავალების** ან/და დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) ჩამონათვალს/სახეებს განსაზღვრავს **ბანკი** საკუთარი შეხედულებისამებრ;

27.8.9. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ის მომსახურება(ები), რომლ(ებ)ით სარგებლობისთვისაც აუცილებელია **ვერიფიცირებული ნომრის** არსებობა და უარი განუცხადოს **კლიენტს** ამგვარი მომსახურების გაწევაზე, იმ შემთხვევაში თუ ის (**კლიენტი**) არ განახორციელებს ნომრის ვერიფიკაციას **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** შეუზღუდოს ის საბანკო მომსახურებები, რომელთა გამოყენებაც ეფუძნება **ვერიფიცირებულ ნომერს** იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით გაუქმდება **კლიენტის ვერიფიცირებული ნომრის** სტატუსი.

27.8.10. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს ვერიფიცირებული ნომრის** დაკარგვის, მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების, ან/და აღნიშნულ ნომერთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის მხრიდან მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

27.8.11. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ვერიფიცირებული ნომრის** შეცვლის, გასხვისების, დაკარგვის, მესამე პირებზე გადაცემის ან/და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.

## 28. ზოგადი დებულებები

28.1. **ბანკის** წინასწარი შეტყობინების გარეშე **კლიენტი** უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს.

28.2. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** დაუთმობს, გაყიდის ან გადასცემს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული უფლებებს, მოვალეობებს და სარგებელს სხვა მესამე პირს ან დააპირებს ამ უფლების გამოყენებას, **კლიენტი** თანხმობას აძლევს **ბანკს** ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის** ანგარიშის შესახებ ინფორმაცია სხვა მესამე პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს. აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას **კლიენტის** კანონისმიერ უფლებებზე.

28.3. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებს მესამე პირებისაგან მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

28.4. თუ წინამდებარე **პირობების** რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას **პირობების** დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

28.5. წინამდებარე **პირობებში** აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ აქვს ზეგავლენა ხელშეკრულების პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე.

28.6. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ შეტყობინებების მიუღებლობაზე, თუკი იგი გაგზავნილი იქნა იმ მისამართზე ან იმ საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც **კლიენტის** მიერ წინასწარ არის მითითებული.

28.7. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მოთხოვნილი იქნება **ბანკის** მიერ ან განსაზღვრულია **საქართველოს კანონმდებლობით**.

28.8. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობითი ფორმით.

28.9. **ბანკის** მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების გადავადება (რაც მოიცავს გარანტიების დარღვევის ან შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ უფლებებსაც) არ ნიშნავს იმას, რომ ბანკი უარს ამბობს თავის უფლებებზე; აგრეთვე ნებისმიერი უფლების ნაწილობრივ ან სრულად გამოუყენებლობა არ ნიშნავს მომავალში ამ უფლების სრულად გამოყენების შეზღუდვას.

28.10. წინამდებარე **პირობების** ყველა დანართი ამ **ხელშეკრულების** განუყოფელი ნაწილია.

28.11. წინამდებარე **პირობებს** ენიჭება უპირატესი ძალა **მხარეთა** შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.

28.12. **ხელშეკრულება** სავალდებულო იქნება და შესაბამისი იურიდიული ძალა ექნება **მხარეების** შესაბამისი მემკვიდრეების და უფლებამონაცვლეების სასარგებლოდ.

28.13. **პირობები** შედგენილია ქათულ ენაზე.

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge

სს „ლიბერთი ბანკი“ წარმოადგენს ლიზენცირებულ ფინანსურ ინსტიტუტს და მოქმედებს 2010 წლის 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული #0110247 ლიცენზიის საფუძველზე;

სს „ლიბერთი ბანკის“ სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ქ. #74-ში 0162. დეტალური ინფორმაცია სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების პირობების და მომსახურების ობიექტების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე http://libertybank.ge;

სს „ლიბერთი ბანკის“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე - http://nbg.gov.ge;

საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

## დანართი №1 - სატარიფო პაკეტების მომსახურების ტარიფები

| პროდუქტები/ მომსახურებები: | სტანდარტი<br>25.00 ლარი თვეში<br><br>წლიური გადახდის სქემის არჩევის შემთხვევაში - 250 ლარი წელიწადში | სტანდარტი<br>უფასო | ექსკლუზიური პაკეტი<br>უფასო | სტანდარტი+[1]<br>(55 ლარი თვეში)[2]<br><br>წლიური გადახდის სქემის არჩევის შემთხვევაში - 550 ლარი წელიწადში |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| **დისტანციური მომსახურება:** | | | | |
| ინტერნეტ ბანკი | უფასო | | | |
| მობაილ ბანკი | უფასო | | | |
| SMS ბანკი | უფასო | | | |
| ავტომატური გადახდები | უფასო (შეუზღუდავი რაოდენობით) | | | |
| მუდმივი საგადახდო დავალება | უფასო (შეუზღუდავი რაოდენობით) | | | |
| | | | | |
| **ლოიალურობის პროგრამა:** | | | | |
| ლოიალობის პროგრამით გათვალისწინებული ქეშბექი და ფასდაკლებები | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| | | | | |
| **სარგებლის დარიცხვა:** | | | | |
| უნივერსალურ მულტისავალუტო ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა | GEL - 3.00%*<br>USD - 0.50%*<br>EUR - 0.20% | GEL - 3.00%*<br>USD - 0.50%*<br>EUR - 0.20% | GEL - 3.00%*<br>USD - 0.50%*<br>EUR - 0.20% | N/A |
| სადეპოზიტო სერთიფიკატზე და ვადიან ანაბარზე სარგებლის დარიცხვა | სტანდარტულ პროცენტს +0.15%[3] | სტანდარტულ პროცენტს +0.15%[3] | სტანდარტულ პროცენტს +0.15%[3] | სტანდარტულ პროცენტს +0.15%[3] |

[1] *პერსონალური საბანკო მომსახურების მიმღები/მიღების მსურველი არარეზიდენტი* ***კლიენტებისათვის*** *დოკუმენტაციის გადამოწმების/შესწავლის ერთჯერადი საკომისიო შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს, რომელიც ჩამოიჭრება* ***კლიენტის ბანკში*** *გახსნილი* ***ანგარიშ(ებ)იდან.***

[2] *იმ შემთხვევაში, თუ თვის განმავლობაში, „სტანდარტი +"-ის პაკეტის მფლობელი* ***კლიენტ(ებ)ის ბანკში*** *არსებული საბანკო პროდუქტების (მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი, ნებისმიერი სახის ანაბარი) საშუალო დადებითი ნაშთი არ შეადგენს ან არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) USD-ს ან ექვივალენტს სხვა ვალუტაში,* ***ბანკი*** *უფლებამოსილია* ***კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან*** *ყოველთვიურად ჩამოჭრას დამატებით 100 (ასი) ლარი, პაკეტის მომსახურების საკომისიოს სახით.*

[3] ***ბანკი*** *უფლებამოსილია* ***კლიენტის*** *ვადიან ანაბარს/სადეპოზიტო სერტიფიკატს არ დაარიცხოს მითითებული გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი* ***ბანკში*** *შესაბამის პროდუქტზე აქციის მოქმედების შემთხვევაში/პერიოდში.*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| შემნახველ ანაბარზე სარგებლის დარიცხვა | | სტანდარტულ პროცენტს +0.5% - ლარში; **<br><br>სტანდარტულ პროცენტს +0.15% - დოლარში, ევროსა და გირვანქა სტერლინგში; | სტანდარტულ პროცენტს +0.5% - ლარში; **<br><br>სტანდარტულ პროცენტს +0.15% დოლარში, ევროსა და გირვანქა სტერლინგში; | სტანდარტულ პროცენტს +0.5%- ლარში; **<br><br>სტანდარტულ პროცენტს +0.15% დოლარში, ევრო და გირვანქა სტერლინგში; | სტანდარტულ პროცენტს +0.5% - ლარში;<br><br>სტანდარტულ პროცენტს +0.15% დოლარში, ევროსა და გირვანქა სტერლინგში; |

** არსებული კლიენტებისთვის მითითებული განაკვეთ(ებ)ი ამოქმედდება 2021 წლის 05 თებერვლიდან. აღნიშნულ თარიღამდე, არსებულ კლიენტებისთვის იმოქმედებს პირადი საბანკო მომსახურების პირობების 2020 წლის 01 დეკემბრის რედაქციით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთ(ებ)ი.*

*** ცვლილება ვრცელდება მხოლოდ 2021 წლის 12 მარტიდან გახსნილ შემნახველ ანაბრებზე.*

| ანგარიშები და ბარათები: | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნივერსალური ანგარიშის გახსნა | | უფასო | | | |
| უნივერსალური ანგარიშის მომსახურება | | უფასო | | | |
| უნივერსალური ანგარიშის ვალუტა | | GEL /USD/EUR/GBP | | | |
| უნივერსალური ანგარიშების დასაშვები რაოდენობა | | შეუზღუდავი რაოდენობა | შეუზღუდავი რაოდენობა | შეუზღუდავი რაოდენობა | შეუზღუდავი რაოდენობა |
| უნივერსალური ანგარიშის ვალუტის პრიორიტეტულობის / თანხების ხარჯვის სქემის შეცვლა | | უფასო | | | |
| შემნახველი ანაბრის გახსნა | | უფასო | | | |
| შემნახველი ანაბრის მომსახურება | | უფასო | | | |
| შემნახველი ანაბრის ვალუტა | | GEL/USD/EUR/GBP | | | |
| შემნახველი ანაბრის დასაშვები რაოდენობა | | შეუზღუდავი რაოდენობა | შეუზღუდავი რაოდენობა | შეუზღუდავი რაოდენობა | შეუზღუდავი რაოდენობა |
| სპეც. სავალუტო ანგარიშის გახსნა | | უფასო | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სპეც. სავალუტო ანგარიშის მომსახურება | | უფასო | | | |
| სპეც. სავალუტო ანგარიშის ვალუტა | | რუსული რუბლი (RUB)<br>შვეიცარული ფრანკი (CHF)<br>თურქული ლირა (TRY)<br>იაპონური იენი (JPY)<br>აზერბაიჯანული მანათი (AZN)<br>სომხური დრამი (AMD)<br>ა.გ.ს დირჰამი (AED)<br>ავსტრალიური დოლარი (AUD)<br>კანადური დოლარი (CAD) | | | |
| სპეც. სავალუტო ანგარიშის დასაშვები რაოდენობა | | შეუზღუდავი რაოდენობა | შეუზღუდავი რაოდენობა | შეუზღუდავი რაოდენობა | შეუზღუდავი რაოდენობა |

| ძირითადი/დამატებითი ბარათები: | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარათები | | Visa Infinite***<br>Visa Platinum<br>Visa Gold / MasterCard Gold<br>Visa Classic / MasterCard Standard | Visa Infinite***<br>Visa Platinum<br>Visa Gold / MasterCard Gold<br>Visa Classic / MasterCard Standard | Visa Infinite***<br>Visa Platinum<br>Visa Gold / MasterCard Gold<br>Visa Classic / MasterCard Standard | Visa Infinite***<br>Visa Platinum<br>Visa Gold / MasterCard Gold<br>Visa Classic / MasterCard Standard |
| ძირითადი ბარათის დამზადების ღირებულება | | უფასო | | | |
| დამატებითი ბარათის დამზადების ღირებულება | | უფასო | | | |
| დაკარგული / დაზიანებული ბარათის აღდგენა | | უფასო | | | |
| ბარათის მოქმედების ვადა | | 4 წელი | | | |
| მინიმალური ნაშთი ანგარიშზე | | არ მოითხოვება | | | |
| ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობა | | უფასო | | | |
| სტოპ სიაში შეყვანა (ადგილობრივი) | | უფასო | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტოპ სიაში შეყვანა (საერთაშორისო) | | GEL 80.00 ყოველ რეგიონზე, კვირაში ერთხელ | | | |
| PIN-ის შეცვლა ბანკომატის საშუალებით | | უფასო | | | |
| ლიბერთი ბანკის ბანკომატში ნაშთის შემოწმება | | უფასო | | | |
| პარტნიორი ბანკის ბანკომატში ნაშთის შემოწმება | | უფასო | | | |
| სხვა ბანკის ბანკომატში ნაშთის შემოწმება | | უფასო | | | |
| ბარათის დამზადება სასწრაფო რეჟიმში | | უფასო | | | |
| ****ბარათების ჩამონათვალში რიგით პირველი ბარათი წარმოადგენს პაკეტში სავალდებულო ბარათის ტიპს.* | | | | | |
| საკრედიტო ბარათი**** | | საკრედიტო ბარათით სარგებლობის წესები, პირობები და ტარიფები განისაზღვრება „საკრედიტო ბარათის პირობებით“, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე http://www.libertybank.ge. | | | |
| ***** ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კლიენტის გადამხდელუნარიანობის შეფასების საფუძველზე განიხილავს საკრედიტო ბარათის გაცემის საკითხს და დამოუკიდებლად წყვეტს მას. კლიენტის მიერ სატარიფო პაკეტის შეძენა არ ავალდებულებს ბანკს ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს საკრედიტო ბარათი.* | | | | | |
| | | | | | |
| **ანგარიშზე თანხის შეტანა / განაღდება** | | | | | |
| უნივერსალურ ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანა | | უფასო | | | |
| ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის ვალუტა | | GEL/USD/EUR | | | |
| თანხის განაღდება უნივერსალური ანგარიშიდან | | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში -უფასო;<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>GEL - 0.10%<br>USD/EUR/GBP - 0.20% | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში - უფასო;<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>GEL - 0.10%<br>USD/EUR/GBP - 0.20% | უფასო | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში - უფასო;<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>GEL - 0.10%<br>USD/EUR/GBP - 0.20% |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შემნახველ ანაბარზე ნაღდი ფულის შეტანა | | უფასო | | | |
| თანხის განაღდება შემნახველი ანაბარიდან | | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში - უფასო;<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>GEL - 0.10%<br>USD/EUR/GBP- 0.20% | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში - უფასო;<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>GEL - 0.10%<br>USD/EUR/GBP - 0.20% | უფასო | ნებისმიერი არხით ნაღდი ფულის სახით შემოტანილი თანხის ფარგლებში - უფასო;<br><br>სხვა შემთხვევაში:<br>GEL - 0.10%<br>USD/EUR/GBP - 0.20% |
| სპეც. სავალუტო ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანა | | რუსული რუბლი (RUB) -2.00%<br>შვეიცარული ფრანკი (CHF) - 2.50%<br>თურქული ლირა (TRY) - 2.50%<br>იაპონური იენი (JPY) - 2.50%<br>აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 2.50%<br>სომხური დრამი (AMD) - 2.50%<br>ა.გ.ს დირჰამი (AED) - 4.50%<br>ავსტრალიური დოლარი (AUD) - 4.50%<br>კანადური დოლარი (CAD) - 4.50% | რუსული რუბლი (RUB) -2.00%<br>შვეიცარული ფრანკი (CHF) - 2.50%<br>თურქული ლირა (TRY) - 2.50%<br>იაპონური იენი (JPY) - 2.50%<br>აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 2.50%<br>სომხური დრამი (AMD) - 2.50%<br>ა.გ.ს დირჰამი (AED) - 4.50%<br>ავსტრალიური დოლარი (AUD) - 4.50%<br>კანადური დოლარი (CAD) - 4.50% | რუსული რუბლი (RUB) -2.00%<br>შვეიცარული ფრანკი (CHF) - 2.50%<br>თურქული ლირა (TRY) - 2.50%<br>იაპონური იენი (JPY) - 2.50%<br>აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 2.50%<br>სომხური დრამი (AMD) - 2.50%<br>ა.გ.ს დირჰამი (AED) - 4.50%<br>ავსტრალიური დოლარი (AUD) - 4.50%<br>კანადური დოლარი (CAD) - 4.50% | რუსული რუბლი (RUB) -2.00%<br>შვეიცარული ფრანკი (CHF) - 2.50%<br>თურქული ლირა (TRY) - 2.50%<br>იაპონური იენი (JPY) - 2.50%<br>აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 2.50%<br>სომხური დრამი (AMD) - 2.50%<br>ა.გ.ს დირჰამი (AED) - 4.50%<br>ავსტრალიური დოლარი (AUD) - 4.50%<br>კანადური დოლარი (CAD) - 4.50% |
| თანხის განაღდება სპეც. სავალუტო ანგარიშიდან | | რუსული რუბლი (RUB) - უფასო<br>შვეიცარული ფრანკი (CHF) - 2.50%<br>თურქული ლირა (TRY) - 2.50%<br>იაპონური იენი (JPY) - 2.50%<br>აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 2.50%<br>სომხური დრამი (AMD) - 2.50%<br>ა.გ.ს დირჰამი (AED) - 4.50%<br>ავსტრალიური დოლარი (AUD) - 4.50%<br>კანადური დოლარი (CAD) - 4.50% | რუსული რუბლი (RUB) - უფასო<br>შვეიცარული ფრანკი (CHF) - 2.50%<br>თურქული ლირა (TRY) - 2.50%<br>იაპონური იენი (JPY) - 2.50%<br>აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 2.50%<br>სომხური დრამი (AMD) - 2.50%<br>ა.გ.ს დირჰამი (AED) - 4.50%<br>ავსტრალიური დოლარი (AUD) - 4.50%<br>კანადური დოლარი (CAD) - 4.50% | რუსული რუბლი (RUB) - უფასო<br>შვეიცარული ფრანკი (CHF) - 2.50%<br>თურქული ლირა (TRY) - 2.50%<br>იაპონური იენი (JPY) - 2.50%<br>აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 2.50%<br>სომხური დრამი (AMD) - 2.50%<br>ა.გ.ს დირჰამი (AED) - 4.50%<br>ავსტრალიური დოლარი (AUD) - 4.50%<br>კანადური დოლარი (CAD) - 4.50% | რუსული რუბლი (RUB) - უფასო<br>შვეიცარული ფრანკი (CHF) - 2.50%<br>თურქული ლირა (TRY) - 2.50%<br>იაპონური იენი (JPY) - 2.50%<br>აზერბაიჯანული მანათი (AZN) - 4.50%<br>სომხური დრამი (AMD) - 2.50%<br>ა.გ.ს დირჰამი (AED) - 4.50%<br>ავსტრალიური დოლარი (AUD) - 4.50%<br>კანადური დოლარი (CAD) - 4.50% |
| ბარათიდან თანხის განაღდება ლიბერთი ბანკის ბანკომატში | | უფასო | | | |
| ბარათიდან თანხის განაღდება პარტნიორი ბანკის ბანკომატებში | | უფასო | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარათიდან თანხის განაღდება პარტნიორი ბანკის ფილიალებში | | 1.50%, მინ. GEL6.00 | 1.50%, მინ. GEL6.00 | უფასო | 1.50%, მინ. GEL6.00 |
| ბარათიდან თანხის განაღდება სხვა ბანკის ფილიალებში | | 1.50%, მინ. GEL6.00 | 1.50%, მინ. GEL6.00 | 1.00%, მინ. GEL2.00 | 1.50%, მინ. GEL6.00 |
| ბარათიდან თანხის განაღდება სხვა ბანკის ბანკომატებში საქართველოში | | 1.00%, მინ. GEL2.00 | 1.00%, მინ. GEL2.00 | უფასო | 1.00%, მინ. GEL2.00 |
| ბარათიდან თანხის განღდება სხვა ბანკის ბანკომატებში საზღვარგარეთ | | 1.50%, მინ. GEL6.00 | 1.50%, მინ. GEL6.00 | უფასო | 1.50%, მინ. GEL6.00 |
| | | | | | |
| გადარიცხვები,<br>გადახდები და ვალუტის კონვერტაცია | | | | | |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის ფილიალებში და საკუთარ ანგარიშებს შორის (ნებისმიერი ვალუტა) | | უფასო | | | |
| ინტერნეტ/მობაილ ბანკში თანხის გადარიცხვა პირადი ნომრის საშუალებით ლიბერთი ბანკის შიგნით ეროვნულ ვალუტაში | | უფასო | | | |
| ინტერნეტ/მობაილ ბანკში თანხის გადარიცხვა მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით ლიბერთი ბანკის შიგნით ეროვნულ ვალუტაში | | 20 ლარამდე - უფასო;<br><br>20 ლარის ზევით - 1 GEL; | | | |
| თანხის გადარიცხვა | | GEL 0.50 | GEL 0.50 | GEL 0.50 | GEL 0.50 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიბერთი ბანკის გარეთ ეროვნულ ვალუტაში | | | | | |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ აშშ დოლარში | | USD 15.00<br><br>მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული USD 20.00 | USD 15.00<br><br>მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული USD 20.00 | USD10.00<br><br>მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული USD20.00 | 0.1% მინ. USD 15.00, მაქს . USD 150<br><br>მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული USD 20.00 |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ ევროში | | EUR 15.00<br><br>მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული EUR 20.00 | EUR 15.00<br><br>მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული EUR 20.00 | EUR 10.00<br><br>მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული EUR 20.00 | 0.1% მინ. EUR 15.00, მაქს . EUR 150<br><br>მიმღების მიერ სრული თანხის ჩარიცხვის გარანტიით - გადარიცხვის საკომისიოს დამატებული EUR 20.00 |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ გირვანქა სტერლინგში | | GBP 15.00 | GBP 15.00 | GBP 10.00 | 0.1% მინ. GBP 15.00, მაქს . GBP 150 |
| **თანხის გადარიცხვა სხვა უცხოურ ვალუტაში ლიბერთი ბანკის გარეთ :** | | | | | |
| რუსული რუბლი (RUB) | | RUB1,200.00 | RUB1,200.00 | RUB1,200.00 | RUB1,200.00 |
| შვეიცარული ფრანკი (CHF) | | CHF30.00 | CHF30.00 | CHF30.00 | CHF30.00 |
| თურქული ლირა (TRY) | | TRY100.00 | TRY100.00 | TRY100.00 | TRY100.00 |
| იაპონური იენი (JPY) | | JPY2,500.00 | JPY2,500.00 | JPY2,500.00 | JPY2,500.00 |
| აზერბაიჯანული მანათი (AZN) | | AZN40.00 | AZN40.00 | AZN40.00 | AZN40.00 |
| სომხური დრამი (AMD) | | AMD10,000.00 | AMD10,000.00 | AMD10,000.00 | AMD10,000.00 |
| ა.გ.ს დირჰამი (AED) | | 0.3% min AED350.00, max AED800[4] | 0.3% min AED350.00, max AED800[4] | 0.3% min AED350.00, max AED800[4] | 0.3% min AED350.00, max AED800[4] |

[4] **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** გადარიცხვის გაუქმების ან/და თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით. გადარიცხვის გაუქმება ან/და თანხის უკან დაბრუნება დამოკიდებულია მიმღების პროვაიდერზე და **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი გადარიცხვის გაუქმების ან/და თანხის უკან დაბრუნების ნებისმიერი მიზეზით შეუძლებლობის გამო. **კლიენტი** ვალდებულია, გადარიცხვის გაუქმების ან/და თანხის უკან დაბრუნების ინიცირებისთვის, მიუხედავად შედეგისა, გადაიხადოს შემდეგი საკომისიო:
გადარიცხვის გაუქმება - AED 300
თანხის უკან დაბრუნება არასწორად მითითებული რეკვიზიტების გამო - AED 200

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალიური დოლარი (AUD) | | AUD30.00 | AUD30.00 | AUD30.00 | AUD30.00 |
| კანადური დოლარი (CAD) | | CAD30.00 | CAD30.00 | CAD30.00 | CAD30.00 |
| გადარიცხვაში შესწორების შეტანა/მოკვლევა | | USD ან RUR - USD 55, სხვა ვალუტა -EUR 55<br><br>ა.გ.ს. დირჰამის (AED) შემთხვევაში:<br>გადარიცხვის მოკვლევა 90 დღეზე ნაკლებ ვადაში - AED 50<br>გადარიცხვის მოკვლევა 90 დღეზე მეტ ვადაში - AED350 | | | |
| გადახდები ინტერნეტ/მობაილ ბანკის მეშვეობით***** | | ინტერნეტ/მობაილ ბანკის მეშვეობით, გადახდის ოპერაციების შესრულებისათვის თითოეული პროვაიდერის ჭრილში დადგენილი საკომისიო(ები) ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://libertybank.ge/_cdn/92/99/MKnMq_35Q0mrNxMJ4TRshw/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%201.pdf](https://libertybank.ge/_cdn/92/99/MKnMq_35Q0mrNxMJ4TRshw/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%201.pdf) | | | |
| ვალუტის კონვერტაცია | | ბანკის კომერციული კურსით | | | |
| ****** ცვლილება ძალაში შედის 2021 წლის 08 თებერვლიდან.* | | | | | |
| **VISA Direct ან MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვების მომსახურება** | | | | | |
| **ლიბერთი ბანკის ბარათებზე:** | | | | | |
| - საკომისიო | | 0.50% მინ. GEL 1.00 | | | |
| - გადარიცხვის დღიური ლიმიტი | | GEL 5,000 | | | |
| **სხვა ბანკის ბარათებზე:** | | | | | |
| - საკომისიო | | 1.50% მინ. GEL 5.00 | | | |
| - გადარიცხვის დღიური ლიმიტი | | GEL 5,000 | | | |
| | | | | | |
| **ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციის ლიმიტები** | | | | | |
| ტრანზაქციული ლიმიტი ინტერნეტ/მობაილ ბანკში პირადი ნომრის ან მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით თანხის გადარიცხვისას | | GEL 3000 | | | |
| 24 საათიანი ლიმიტი ინტერნეტ/მობაილ ბანკში პირადი ნომრის ან მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით | | - ნებადართული გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა -10 გადარიცხვა;<br>- გადარიცხვების მაქსიმალური თანხა - GEL 5000; | | | |

| | | |
|---|---|---|
| თანხის გადარიცხვისას | | |
| **ბარათიდან თანხის განაღდების/ხარჯვის ლიმიტები (ეკვ. ლარში)** | | |
| განაღდების ლიმიტი ლიბერთი ბანკის ფილიალებში | | შეუზღუდავი |
| 24 სთ-ნი განაღდების ლიმიტი ბანკომატებში | | Visa Classic / MasterCard Standard - GEL 5,000 (ეკვ. ვალუტაში)*<br>Visa Gold / MasterCard Gold - GEL 10,000 (ეკვ. ვალუტაში)*<br>Visa Platinum - GEL 15,000 (ეკვ. ვალუტაში)<br>Visa Infinite - GEL 20,000 (ეკვ. ვალუტაში) |
| ბანკომატებში განაღდების კვირის ლიმიტი | | Visa Classic / MasterCard Standard - GEL 25,000 (ეკვ. ვალუტაში)<br>Visa Gold / MasterCard Gold - GEL 50,000 (ეკვ. ვალუტაში)<br>Visa Platinum - GEL 75,000 (ეკვ. ვალუტაში)<br>Visa Infinite - GEL 100,000 (ეკვ. ვალუტაში) |
| 24 სთ-ნი ლიმიტი სავაჭრო ობიექტებში | | Visa Classic / MasterCard Standard - GEL 10,000 (ეკვ. ვალუტაში)<br>Visa Gold / MasterCard Gold - GEL 30,000 (ეკვ. ვალუტაში)<br>Visa Platinum - GEL 50,000 (ეკვ. ვალუტაში)<br>Visa Infinite - GEL 100,000 (ეკვ. ვალუტაში) |
| 24სთ-ნი განაღდების ლიმიტი სხვა ბანკების ფილიალებში | | Visa Classic / MasterCard Standard - GEL 15,000<br>Visa Gold / MasterCard Gold - GEL 30,000<br>Visa Platinum - GEL 45,000<br>Visa Infinite - GEL 50,000 |
| ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის დღიური ლიმიტი | | 30 000 ლარი (ეკვ. ვალუტაში) |
| ბანკომატის თანხის მიმღებში ერჯერადად დასაშვები კუპიურების მაქსიმალური რაოდენობა | | 300 კუპიურა |
| **ბარათის გამოყენების შეზღუდვები** | | |
| **ბარათით, კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე არ დაიშვება ტრანზაქციები შემდეგ **MCC** კოდებზე* | | (ა) 7995 - აზარტული თამაშები; (ბ) 5967 - პირდაპირი მარკეტინგი, +18 სერვისი; |

* შეზღუდვა ავტომატურად გავრცელდება 2021 წლის 01 ივნისიდან გაცემულ **ბარათებზე.** იმ **კლიენტებმა**, რომლებიც სარგებლობენ 2021 წლის 01 ივნისამდე გაცემული **ბარათით,** აღნიშნული შეზღუდვის გავრცელების მიზნით უნდა მიმართონ **ბანკს, ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

### დანართი №2 - ბარათის დაცვის დამატებითი სერვისის ტარიფები და პირობები

| პროდუქტი / მომსახურება | პაკეტი „პრემიუმი“<br>10.00 (ათი) ლარი წელიწადში |
|---|---|
| თანხის ანაზღაურების მინიმალური ლიმიტი | 0.00 ლარიდან |
| ჩიპიანი ბარათით პინ კოდის ან ჩიპის გარეშე განხორციელებული არალეგალური ტრანზაქციისას თანხის ანაზღაურების ლიმიტი | მაქს. 5000.00 (ხუთი ათასი) ლარი |
| ინტერნეტით შესრულებული არალეგალური ტრანზაქციისას თანხის ანაზღაურების ლიმიტი | მაქს. 1000.00 (ერთი ათასი) ლარი |
| თაღლითობის გზით შესრულებული უკონტაქტო პინით დადასტურების გარეშე შესრულებული ტრანზაქციისას თანხის ანაზღაურების ლიმიტი | მაქს. 500.00 (ხუთასი) ლარი |

## დანართი №3 - საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები

- ქვემოთმოცემულ ცხრილში ასახულია დროის მონაკვეთები, როდესაც შესაძლებელია **ბანკში** საგადახდო **დავალების** მიღება, როგორც უშუალოდ **დავალების ბანკში** წარდგენით, ასევე **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხების მეშვეობით, აგრეთვე წარდგენილი საგადახდო **დავალების ბანკის** მიერ შესრულებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური დრო:
- წინამდებარე დანართის მიზნებისთვის, სამუშაო დღედ ითვლება კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა **საქართველოს კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეებისა.
- არასამუშაო დღეებში ან/და წინამდებარე ცხრილით განსაზღვრული საათებისგან განსხვავებულ დროის შუალედში **ბანკისთვის** წარდგენილი დავალება, **ბანკის** მიერ მიღებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.

| საგადახდო დავალების ბანკისათვის მიწოდების ფორმა | საოპერაციო საათები, როდესაც ბანკის მომსახურების წერტილები ან/და დისტანციური არხები ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია კლიენტისთვის | დროის შუალედი, როდესაც ბანკისთვის წარდგენილი საგადახდო დავალება ჩაითვლება ბანკის მიერ მიღებულად | ბანკის მიერ დავალების მიღებიდან მის შესრულებამდე საჭირო მაქსიმალური დრო საქართველოს ტერიტორიაზე |
|---|---|---|---|
| **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მათ შორის და არამარტო ფილიალი, სერვის-ცენტრი, წარმომადგენლობა) **კლიენტის** მიერ **დავალების** უშუალოდ წარდგენა (გარდა იმ მომსახურების წერტილებისა, სადაც **ბანკის** მიერ დაწესებულია 24 საათიანი სამუშაო გრაფიკი ან მომსახურების წერტილი მდებარეობს სპეციალურ ობიექტში (საბაჟო პუნქტი, აეროპორტი, იუსტიციის სახლი და სხვა)): | • ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე;<br>• შაბათ დღეს - 10.00 სთ-დან 14.30 სთ-მდე;<br><br>მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც **კლიენტი** ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით. | • ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე;<br><br>მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს **დავალების** მიღებისთვის განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც **კლიენტი** ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით. | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |
| **ბანკის** 24 საათიან სერვის ცენტრ(ებ)ში **კლიენტის** მიერ **დავალების** უშუალოდ წარდგენა: | ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში | ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე; | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |
| **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხების (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, LB PAY აპარატი, **ბანკომატით** განხორციელებული დავალებები, მათ შორის VISA Direct ან MasterCard MoneySend და სხვა) მეშვეობით წარდგენილი **დავალება**: | ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში | ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე; | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |